# სარბიელი

სპორტული გაზეთი

ოთხშაბათი 15 დეკემბერი 1999 №240 (1013)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## კობა გოგოლაძემ ქამარი ცალი ხელით მოიგო

*კობა გოგოლაძემ თბილისის აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ფეხი შემოდგა თუ არა, იქ მომლოდინე ნათესავ-მეგობრებს და ჟურნალისტთა ამქარს შორიდან მოგვესალმა, მერე მისმა მწვრთნელ-მენეჯერმა მამუკა წიკლაურმა კვიპროსული ნადავლი — ინტერკონტინენტალის მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი მიაწოდა და კობამაც თავისი და ქართული პროფესიული კრივის პირველი მონაპოვარი სახალხოდ გამოამზეურა.*

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



კობა გოგოლაძემ ქართულ პროფესიულ კრივს საჩემპიონო ქამარი და ღირსება შემატა

## ძოძუაშვილი ღუმელთან მიუშვეს

ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი „ლოკომოტივის“ მწვრთნელიცაა



## ისევ კენჭისყრა...

დღეს ჟენევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ უეფას თასის მეოთხე ეტაპისა და მეოთხედფინალის კენჭისყრა გაიმართება

## საქართველოს ნაკრების მეტოქე

## ოპტიმისტი უნგრელები

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

1999 წლის 17 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში 14 საათზე გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

დღის წესრიგი

1. სსჟა-ს აღმასკომის საანგარიშო მოხსენება
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. ცვლილებები სსჟა-ს წესდებაში
4. არჩევნები

*სსჟა-ს აღმასკომი*

## ქართული ჭადრაკი ერთი ოჯახი აღარ არის

### ზურაბ აზმაიფარაშვილის საქმიანობა ჩვენი ჭადრაკის კატასტროფის ტოლფასია — აცხადებენ ქართველი მოჭადრაკე ქალები და ახალი ფედერაციის შექმნას აპირებენ



ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი და ნონა გაფრინდაშვილი

*ქართულ ჭადრაკში მომხდარი ბოლოდროინდელი ამბები საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ვგულისხმობთ არა დაკარგულ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსა და დათმობილ პოზიციებს, არამედ დაპირისპირებას ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილსა და ჩვენს სახელოვან მოჭადრაკე ქალებს — ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანსა და ნინო გურიელს შორის. ეს დავა აზმაიფარაშვილის პრეზიდენტად არჩევის დღიდან დაიწყო. გუშინ ამ საკითხზე ოლიმპიურ კომიტეტში მანდილოსნებმა პრესკონფერენცია გამართეს. რა იყო ეს, თემის უბრალოდ გაგრძელება თუ დაპირისპირების ახალი ეტაპი, ამას დრო გვიჩვენებს, ფაქტი კი ერთია — ქალბატონებმა პრეზიდენტს უამრავი ბრალდება წაუყენეს და ქართული ჭადრაკის სასიკეთოდ ცალკე ფედერაციის ჩამოყალიბება განიზრახეს.*

იხილეთ მეცამეტე გვერდი

# დიალოგი აქტუალურ თემაზე

ჰმ! ყველაფერს ველოდი და ამას არა, ძმაო და შვილო. ორივე ერთად, ორივე უფროსი და ორივე უმცროსი ხომ? იშვიათი ნაფიქრია. შენ ნუ მომიკვდები, დიდხანს იფიქრეს თუ იცი?!

არ შეიძლება მასე, ბაბა, არაფრით არ შეიძლება. ვითომ სწორი და სასიხარულო გადაწყვეტილება მიიღეს და სინამდვილეში პირიქითაა, არაფერია აქ სწორი და სასიხარულო.

ისტორიაში ჩახედული იქნები, ყველაფერი იცით ახლანდელებმა და შენ რა ღმერთი გაგიწყრება — ერთ მაგალითს თუ მომიყვან ისეთს, ორ კაცს ერთად ემართოს ქვეყანა, ერთად მოეგოს ომი, ერთად მჯდარიყოს ტახტზე... ფიქრობ და ვერ იხსენებ ხომ? დიდხანს მოგიწევს ფიქრი, არ არსებობს ბუნებაში ისეთი მაგალითი და იმიტომ. ოჯახს ორი უფროსი არ შეშვენის, ოჯახს ერთი ხმა და თავი უნდა მართავდეს და ეს ფეხბურთი რა გაგვიხდა ასეთი, ყველაფერი ახალი და უცნაური ჩვენ რომ უნდა გამოვცადოთ, არ გახდა ქართული ფეხბურთი ლაბორატორია?!

ერთ რამეს ვაკვირდები და სწორადაც მივაკვლიე ძაღლის კუდს, ხომ იცი შენ — ამ ახირებულ საქმეზე ლაპარაკს ყველა თავს არიდებს და რატომ იცი? არავინ მოელოდა, ყველას ეხამუშება, ბოლომდე გარკვეული არავინ არის და იმიტომ. სხვებს თავი დავანებოთ — ფეხბურთელები როგორ იმალებიან, ხედავ? ან რა შეხედვა უნდა — შეეკითხები, არ გიპასუხებენ, კითხვას ბანზე აგიგდებენ. ყველამ ისწავლა ჭკუა, ბიძია, ჩემს გარდა — მე რომ გამოვდგები ამ ხნის კაცი და შინ და გარეთ ვყვირი, რაც სულში და გულში მაქვს, ჭკვიანური გგონია? დალოცვილო, არავინ არაფერს გეკითხება, ნაკერავზეც რომ გასკდე, მოგისმენს ვინმე, შეწუხდება თუ ყურს დაგიგდებს. არავის აინტერესებს შენი ნალაპარაკევი, არ სჯობია წყნარად ჯდომა? ნერვებს მაინც არ მოუშლი შინაურ-გარეულს ერთიდაიგივეზე ლაპარაკით.

მერე ის ორიც ხათაბალაშიც გაეხვა, ხომ იცი. აქ მარტო ფეხბურთზე და რეპუტაციაზე არაა ლაპარაკი. დღეს რომ ერთად სხედან და ხელებს უტყაპუნებენ ერთმანეთს, ხვალ რა იქნება, გიფიქრია? შენ შეიძლება არ გჭირდება და არც ფიქრობ, მაგრამ იმათ ნამდვილად არ აწყენდათ მომავალზე ფიქრი. ეს ჩვენი ნაკრები ისეთი გემია, ყოველ წუთს შეიძლება გვიღალატოს და ჩაიძიროს, ბიძია, და ერთის მაგიერ ორი კაცი რომ ჩაიძირება, რავარია, ჰა?

ამდენს გელეპარაკები და მთავარს ვერ მივადექი. უმთავრესი აწი უნდა გითხრა, ძმისშვილო — არ არის მთლად მატრივად საქმე, აქ ჩანაფიქრი ჩანს რალაცა, ვერ ვხვდები ჯერ, ვერ მიჭრის გონება და როდის გამიჭრის, ვერც მაგას ვიტყვი. თუმცა სიჩქარე არც არის საჭირო, დრო ყველაფერს გამოაჩენს, ბაბა. დროისთვის ვის უჯობნია. გამოჩნდება ბოლოს ყველაფერი და ღმერთს ერთად ვევედროთ, ეს ამბავი სასიკეთო გამოდგეს.

ეს კიდევ არაფერი, შევეჩვიე და შეჩვეული ჭირის ამბავი არ იცი? იმდენად აღარ მტკენს გულს. დღეს მთლად საგინესისწიგნე ამბავი მოიტანეს, კაცო — მწვრთნელთა საბჭო შეიქმნება და ისინიც მიეხმარებიან ორ მთავარსო... ეგება მე ნამეტანი ჩამოვრჩი ფეხბურთს, ეგება სხვაგანაცაა ასე და თუ ჰო, ამიხსენი შენს გახარებას. ფეხბურთელზე მეტი რომ მწვრთნელი მოიყრის გუნდში თავს, კარგია ეს? რა ქნას მოთამაშემ — ვის, როდის და სად მოუსმინოს, ან რამე რომ არ მოეწონება, რომელს უნდა შესჩივლოს, გიფიქრია ამაზე? ეს ამბავი ცოტათი იმ დროსაც მახსენებს, ქუჩაში ერთი მუშა რომ მუშაობდა და ხუთი „პრარაბი“ ადგა თავზე, ყველას გაფიცებ, არა ვარ მართალი?

მერე იმ ხალხსაც ხომ უნდა გაუგო, ვინც ამ გაუგებრობაში მოახვედრეს — მწვრთნელთა საბჭო თქვი შენ და კაცს სიტყვის ჩასამატებელი დრო რომ არ გექნება, რა მწვრთნელი ხარ და რა სპეციალისტი. გასაგებია ჩემთვისაც და სხვებისთვისაც, რომ ხათრი ხათრია და უარის თქმა ჭირს ამგვარი რალაცეების დროს, მაგრამ თავში სიმართლის თქმა სჯობია, ასე ვიცი მე.

თუ არა და, ეგება ის დროც მოვიდეს, როცა სხვების გულისთვის ფურთხი და წიხლი მიიღოს ზოგ-ზოგმა, თანაც ისე, თითიც არ ექნება გარხეული არც ავად, არც კარგად.

ამაზე მინდოდა, ძმიშვილო, შენთან ლაპარაკი. გულს ვიოხებ, ხომ იცი. ამიტომაა, ჩავირთები და დამთავრებას ვერ ვხვდები — ხოლმე. რა გინდა რომ ქნა, ასე მიდის ჩვენი საქმე — სალაპარაკო და თავში საცემი არ გველევა და კაი ხანს არ გამოგველევა, ვხვდები.

კი, მართალი ხარ, პროცესი ჯერ არ დაწყებულა და აქედანვე კრიტიკა ვერ არის მთლად სწორი საქმე, მაგრამ ახლავე ჩანს, სხვანაირად დამთავრდება ყველაფერი — თუ არადა, აგერ ვნახავთ ყველა — შენც, მეც და ტრიფონიაც...



ეროვნული ნაკრების თითოეულ წევრს თითო მწვრთნელი სჭირდება

# ძოძუაშვილი ღუმელთან მიუშვეს



რევაზ ძოძუაშვილი

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცადაც დაინიშნა.

წუხელ ამის თაობაზე თავად გვითხრა — დიახ, პარალელურად „ლოკომოტივსაც“ გავწვრთნი. ეს პრობლემა არ არის, პირიქით, უკეთესია, მიხარია, ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას მთლიანად ქართულ ფეხბურთს რომ მოვახმარ. დღეის შემდეგ გამოირიცხა ჩემი ლატვიაში ან რუსეთში მუშაობის ვარიანტი. მე საქართველოში ვარ, დავბრუნდი და ძალიან მსურს, ქართულ ფეხბურთს ძველი დიდება დავუბრუნო.

ალბათ იცით, ქართველ მწვრთნელს ბევრი გუნდი ეპატიჟებოდა, განსაკუთრებით ლატვიიდან და რუსეთიდან აქტიურობდნენ, ყოველდღიურად ურეკავდნენ, ჩასვლას სთხოვდნენ.

მან კი საქართველო არჩია. მისივე სიტყვებია — უცხოურ მილიონს ქართული ლარები მირჩევნიაო.

და დღეიდან რევაზ ძოძუაშვილი საქართველოშია. ის ქართული კლუბის თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელიც არის, ისევე როგორც ნაკრების კიდევ ერთი მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი ქუთაისის „ტორპედოსი“.

„ლოკომოტივმა“ კი ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად მართლაც საშური საქმე გააკეთა, რევაზ ძოძუაშვილი საქართველოში დატოვა. ამით მართლაც მოიგებს ქართული ფეხბურთი.

კობა ინასარიძე

# ნაკრებს ხალხი დაასიეს

## სფფ-მ ქართველ მწვრთნელებს ერთი პირი მისცა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ — ეროვნული ნაკრების საჭე ერთბაშად ორი კაცისთვის ჩაებარებინათ, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ჩვენში. უმეტესობა გაკვირვებით შეხვდა შინდისფერთა მწვრთნელებად რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის დანიშვნას, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ჩვენი ეროვნული გუნდის ხსნას სწორედ ყიფიანისა და ძოძუაშვილის ერთობლივ მუშაობაში ხედავენ.

ნაკრებში თავისი კონკრეტული ადგილი და ფუნქცია ალექსანდრე ჩივაძესაც რომ ექნებოდა, ეს ადრევე ვაუწყეთ „სარბიელის“ მკითხველს, მერე ის იყო, სფფ-ს პრეზიდენტის პრესკონფერენციაზე ცნება „მწვრთნელთა საბჭომაც“ გაიჟღერა და ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ძელსკამი იმაზე გვარიანად გრძელი იქნებოდა, ვიდრე ვარაუდობდით.

ორიოდე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში ნაკრებთან დაკავშირებული მორიგი სხდომა შედგა და სწორედ იქ განისაზღვრა, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას მწვრთნელთა საბჭოს მუშაობაში.

სფფ-ს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის გარდა, რომლებიც არ იცილებენ პასუხისმგებლობას, მწვრთნელთა საბჭოში სხვა არაერთი ცნობილი პიროვნებაც შეიყვანეს. მათი სახელები „სარბიელის“ მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი.

როგორც გავიგეთ, მწვრთნელთა საბჭოს პირველი, არცთუ აფიშირებული შეკრება გუშინ, 14 დეკემბერს გაიმართა. ჯერჯერობით საბჭოს წევრებს მხოლოდ შემადგენლობა გააცნეს და არც ფუნქციები დაუნაწილებიათ.

სავარაუდოდ, სფფ ნაკრებისადმი მიძღვნილ პირველსავე პრესკონფერენციაზე დაასახელებს სრულად ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობას და იმ დროისთვის თითოეული მათგანი ნაკრებში თავისი ფუნქციის შესახებ ინფორმაციასაც მიიღებს.

მწვრთნელთა საბჭოს სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე უთავკაცებს, მასთან ერთად ძოძუაშვილსა და ყიფიანს ეროვნული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომზადებაში ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, ჯონი ჯანელიძე, ნიკა ამირეჯიბი და გაიოზ დარსაძე უნდა დაეხმარონ.

ამ ჩამონათვლიდან ჩვენთვის მხოლოდ ოთარ გაბელიას სანაკრებო ფუნქციაა ცნობილი (ალბათ, გასაგებიც), მან ნაკრების მეკარეები უნდა გაწვრთნას. ის კი, რას გააკეთებენ საბჭოს დანარჩენი წევრები, მათთვის ალბათ 22 დეკემბერს გახდება ნათელი.

22 დეკემბერს მწვრთნელთა საბჭოს მორიგი შეკრებაა დანიშნული.

ამ შეკრებას, ისევე როგორც გუშინდელს, არ დაესწრება გაიოზ დარსაძე. მან მწვრთნელთა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობაზე უკვე განაცხადა უარი.

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას — იტყვიან ჩვენში.

ლუკა თალაკვაძე

# მერანი პირველი მერცხალია

საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი სკანდალების თანხლებით დასრულდა. ბოლო დროს დატრიალებული ამბებიდან ერთ-ერთი მთავარი თბილისის „მერანის“ პრეზიდენტის, ნუგზარ ნავაძის ქართული ფეხბურთიდან ხმაურიანი წასვლა გახლდათ. ნავაძემ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკები ზოგიერთი გუნდის მიმართ აშკარა მზარდაჭერაში და „მერანის“ გაწირვაში დაადანაშაულა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კლუბს ეროვნული ჩემპიონატი უნდა მიეტოვებინა, თუმც ასე არ მოხდა. ფეხბურთელებმა უსაქმოდ ყოფნას გასამრჯელოს გარეშე თამაში არჩიეს და „მერანმაც“ პირველი ეტაპი ჩაამთავრა. გუნდმა საწადელს ვერ მიაღწია, ოთხეულში ვერ მოხვდა და გაზაფხულზე პირველ ჯგუფში დარჩენისათვის მებრძოლთა შორის აღმოჩნდა. ამის შემდეგ, ბევრი უპატრონოდ დარჩენილი „მერანის“ დაშლას წინასწარმეტყველებდა, თუმცა...

„ფეხბურთელებმა მხოლოდ ხუთი დღე დაისვენეს, მერე კი შევიკრიბეთ და გუნდიც ვარჯიშს შეუდგა. ყველა მოთამაშე ადგილზეა, „მერანიდან“ არავინ წასულა“ — კლუბის ტექნიკური დირექტორის, ანზორ მამალაძის ასეთი განცხადება ნამდვილად მოულოდნელი გახლდათ.

შეიძლება ითქვას, „მერანი“ საგაზაფხულო მზადებას ყველაზე ადრე (თვით ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ტორპედოსა“ და „დინამოზე“ ადრე) შეუდგა. გუნდი ავჭალაში, „სინათლის“ სტადიონზე ძველი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

ანზორ მამალაძის მიერ გუშინ, საუბრის დასაწყისში ნათქვამმა ზემოხსენებულმა სიტყვებმა ისიც კი გვაფიქრებინა, გუნდს ახალი პატრონი ხომ არ გამოუჩნდაო, მაგრამ ამ მხრივ სიახლე (განა ასეთი ადვილია სპონსორის პოვნა?) არაფერია.

ჯერჯერობით კვლავ გაურკვევლობაში ვართ, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს, რომ კვირის ბოლოს ყველაფერი გადაწყდებაო, გვითხრა ტექნიკურმა დირექტორმა. მამალაძის ოპტიმიზმი ყოფილ პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძესთან დაგეგმილ მომავალ შეხვედრას ემყარება. არ გეგონოთ, ნავაძე გუნდში მობრუნებას აპირებდეს, უბრალოდ, მზრუნველის გარეშე დარჩენილი მერანელები ეცოდება და სურს, კლუბს თავისი შემცვლელი გამოუძებნოს.

ვიდრე ყველაფერი გაირკვევოდეს, „მერანი“ სრული შემადგენლობით მეორე ეტაპისთვის გულმოდგინედ ემზადება და მომავალსაც იმედით შეჰყურებს.

ვანო ოქროპირიძე

# დენიტ დონდტი არჩილ არველაძის თანაგუნდელი გახდა



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

თბილისის „დინამოდან“ გაქცეული ბელგიელი მეკარე, 36 წლის დენიდ დონდტი არჩილ არველაძის „ბრედაში“ ჩაირიცხა.

ეს გასულ კვირას მოხდა. დონდტმა „დინამო“ ხელფასის გადაუხდელობის გამო მიატოვა და უეფაშიც უჩივლა. მას შემდეგ ბელგიელი კლუბს ეძებდა.

დონდტს „დინამომდე“ ბელგიურ „ალსტში“, „ვარეგემსა“ და „ლოკერენში“ უთამაშია. იგი „დინამოში“ 6-თვიანი იჯარით მოვიდა. ამიტომაც „ბრედა“ ფულს „ლოკერენს“ გადაუხდის.

„ბრედა“, რომელიც ახლა ჰოლანდიის მეორე დივიზიონში მეორე ადგილზეა, დონდტის შეძენით კმაყოფილია. კლუბის ტექნიკურმა მენეჯერმა რამ კანმა მას „შესანიშნავი მეკარე“ უწოდა.

დონდტმა უკვე ითამაშა „ბრედაში“ RBC-ს წინააღმდეგ. არველაძის გუნდმა ეს მატჩი 1:0 მოიგო.

სიმონ მენაბდე

# ქინქლაძემ ბაბკნებშიც ვერ ივარგა

ინგლისის ასოციაციის თასზე მეორედივიზიონელ „ბარნლისთან“ სამარცხვინო წაგების შემდეგ „დერბი ქაუნთის“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა ორიგინალურად დასაჯა გიორგი ქინქლაძე. ქართველი იმ შეხვედრაში ყველაზე უარესად თამაშობდა („მირორმა“ 4-იანი დაუწერა).

სმიტმა ქინქლაძე „დერბის“ დუბლებში გადაიყვანა და გუშინ თავის ძველ სტადიონზე, „ბეისბოლ გრაუნდზე“ „ლესტერ სიტის“ სათადარიგოების წინააღმდეგ გამოიყვანა.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქინქლაძემ დუბლებშიც ვერ ივარგა. ერთადერთი, რაც რეპორტიორებს დაამახსოვრდათ, მატჩის დასაწყისში ბოერტიენთან გათამაშებული კომბინაციის შემდეგ „ლესტერის“ კარში დარტყმული ბურთი იყო, რომელიც ზედა ძელს გადასცდა.

სხვა მხრივ, ქინქლაძე, ისევე, როგორც „ბარნლისთან“, ცდილობდა, წინ წაწეულ ნახევარმცველად ეთამაშა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. მას საგოლე მომენტი მე-12 წუთზეც შეექმნა, როცა ჰარპერმა საგოლე გადაცემა მიაწოდა, მაგრამ ქართველმა ვერ გამოიყენა.

საბოლოოდ ქინქლაძე 69-ე წუთზე ლი გეიტმა შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ მატჩს ამ სეზონში „დერბის“ დუბლების გამოსვლებისას ყველაზე ცოტა მაყურებელი ჰყავდა — სულ 452 კაცი.

შეხვედრა კი „დერბიმ“ მოიგო. თავი „ნიუკასლიდან“ იჯარით აყვანილმა მარვინ რობინსონმა გამოიჩინა, რომელსაც თავის დროზე თემურ ქეცბაიას კონკურენტად მიიჩნევდნენ. მან ჰეთ-თრიქი გააზერხა და „დერბიმ“ 3:1 იმარჯვა.

„ცხვრების“ სათადარიგო შემადგენლობა ამ შეხვედრაში ასე გამოიყურებოდა: ოაკისი, ჯექსონი, ბოერტიენი, მური, რიგოტი, შნური, ჰარპერი, ბოჰინენი, რობინსონი (რიკარდსი 88), კრისტი, ქინქლაძე (ლი გეიტი 69).

სიმონ მენაბდე



# ჯიშკარიანმა რუსეთის უმაღლესში შეიძლება მაინც ითამაშოს

მიხეილ ჯიშკარიანმა, რომლის სარატოვის „სოკოლმა“ გასულ სეზონში რუსეთის უმაღლეს ლიგაში ვერ შეაღწია, შეიძლება უმაღლეს დივიზიონში მაინც ითამაშოს.

ჯიშკარიანის შეძენის სურვილი გამოთქვა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცმა“, რომელსაც „სოკოლის“ ყოფილი მწვრთნელი ვლადიმერ ფედოტოვი წვრთნის. თავის დროზე „სოკოლში“ ტრავმირებული ჯიშკარიანი სწორედ ფედოტოვმა აიყვანა.

სიმონ მენაბდე

# ჯამარაულმა ციურიხი გაათრია

გასული კვირის რჩეული, რა თქმა უნდა, გოჩა ჯამარაულია. ქართველმა, შეიძლება ითქვას, ჩემპიონატის დაწყებიდან ათრია „ციურიხი“ და ბოლოს და ბოლოს, ფინალურ ეტაპზე (8 საუკეთესო გუნდში) გაათრია.

„ციურიხს“ „ქსამაქსთან“ ჯამარაულის გოლმა უშველა. არადა, ამ მატჩში „ქსამაქსს“ მოგება სჭირდებოდა, რათა „ციურიხის“ ადგილი დაეკავებინა.

დანარჩენი ლეგიონერებისთვის გასული კვირა უიღბლო გამოდგა. საშინლად ითამაშა გიორგი ქინქლაძემ და მისმა წყალწალებულმა „დერბიმ“. მათ ასოციაციის თასზე მეორედივიზიონელ „ბარნლისთან“ წააგეს და გათამაშებიდან გამოვარდნენ. „მირორმა“ ქინქლაძეს გუნდში ყველაზე დაბალი ნიშანი — 4 დაუწერა. ჩვენებური მის ინგლისურ კარიერაში ასე ცუდად ჯერ არ შეუფასებიათ. „ქართველი იდგა და ფეხს არ ანძრევდა — აღნიშნავს „მირორი“. ასეთი საქციელის გამო ჯიმ სმიტმა 27-ნომრიანი ქინქლაძე სარეზერვო გუნდში გადაიყვანა, რომელიც „ბეისბოლ გრაუნდზე“ „ლესტერ სიტის“ დუბლებს უნდა შეხვდეს.

კვლავ წააგო კობიაშვილის „ფრაიბურგმა“ (იაშკას და ცქიტოს კვლავ არ უთამაშიათ). „კიკერმა“ ლევანს 3,5 ბალი აჩუქა, ეს „ფრაიბურგშიც“ კი ცუდი მაჩვენებელია.

„ლიერსს“ 3 გაფრთხილების გამო ვერ დაეხმარა გელა შეყილაძე და „ლომელმაც“ არ დაინდო ქართველის გუნდი. ჯაკობიას „ვეზეტმა“ ისევ წააგო და უწინდებურად ბოლო ადგილზეა.

ათენს სტუმრობდა გოდერძი ნატროშვილი და მისი დებიუტანტი „პანაჰაიკი“. აეკ-ი, ტუმბაკოვიჩის თავკაცობით, ახალბედათათვის კერკეტი კაკალი გამოდგა. „პანაჰაიკმა“ უკვე პირველ წუთზე გაუშვა გოლი, რასაც შემდეგ დემის ნიკოლაიდისმა კიდევ ორი მიაყოლა. გოდერძი 69-ე წუთზე გამოცვალეს, როდესაც ანგარიში უკვე 0:3 იყო.

არჩილ არველაძის „ბრედამ“ კი სტუმრად მოიგო და ჰოლანდიის მეორე დივიზიონში მეორე ადგილზე გამაგრდა. ერთადერთი გოლი RBC-ს სალმონმა გაუტანა და კლუბის ბომბარდირიც შეიქნა. ახლა მის ანგარიშზე 11 ბურთია, არჩილი კი 10 გოლით მეორეა. გასულ კვირაში არ უთამაშია „აიაქსს“, რეზო არველაძის „ობერჰაუზენისა“ და „კარლსრუეს“ მატჩი მეორე ბუნდესლიგაში დიდთოვლობის გამო გადაიდო.

გასულმა კვირამ ჩვენს ლეგიონერებს კიდევ ორი ჩემპიონატი მოაკლო. ერთი, თურქეთის — გიორგი კიკნაძემ ხომ „სამსუნსფორთან“ კავშირი გაწყვიტა და გუცაევის „ალანიაში“ გადაბარგდა. უკრაინაში კი პირველი წრე დასრულდა.

სიმონ მენაბდე



გოჩა ჯამარაული

ვაჟიკო კეთილაძის ფოტო

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **ინგლისი** | | |
| | | | პრემიერლიგა | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ს | ტოტენჰემი 1:1 | 14 | შეცვლაზე ითამაშა |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ბარნლი 0:1 | 61 | შეცვალეს |
| | | | პირველი დივიზიონი | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | ს | ჩესტერი 4:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| | | | **გერმანია** | | |
| | | | ბუნდესლიგა | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 0:1 | 0 | ტრავმა |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 0:1 | 90 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 0:1 | 0 | ტრავმა |
| | | | მეორე ბუნდესლიგა | | |
| რევაზ არველაძე | ობერჰაუზენი | შ | კარლსრუე | | გადაიდო |
| | | | **ჰოლანდია** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | | | | ტური გამოტოვა |
| | | | პირველი დივიზიონი | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | RBC 1:0 | 90 | |
| | | | **ბელგია** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ლომელი 1:5 | 0 | 3 გაფრთხილების გამო გამოტოვა |
| | | | პირველი დივიზიონი | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | ს | ჰეკენგემი 0:1 | 90 | |
| | | | **შვეიცარია** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ქსამაქსი 1:1 | 61 | შეცვალეს |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ქსამაქსი 1:1 | 90 | გოლი, შეცვალეს |
| | | | **საბერძნეთი** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | აეკ 0:3 | 69 | შეცვალეს |
| | | | **ისრაელი** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქფარ საბა) | ს | აშდოდი 2:3 | ? | |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | შ | ჰ. ფეთაჰ-თიკვა 2:0 | ? | არ გაუტანია |

დილა | «ბ» ზონა — მესამე ადგილი | საქართველოს ჩემპიონატი I ეტაპი

# დილას აპ-კარგი

რა სჯობს უზრუნველ ცხოვრებას, არც არაფერი. მთავარია, არ გციოდეს, არ გშიოდეს და გწყუროდეს. დღევანდელ საქართველოში ასეთი ყოფით იოლად გაიტან თავს. ზედმეტი ფული და ფუფუნება დღეისთვის მხოლოდ თავის ტკივილი და დავიდარაბაა ჩვენში. ფულიანებს მეტი სანერვიულო და საზრუნავი აქვთ, მათ ყველგან უსაფრთხებიან, ყველგან მახეს უგებენ და ყველა აწუხებს.

ხომ უკეთესია, ცოტა გქონდეს და გემრიელად, უშფოთველად ცხოვრობდე?!

სწორედ ასეთი ყოფის მიმდევარია ეროვნული ჩემპიონატის ნამდვილად თვითმყოფადი გუნდი გორის „დილა". გორელები გაზაფხულ-შემოდგომაზე (უფრო კი შემოდგომით) ციბრუტივით ტრიალებენ, იმდენ მოსავალს მოიმკიან, რომ ზამთარ-ზაფხულ უზრუნველად იყვნენ და ახალი მოსავლის მოლოდინში არიან განცხრომით.

მეთერთმეტე ეროვნულის პირველი ეტაპი მიილია. არც ახლა, არც ადრე არ ყოფილა შემთხვევა, გორის „დილას" ჯგუფიდან გავარდნის საქმე დამდგარიყოს დღის წესრიგში. „დილას" ათეულში მოხვედრა და ჯანმრთელობა მუდამ გარანტირებული ჰქონდა. ჩვეულებისთვის, ტრადიციისთვის არც წლეულს უღალატიათ გორელებს. საჭირო იყო საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა და საპრობლემოც რაღააო, იკითხეს არხეინმა გორელებმა. ცოტა მოინდომეს და არის საუკეთესო რვა გუნდი, რა თქმა უნდა, „დილასთან" ერთად.

გორი ფეხბურთის უშრეტ სამჭედლოდაც იქცა. საფეხბურთო სკოლები საკმაოზე მეტი აქვთ; იზრდებიან და მერე „დილაში" ვაჟკაცდებიან ფეხბურთელები. ამიტომაცაა, რომ მოწვეული მოთამაშეების გარეშეც იოლად გადიან ფონს.

„დილა" ის გუნდია, რომელსაც ერთნაირად, უდრტვინველად შეუძლია ქულა აართვას საჩემპიონოდ მებროლ „ტორპედოს" და უიმედოდ წააგოს „მერანთან" ან „გორდასთან".

გორში მწვრთნელად მიმავალ კაცს რკინის ქალამნები უნდა ეცვას და ხელში რკინისავე ჯოხი ეჭიროს, თორემ... ძნელია გორში მწვრთნელობა.

ფეხბურთის ყადრიც კარგად იციან გორელებმა, უყვართ და ესმით სპორტის ეს სახეობა, ამიტომაცაა იქაური „ცენტრალური" მუდამ მღელვარე და ხალხმრავალი.

ყოფილა დრო, „დილას" ძალიან გასჭირვებია, არ ყოფილა ფული, არც სხვა სიკეთე, მაგრამ მაინც გაუძლიათ.

ახლა სიტუაციას სტაბილური ეთქმის. თენგიზ ბურჯანაძე და გურამ ნოზაძე ქალაქის თავკაცებთან ერთად ხელფას-პრემიების, მგზავრობის პრობლემებს აუდიან, მაგრამ შედეგი ჯერ-ჯერობით ძველებურია.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გორის „დილას" გაცილებით მეტი შეეძლო, მაგრამ მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ გუნდში არეულობა და დაბნეულობა შექმნა. ასეთ დროს არსებულ შედეგზე მეტის მიღწევაც არარეალური იქნებოდა.

ჩემპიონატი მერაბ ხუციშვილის თაოსნობით დაიწყეს გორელებმა. გუნდის გაახალგაზრდავებაზე აქცენტაღებული მწვრთნელის დებიუტი ურიგო არ იყო. ფეხბურთელებსაც თვალში მოსდიოდათ ახალი თავკაცი. ხუციშვილი ცდილობდა რაღაც სიახლე შეეტანა „დილას" თამაშში.

დანამდვილებით ვერავინ თქვა, რატომ წავიდა ხუციშვილი. რა მოხდა ისეთი, რატომ გაირბინა შავმა კატამ მწვრთნელსა და კლუბის თავკაცებს შორის. ხუციშვილის მხარდამჭერები იყვნენ ფეხბურთელები და გულშემატკივრებიც, მაგრამ თავკაცმა ნათქვამი არ გადათქვა და ტვირთი ივანე თაყაძემ წამოიკიდა.

თაყაძე ის კაცი იყო, რომელსაც „დილას" საკეთილდღეოდ გვარიანი ოფლი ჰქონდა დაღვრილი. ის წინა ჩემპიონატში თავკაცობდა „დილას" და გუნდი უპრობლემოდ დარჩა უძლიერესთა შორის.

თაყაძის თავკაცობამაც რამდენიმე ტურს გასტანა. ყველაფერი იოლად გადაწყდა. მწვრთნელმა იცოდა, რომ დროებით იყო სათავეში, რომ ხელმძღვანელები მის შემცვლელს ეძებდნენ. იპოვეს კიდეც და თაყაძემაც გუნდის უფროსის ვაკანტური ადგილი ჩაიბარა.

მერაბ კოჭლაშვილი უცხო კაცი არ არის გორელებისთვის, ერთხელდ თავად იყო მთავარი, მეორედ ნიკა ამირეჯიბს ეხმარებოდა. ორჯერვე სოლიდური გუნდი ჰყავდა.

„დილას" ძირითადი ბირთვი მეტად ნაცნობი და ახლობელია კოჭლაშვილისთვის. ახლანდელი ვეტერანები ხომ მის ხელში დაფრთიანდნენ. ახალდანიშნულმა მწვრთნელმა დასახულ მიზანს მიაღწია. „დილას" ჯგუფიდან გავარდნა არ ემუქრება. საკითხავი ისღაა, იქნება თუ არა წინსვლა.

თავისი არხეინობით და უდარდელობით „დილას" მუდამ თან სდევდა ბოროტი ხმები. ეკუთვნოდა თუ არა, მტყუანი იყო თუ მართალი, მაინც ბევრ რამეში ადანაშაულებდნენ. არავინ იცის, იყო თუ არა ის ბოროტი ხმები სიმართლის მღაღადებელი, თუმც ფაქტი ერთია, გორელები დიდად არც დაგიდევდნენ ჭორ-მართლად მოარულს.

პირველად „დილამ" გორდასთან წაიფორხილა. მხოლოდ რუსთაველებთან, ორრაუნდიან ბრძოლაში, ვერ გამორჩნენ ქართლელები ვერაფერს. 6 ქულა უბოძეს „გორდას". სამაგიეროდ, „გორდა" ჯგუფში დასარჩენად იბრძვის, „დილა" უზრუნველია.

დროა, რამდენიმე სიტყვა სათამაშო რგოლებზეც ვთქვათ. პირველი ეტაპის მთელმა სიმძიმემ გამოცდილებზე კი გადაიარა, მაგრამ არც ახალგაზრდებმა შეირცხვინეს თავი — თამაზ ციცქიშვილი, რევაზ ხაჭაპურიძე, ხვიჩა გაგნიძე, როინ მარლიშვილი. ამათ გვერდზე ქრისტეფორე შატაკიშვილმა, ლევან გოჩაშვილმა, საბა სულთანიშვილმა და სხვებმაც იბრძოლეს. რაც შეეხებათ რამაზ სოლოლაშვილს, პაატა ფეზუაშვილს, გიორგი ლომიძეს და მისთანებს, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად თავისუფლად შეიძლება, ძველგვარდიელები ვუწოდოთ.

სტაბილური და მზარდი ოსტატობის მეკარე, ხისტი, ბრძოლისუნარიანი და საიმედო დაცვის ხაზი, ნაკლებმოძრავი მაგრამ გამოცდილი ნახევარდაცვა და გამოუცდელი, თუმც ნიჭიერი თავდასხმა.

ცუდი დახასიათება ნამდვილად არ არის. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ რეზერვი ამოუწურავია, მაშინ „დილას" მთლად ქუდში ჰქონია თავი.

პირველ ეტაპზე „დილას" საგოლე მომენტების რეალიზაცია უჭირდა. ამიტომაც მისტიროდნენ ყაზახეთში სათამაშოდ გადაბარგებულ ზურაბ ხორგუაშვილს, თუმც მთავარი მეგოლე დაბრუნდა და ჩვეული ხელობაც დაიბრუნა.

გამორჩევით კი სამ მოთამაშეს აღვნიშნავდით — ლევან გოჩაშვილს, საბა სულთანიშვილს და მიხეილ თავაძეს. პირველი მცველია. ადრე მისი კარგი თამაშიც გვიხილავს, თუმც ჩავარდნებიც ჰქონია. არასტაბილურობა ასვამდა დაღს მის ბურთაობას, მაგრამ მდგომარეობა გამოუსწორებია და პირველი ეტაპის მეორე ნახევარი მაღალ დონეზე ჩაატარა.

დანარჩენი ორი შეტევის მოთამაშეები არიან. თავაძე და სულთანიშვილი, სწრაფი და ტექნიკური გარემარბები, ვფიქრობ, ახლო მომავალში არაერთ პრობლემას შეუქმნიან მეტოქის მცველებს.

სულ ბოლოს ერთიც უნდა ვთქვათ. ეროვნული ჩემპიონატში ყველაზე მეტი თამაშის ჩამტარებელი, რეკორდსმენი ჯიმშერ მარეხაშვილი ხომ გახსოვთ?! როგორ არა, ის არ იყო, 300 მატჩამდე რომ ცოტალა დააკლდა და სეზონის დასაწყისშივე გაეყარა ფეხბურთსა და „დილას". ჰოდა, მარეხა დაბრუნდა, ითამაშა, კიდევ ითამაშებს, 300-საც გადასცდება და „დილასაც" გამოადგება.

ერთი სასიამოვნო ტენდენციაც შეინიშნება გორში, ფეხბურთის იქაურ ქომაგებს უკვე აღარ აკმაყოფილებთ მხოლოდ ჯგუფში დარჩენა და უზრუნველი ცხოვრება, დროა, საპრიზო ადგილებს ჩვენც გავუსინჯოთ გემოო.

მთავარია, აზრი დაიბადა, ახლა არა, მერეც შეიძლება. ამ გათამაშებით, იმედია, საქართველოს ჩემპიონატი არ იხურება. გორელებმა თუ მოინდომეს, აუცილებლად აისრულებენ საწადელს. თავის დროზე გორელი მთელ მსოფლიოს აზანზარებდა, საპრიზო ადგილი, თანაც საქართველოში, რაღა ბედენაა.

**მამუკა ქვანტალიანი**



ბადრი ილურიძის ფოტო

ივანე თაყაძე და მერაბ ხუციშვილი



ბადრი ილურიძის ფოტო

ზურაბ ხორგუაშვილი (ვარდნაში) „დილას" პირველი ეტაპის მიწურულს შეუერთდა და 5 მატჩში 5-ჯერ გაიტანა

**პირველი ეტაპის შედეგები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თსუ | 1:1 შ | მარლიშვილი |
| 2 | ტორპედო | 2:2 ს | თაყაძე, სულთანიშვილი |
| 3 | კოლხეთი | 3:0 შ | ლომიძე 2, სულთანიშვილი |
| 4 | გორდა | 0:2 ს | |
| 5 | ხობი | 1:0 შ | ზ. აიანადი (ს.კ.) |
| 6 | იბერია | 2:0 შ | სულთანიშვილი, არუთინიანი |
| 7 | მერანი | 1:3 ს | მარლიშვილი |
| 8 | თსუ | 1:0 ს | თაყაძე |
| 9 | ტორპედო | 0:5 შ | |
| 10 | კოლხეთი | 0:3 ს | |
| 11 | გორდა | 1:2 შ | მარლიშვილი |
| 12 | ხობი | 3:2 ს | ხორგუაშვილი 2, ლომიძე |
| 13 | იბერია | 1:2 ს | ხორგუაშვილი |
| 14 | მერანი | 3:2 შ | ხორგუაშვილი 2, ციცქიშვილი |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| საბა სულთანიშვილი | 14 | 3 | 1 | 0 |
| ხვიჩა გაგნიძე | 14 | 0 | 3 | 0 |
| რევაზ ხაჭაპურიძე | 14 | 0 | 5 | 0 |
| ლევან გოჩაშვილი | 13 | 0 | 1 | 0 |
| თამაზ ციცქიშვილი | 13 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი ლომიძე | 12 | 3 | 1 | 1 |
| როინ მარლიშვილი | 12 | 3 | 0 | 0 |
| ქიტესა შატაკიშვილი | 12 | 0 | 4 | 1 |
| მიხეილ თაყაძე | 12 | 2 | 3 | 0 |
| ვახტანგ აკოფიანი | 10 | 0 | 2 | 0 |
| რამაზ სოლოლაშვილი | 10 | -17 | 1 | 0 |
| პაატა ფეზუაშვილი | 9 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ჩიტაია | 7 | 0 | 2 | 0 |
| ნოე არუთინიანი | 7 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ ხორგუაშვილი | 5 | 5 | 0 | 0 |
| ბექა ჩიტაია | 5 | 0 | 1 | 0 |
| დავით მდივანი | 4 | -7 | 0 | 0 |
| არჩილ ოლგესაშვილი | 4 | 0 | 0 | 0 |
| დავით მაისურაძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| ჯიმშერ მარეხაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 |
| ????? კარელიძე | 1 | 0 | 0 | 0 |
| ????? სამხარაძე | 1 | 0 | 0 | 0 |




თ - თამაში; გ - გოლი; ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 14 | 11 | 3 | 0 | 33:5 | 28 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 14 | 19 |
| 2 | კოლხეთი | 14 | 8 | 1 | 5 | 19:15 | 4 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 14 | 6 | 2 | 6 | 19:24 | -5 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | იბერია | 14 | 5 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 5 |
| 5 | გორდა | 14 | 5 | 1 | 8 | 17:18 | -1 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 13 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 6 | თსუ | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | -5 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | -5 | 6 |
| 7 | მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 8 | ხობი | 14 | 2 | 4 | 8 | 15:24 | -9 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |

**მეორე ეტაპი**

I-VIII ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| 2 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| 3 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 4 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| 6 | სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| 7 | დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| 8 | იბერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩევანი



№3

ელგუჯა ბერიშვილი



ალექსანდრე კოტრიკაძის ფოტო

ნოდარ ახალკაცი და გიორგი ბაქანიძე: კენჭისყრამდე ბევრი არაფერი რჩება

### ჩათრევას ჩაყოლა სჯობია

კამათმა აზრი დაკარგა.

სხდომის თავმჯდომარემ მაინც იკითხა: „კიდევ ვის სურს გამოსვლა"?

ადგილიდან: „ყიფიანი, ყიფიანი. „დინამოს" სახელით ვინმე გამოვიდეს".

ხმა: „ყიფიანი არ არის დარბაზში. გასულია".

სხდომის თავმჯდომარე: „აქ არის კახი ასათიანი".

უცნაური კია — საკავშირო ჩემპიონატში დარჩენა-არდარჩენის ამბავი წყდება, თბილისის „დინამო" კი ხმას არ იღებს. ჩუმად არის სპორტსახკომის ხელმძღვანელობაც.

ოფიციალურმა პირებმა, ეტყობა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს.

ერთადერთი, ვინც მიკროფონთან მისვლას არ მოერიდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპორტის სექტორის ინსტრუქტორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გიორგი მაკასარაშვილია. ის ამბობს, ეროვნული ჩემპიონატი რომ უნდა გაიმართოს, ამაში საკამათო არაფერია, მაგრამ აჯობებდა ჯერ საკავშირო ფედერაციასთან გაგვერკვია ურთიერთობა და გადაწყვეტილება მერე მიგვეღოო.

მაგრამ ყრილობა მოცდას არ აპირებს — მზად არის დღესვე, ახლავე მიიღოს გადაწყვეტილება.

კენჭისყრის დროც დგება.

### გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!

თავმჯდომარე: „...ვინ არის მომხრე, რომ კიდევ ერთი წელი ვითამაშოთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში? — თხუთმეტი კაცი. წინააღმდეგი? ...უმრავლესობა. თავი ვინ შეიკავა — სამმა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყდა: ფეხბურთის ახალი და დამოუკიდებელი ფედერაცია შეიმუშავებს ეროვნული ჩემპიონატის დებულებას. დღეიდან უარს ვაცხადებთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე!..."

(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში ფრიალებს ეროვნული დროშები).

არჩევანი გაკეთებულია. ამ წუთიდან ქართული ფეხბურთი ახალ ცხოვრებას იწყებს.

მშვიდობით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატო.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს!

მაგრამ რა იქნება ხვალ? როგორ წარიმართება საფეხბურთო ცხოვრება საქართველოში? სად ჩაგვისაფრდება საკავშირო ფედერაცია? რას გვეტყვიან ფიფასა და უეფაში?

კითხვა ბევრია, თუმცა ახლა, ამ დარბაზში ამაზე არავინ ფიქრობს.

ახლა აქ ორი სტიქია მძლავრობს: აღტაცება და გულისწყრომა.

აღტაცება დამოუკიდებლობის მომხრეებისა და გულისწყრომა იმათი, ვინც ჩვენი ფეხბურთის ახლო მომავალს ისევ საბჭოთა ფეხბურთს უკავშირებდა.

მალე სტიქიონი თბილისის ქუჩებში გადაინაცვლებს, საქართველოს გადასწვდება და მერე მის ფარგლებსაც გასცილდება.

ბევრი ითქმება და ბევრიც დაიწერება.

ზოგს ბრძოლა მოგებული ჰგონია, მაგრამ მთავარი ბრძოლები თურმე წინ არის.

ხვალ პროტესტის ნიაღვარი წამოვა და ყრილობის შედეგები საეჭვო გახდება.

მაგრამ ეს ხვალ იქნება.

### არც ჩემპიონატი არც თასი

ახლა კი ისევ ყრილობის დარბაზში დავბრუნდეთ. ასარჩევია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

თავმჯდომარე: „ვიდრე პრეზიდენტის არჩევნებზე გადავიდოდეთ, ერთ ბარათს გაგაცნობთ. აი, რას გვწერენ: „ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება სსრკ ჩემპიონატის დატოვების შესახებ, მაგრამ არაფერი გვითქვამს სსრკ თასის გათამაშებაზე. არადა, პირველ მარტს თამაშია" (იგულისხმება საბჭოთა კავშირის თასის 1989-90 წლების გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩი: თბილისის „დინამო" — კიევის „დინამო" — ე.ბ.)... მადლობა ვუთხრათ ბარათის ავტორს. აჯობებს ამ საკითხის გადაწყვეტა ახალარჩეულ პრეზიდიუმს მივანდოთ".

ადგილიდან: „არ გამოვა. მივლენ პირველში, ითამაშებენ. კენჭი ვუყაროთ".

თავმჯდომარე: „ვინ არის მომხრე, არ მივიღოთ მონაწილეობა სსრკ თასის გათამაშებაში? გთხოვთ გვიჩვენოთ მანდატები. ერთხმად! წინააღმდეგი ვინ არის? — არავინ. თავი ვინ შეიკავა? — არავინ!

ესეც გადაწყდა. არც ჩემპიონატი, არც თასი!

### კენჭისყრა

ასახელებენ კანდიდატებს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე: ნოდარ ახალკაცი, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ ბარქაია, ზურაბ პეტრიაშვილი, ილია დათუნაშვილი.

ბარქაია: „ჩემს თავს აცილებას ვაძლევ".

მაჩაიძე: „ამ თვენახევრის წინ, საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე ვისაუბრეთ შესაძლო კანდიდატებზე და არჩევანი კახი ასათიანზე შევაჩერეთ... ჩემს კანდიდატურას მაშინაც აცილება მივეცი და ახლაც იგივეს ვადასტურებ. ვასახელებ ასათიანს. გთხოვთ, ამ საკვანძო მომენტში მაინც გაითვალისწინოთ სპეციალისტთა აზრი".

პეტრიაშვილი: „მას შემდეგ, რაც ნოდარ ახალკაცი აქ გამოვიდა, მიძნელდება კენჭი ვიყარო. ჩემს კანდიდატურას ვხსნი ბატონი ნოდარის სასარგებლოდ".

დათუნაშვილი: „დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩემს თავს აცილებას ვაძლევ".

დარჩა ორი პრეტენდენტი — ახალკაცი და ასათიანი.

ახალკაცმა სათქმელი უკვე თქვა. რას იტყვის ასათიანი? ახლა მისკენ არის მიმართული დარბაზის მზერა... ყოყმანობს. აშკარაა, ბრძოლა წაგებულია. დღეს ახალკაცს ვერავინ შეაჩერებს. არადა, ერთხელ მაინც ხომ უნდა მივიდეს მიკროფონთან, თუნდაც კენჭისყრაზე უარის სათქმელად.

დარბაზი მოლოდინშია, ტრიბუნაზე კი ადის... ბუხუტი გურგენიძე (ჭადრაკის სასახლის დირექტორი): „ერთი განცხადება მაქვს. დიდი ხანია ჭადრაკის სასახლე, კიროვის პარკიც, ტერორისტების ხელშია. ირაკლი წერეთლის სახელით მოდიან და ყველაფერს ანგრევენ. ამ ბოლო დროს ასი შუშა ჩავსვით, ახლაც, როცა ყრილობა მიდის, ხულიგნებმა ჩალეწეს მარჯვენა მხარე. რაღაც გვიშველეთ".

რა ქნას ყრილობამ? „შუშალეწიებს" გამოუდგეს, კუდით ქვა ასროლინოს თუ სხდომა გააგრძელოს?

აქეთ-იქიდან ისმის: „პროვოკაციაა", „ყრილობის ჩაშლა უნდათ", „ნუ აჰყვებით ცეკას ხრიკებს"...

გურამ პეტრიაშვილი: „ამ დარბაზში შუშებზე საუბარი შეურაცხმყოფელია... ჩვენ უნდა ავირჩიოთ უკვე დაფუძნებული ფედერაციის პრეზიდენტი. დამოუკიდებელი ფედერაციის პრეზიდენტი დამოუკიდებელი საქართველოს მსურველი უნდა იყოს. რამდენიმე ხნის წინ გავიცანი თავისუფლად მოაზროვნე დიდებული ქართველი კაცი, თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე. ეს კაცი ბატონი ნოდარი გახლავთ. როგორც ფეხბურთის ერთ რიგით მოყვარულს, მგონია, რომ სწორედ ის გაუწევს სამსახურს ერს და ფეხბურთს".

ტრიბუნას დავით ყიფიანი უახლოვდება. თავმჯდომარე მას აძლევს სიტყვას.

დავით ყიფიანი:"განცხადება უნდა გავაკეთო. ეს ეხება თბილისის „დინამოს", რომლის მწვრთნელიც მე ვარ. მეგობრები დამეთანხმებიან, რომ დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი მეც ვიყავი. ჩემი აზრით, საქართველოს ყველა საფეხბურთო გუნდი უნდა დაექვემდებაროს დამოუკიდებელ ფედერაციას. მაგრამ მეორესაც ვიტყვი: ამ დარბაზში მსხდომთა ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, გარკვეული არ არის მსოფლიოს საფეხბურთო ცხოვრებაში. კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ აზრს, თითქოს ფიფა მუხლდაჩოქილი შეგვეხვეწება (ხმაური დარბაზში)... თქვენზე ცოტა მეტი გვითამაშია, გვიფიქრია და გვიგორებია ბურთი... აქ ფიფას წესდების პუნქტები წაიკითხეს. ეს წესდება მე ჩამოვიტანე თბილისში (ხმაური დარბაზში). არა აქვს მნიშვნელობა ვინ ჩამოიტანა. მთავარია, ღრმად ჩავიხედოთ წესდებაში. იქ არის მუხლი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ბრძოლა ფიფაში გასაწევრიანებლად. მაგრამ, ვიმეორებ, ეს ძნელი საქმეა... ჩვენ გვინდოდა მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულიყო. ეს არ გულისხმობდა ხუთ-შვიდ წელიწადს, მაქსიმუმ ერთ წელზე იყო ლაპარაკი... თბილისს ერთი ბალახისაფარიანი მოედანი აქვს, არ არის სპორტული ფორმა, ბურთები, არ გვყავს კადრები, ჩვენ კი უცებ, დღეს გვინდა გადავწყვიტოთ..."

ხმა ადგილიდან: „უკვე გადავწყვიტეთ".

ყიფიანი: „როგორ გადაწყვიტეთ?"

თავმჯდომარე: „როცა ხალხი თქვენს გამოსვლას მოითხოვდა, დარბაზში არ ბრძანდებოდით. ახლა თქვენ იმაზე ლაპარაკობთ, რაც გადაწყვეტილია".

ყიფიანი: „წესდება ხელთ არ მქონდა და იმიტომ გავედი... ჩემი პოზიციაც უნდა გეკითხათ. რაკი ასეა, მეორე საკითხზე მოგახსენებთ. ფედერაციის პრეზიდენტად უნდა ავირჩიოთ პიროვნება, რომელიც შეძლებს ქართული ფეხბურთის პრობლემათა მოგვარებას".

ხმა დარბაზიდან: „ვინ მიგაჩნიათ ასეთად?"

ყიფიანი: „ტრიბუნაზე ვდგავარ, უხერხულია აგიტაცია. არ მინდა წინა გამომსვლელს დავემსგავსო. ვიმეორებ, კარგად დავფიქრდეთ და სწორი არჩევანი გავაკეთოთ".

დავით ყიფიანს თავის რჩეული არ დაუსახელებია, მაგრამ ისედაც ცხადია — მისი სიმპათიები კახი ასათიანისკენ იხრება.

კახი ასათიანი: „ნება მიბოძეთ, მადლობა გადავუხადო ყველა მეგობარს, ვინც ჩემი კანდიდატურა წამოაყენა. ვეტერან ფეხბურთელთა შეკრებაზე გადაწყვიტეს, რომ მე უნდა ვყოფილიყავი პრეზიდენტი ამ ფედერაციისა. ვიფიქრე, ალბათ, ერს ასე სჭირდება, ბევრი საქმეა გასაკეთებელი. იმედი მქონდა, რომ საქმეს თავს გავართმევდი. ახლა ვითარება იცვლება, გვიპირისპირებენ სახალხო ფრონტს. თუ ადრე ხალხს ცენტრალური კომიტეტი ნიშნავდა, ახლა სახალხო ფრონტი ირჩევს... თუ ვინმეს ჰგონია, რომ ახალკაცს ცუდად ვიცნობ, ცდება. რვა წელი ვიმუშავეთ ერთად... თუ მას მიაჩნია, რომ ამ დიდ საქმეს გაუძლვება, დამითმია პრეზიდენტის პოსტი".

ასათიანმა მოვლენებს დაასწრო. კენჭისყრა ჯერ არ გამართულა, ყრილობისგან პრეზიდენტის პოსტი მას არ მიუღია და ახალკაცს როგორ დაუთმობდა?!

მიკროფონთან ნოდარ ახალკაცი მიდის: „მესმის საითკენ მიდის ეს საუბარი... ჩემი პოზიცია უკვე გაგაცანით. დღეისთვის არავითარი კონკრეტული პროგრამა არ გამაჩნია. პროგრამა ერთობლივად უნდა შევიმუშაოთ. ყოველგვარი დაპირისპირების წინააღმდეგი ვარ, პრეზიდენტობისა და თანამდებობისთვის არ ვიბრძვი. თუ გადაწყვეტთ და ფედერაციაში რაიმე საქმეს დამავალებთ, მზად ვარ ვიმუშაო"...

თავმჯდომარე: „ასათიანს უნდა მივმართო — მოხსენით თქვენი კანდიდატურა?"

კახი ასათიანი: „მოვხსენი... ბატონმა ნოდარმა უხელმძღვანელოს ფედერაციას. ვუსურვებ, ბევრი გაეკეთებინოს ჩვენი ეროვნული მოძრაობისთვის".

ხმა დარბაზიდან: „თქვენი ბრალია, რომ მოხსნა... ემოციებზეა ყველაფერი ასე როგორ შეიძლება. იძულებით მოახსნევინეთ კანდიდატურა. ახალკაცს იმიტომ ვირჩევთ, რომ ყველაფერში გვეთანხმება. კაცმა თქვა ავად ვარო... ნახევარი სეზონი ტელეფონით ხელმძღვანელობდა გუნდს. ახლაც ასე აპირებს? (ხმაური). ღასახელდა ასათიანი და უყარეთ კენჭი".

თავმჯდომარე: „რაკი ერთი პრეტენდენტი დარჩა, აჯობებს ღია კენჭისყრა მოვაწყოთ... ვინ არის მომხრე, ნოდარ ახალკაცი არჩეულ იქნას ფედერაციის პრეზიდენტად? გთხოვთ მანდატების აწევით დაადასტუროთ. გთხოვთ დაუშვათ. ვინ არის წინააღმდეგი? ექვსი კაცი. თავი ვინ შეიკავა? — ხუთმა. ამგვარად, ხმის უმრავლესობით ნოდარ ახალკაცი არჩეულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად" (მქუხარე ტაში. ფეხზე ადგომით ესალმებიან).

პრეზიდენტი არჩეულია. მალე წესდებასაც დაამტკიცებენ... ყრილობა სრულდება, მაგრამ კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდება.



ალექსანდრე კოტრიკაძის ფოტო

კახი ასათიანი (შუაში) კანდიდატურა ჯერ არ მოუხსნია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთ ამერიკა

## ბრაზილია

**ფინალი. პირველი მატჩი**
**ატლ. მინეირო 3:2 კორინთიანსი**

ატლეტიკოელმა გილიერმომ მატჩში ანგარიში უკვე მეთხუთმეტე წამზე გახსნა. მან შემდეგ კიდევ ორჯერ დალაშქრა კარი და ჰეთ-თრიქი შეასრულა. მასპინძელთა სამს „კორინთიანსმა" ორი გოლით უპასუხა. აღსანიშნავია, რომ სტუმართა კაპიტანი, კოლუმბიელი ფრედი რინკონი შეხვედრის დებიუტშივე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

მატჩის გმირი გილიერმო ამავე დროს ბრაზილიის ჩემპიონატის ბომბარდირიცაა. მის ანგარიშზე 28 გოლია. ქვეყნის პირველობაზე სეზონში გატანილი ბურთების რეკორდი ედმუნდოს ეკუთვნის. ორი წლის წინ მან 29 გოლის გატანა მოახერხა. ასე რომ, გილიერმოს ედმუნდოს შედეგის განმეორება და გაუმჯობესებაც შეუძლია. „ატლეტიკო" და „კორინთიანსი" სულ ცოტა ერთხელ კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს, შესაძლოა მესამე მატჩის ჩატარებაც გახდეს საჭირო. ბრაზილიური წესებით, თუ რომელიმე გუნდმა ორივე შეხვედრა ვერ მოიგო, მესამე ინიშნება. სამი თამაშის ჯამში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულს ბურთების უკეთესი შეფარდება გამოავლენს. თუ გუნდებს ეს მაჩვენებლებიც ერთნაირი ექნებათ, ჩემპიონი ის ხდება, ვინც ჯგუფურ ეტაპზე უფრო მაღალი ადგილი დაიკავა.

თვლიან, რომ ჩემპიონობის უკეთესი შანსი „კორინთიანსს" აქვს. მეორე და მესამე მატჩები სწორედ მის მინდორზე ჩატარდება.

ამასობაში დანარჩენი ბრაზილიური კლუბები ახალ მწვრთნელებს ეძებენ. „სან პაულუ" დატოვა პაულო სეზარ კარპეჯანიმ. ეს ის მწვრთნელია, ვინც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე პარაგვაის ნაკრები მერვედფინალში გაიყვანა. კარპეჯანი გაისად რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოს" ჩაუდგება სათავეში. მის შემცვლელად ლევირ კულპის ასახელებენ. კულპი ერთი თვის წინ „კრუზეიროდან" გაათავისუფლეს.

## არგენტინა

მე-18 ტური: რივერ პლეიტი — ფერო კარილი 4:1; ბელგრანო — ბოკა ხუნიორსი 1:5; არგენტინოს ხუნიორსი — როსარიო სენტრალი 1:2; ხიმნასია ხუხუი — სან ლორენსო 0:0;ველეს სარსფილდი — ინსტიტუტო 0:1; ხიმნასია ლა პლატა — ტალერესი 4:5; ლანუსი — კოლონი 0:1; ინდეპენდიენტე — ესტუდიანტესი 0:0; უნიონი — რასინგი 3:3

არგენტინის ჩემპიონატის პირველი ეტაპის — „აპერტურას" დასრულებამდე ერთი ტურილა დარჩა. ჩემპიონობის მოპოვების შანსს ერთბაშად სამი გუნდი ინარჩუნებს: „რივერ პლეიტი", „ბოკა ხუნიორსი" და „როსარიო". თუმცა ბოლო ორის ბედი „რივერის" შედეგზეა დამოკიდებული. თუ ამ გუნდმა ბოლო მატჩი არ წააგო, ჩემპიონიც ის ხდება — დანარჩენებს მას ველარ ეწევიან. ორი გუნდის მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული „ოქროს მატჩი" გაიმართება. თუ სამივე მათგანმა ერთნაირი შედეგით დაასრულა ჩემპიონატი, შესაბამისად, სამთა ტურნირი მოეწყობა.

ბოლოსწინა ტურში კი სამივე ფავორიტმა მოიგო. „რივერმა" 4:1 გაანადგურა აუტსაიდერი „ფერო კარილი". რივერელმა ხავიერ სავიოლამ, რომელსაც იმ დღეს 18 წელი შეუსრულდა და კოლუმბიელმა ხუან პაბლო ანხელმა „ფეროს" კარში ორი გოლი შეაგდეს. სავიოლას სეზონში 14 გატანილი ბურთი დაუგროვდა. ამ მაჩვენებლით მან ჩემპიონატის ბომბარდირს, მარტინ პალერმოს გადაუსწრო. პალერმო, მოგეხსენებათ, მძიმე ტრავმის გამო კარგა ხანია, ველარ თამაშობს. „ბოკამ" თავის მეტოქე „ბელგრანოს" კიდევ უფრო დიდი ანგარიშით — 5:1 მოუგო. როგორც ჩანს, გუნდს პალერმოს არყოფნა ნაკლებად ემჩნევა.

„როსარიო" „არგენტინოს ხუნიორსთან" მატჩში უფრო მოკრძალებულ ანგარიშს დასჯერდა. 2:1 — ასეთია ამ შეხვედრის შედეგი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 18 | 13 | 4 | 1 | 43:19 | 43 |
| ბოკა | 18 | 12 | 4 | 2 | 36:15 | 40 |
| როსარიო | 18 | 13 | 1 | 4 | 33:18 | 40 |
| სან ლორენსო | 18 | 10 | 5 | 3 | 28:13 | 35 |
| ტალერესი | 18 | 9 | 3 | 6 | 38:31 | 30 |
| ველესი | 17 | 8 | 5 | 4 | 26:14 | 29 |
| რასინგი | 18 | 6 | 9 | 3 | 24:21 | 27 |
| ჩაკარიტა | 16 | 6 | 5 | 5 | 34:26 | 23 |
| ლანუსი | 18 | 7 | 2 | 9 | 21:27 | 23 |
| ინდეპენდიენტე | 18 | 5 | 7 | 6 | 16:19 | 22 |
| ლა პლატა | 18 | 4 | 9 | 5 | 27:25 | 21 |
| ესტუდიანტესი | 18 | 5 | 5 | 8 | 26:31 | 20 |
| უნიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:29 | 20 |
| ბელგრანო | 18 | 5 | 5 | 8 | 23:24 | 20 |
| კოლონი | 18 | 5 | 4 | 8 | 19:26 | 19 |
| ინსტიტუტო | 18 | 4 | 7 | 7 | 20:29 | 19 |
| არგ. ხუნიორსი | 18 | 3 | 9 | 6 | 18:21 | 18 |
| ოლდ ბოიზი | 17 | 3 | 6 | 8 | 19:24 | 15 |
| ფერო კარილი | 18 | 1 | 6 | 11 | 12:40 | 9 |
| ხუხუი | 18 | 2 | 3 | 13 | 16:40 | 9 |

## კოლუმბია

ჩემპიონის ტიტულს საზაფხულო ჩემპიონატის გამარჯვებული „ამერიკა" და საშემოდგომო ჩემპიონატის პირველადგილოსანი „ატლეტიკო ნასიონალი" შეეცილებიან ერთმანეთს. „ატლეტიკომ" ეს უფლება მას შემდეგ მოიპოვა, რაც საშემოდგომო ჩემპიონატის ფინალში „მედელინი" დაამარცხა. ფინალი ორმატჩიანი იყო. გუნდების პირველი შეხვედრა 0:0 დამთავრდა. საპასუხო მატჩი 48-ე წუთზე გატანილი ვილმერ ორტეგონის ერთადერთი გოლით „ატლეტიკომ" მოიგო. თავად თამაში სკანდალური აღმოჩნდა. „ატანასიო ჟირარდოტის" სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივართაგან ვილაცამ თანამსაჯს რკინის საგანი ესროლა. შეხვედრა დროებით შეწყდა და გუნდების კაპიტნებს ხალხის დასაწყნარებლად გვარიანი გარჯა დასჭირდათ.

## აფრიკის თასი. ნიგერია

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ დაასახელა იმ 29 ფეხბურთელის სია, რომელნიც 2000 წლის 22 იანვრიდან აფრიკის თასის გათამაშებაში ჩაებმებიან.

*მეკარეები იკე შორუნმუ (ბეშიქთაში, თურქეთი), ნდუბიუსი ეგბო (ალ ნასრი, ეგვიპტე), მერფი აკანჯი (ჯულიუს ბერგერი); მცველები: სელესტინ ბაბაიარო (ჩელსი, ინგლისი), ჰარისონ ომოკო (პლატო იუნაიტედი), ტარიბო ვესტი (მილანი, იტალია), ემეკა იფეჯიაგვა (ოსასუნა, ესპანეთი), ჯერო შაკპოკე (ლუგანო, შვეიცარია), გოდვინ ოკპარა (პსჟ, საფრანგეთი), ეფეტობორი სოჯე (ლუთონი, ინგლისი), ადილე ეჩენდუ (ფორტუნა, დიუსელდორფი, გერმანია), ემანუელ ტებერენი (ალთაი, თურქეთი), გბენგა ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია); ნახევარმცველები: სანდი ოლისე (იუვენტუსი, იტალია), მუტიუ ადეპოჟუ (სოსიედადი, ესპანეთი), აუგუსტინ „ჯეი-ჯეი" ოკოჩა (პსჟ, საფრანგეთი), გარბა ლავალი (როდა, ჰოლანდია), კარიბე ოჯიგვე (კაიზერსლაუტერნი, გერმანია); თავდამსხმელები: დანიელ ამოკაჩი (ბეშიქთაში, თურქეთი), ემანუელ ამუნიკე (ბარსელონა, ესპანეთი), ბენედიქტ აკვუეგბუ (გრაცერი, ავსტრია), ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი, ჰოლანდია), ჯორჯ ფინიდი (ბეტისი, ესპანეთი), ნვანკვო კანუ (არსენალი, ინგლისი), დელე ადებოლა (ბირმინგემი, ინგლისი), ჯულიუს აგაოვა (ესპერანსი, ტუნისი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი, გერმანია), კენეტ ზეიგბო (ვენეცია, იტალია), ვიქტორ იკპება (ბორუსია, დორტმუნდი, გერმანია)*



ბექემების ოჯახი: ვიქტორია, ბრუკლინი და დევიდი

# ბექემმა ვაჟს პიპია უყიდა

საოცარი ვინმე ყოფილა ეს დევიდ ბექემი, „მანჩესტერ იუნაიტედში" რომ თამაშობს, იმაზე მოგახსენებთ. ბურთს რომ ბრწყინვალედ აგორებს, მთელმა მსოფლიომ ხომ იცის და იცის. გარდა კენწლაობისა მას თურმე მანქანებიც ჰყვარებია. ჯერ იყო და საკუთარი „ფერარით" სიჩქარე ისე გადააჭარბა (80 კმ-სთ სავალ ზონაზე 122 კმ-სთ-ით გაიარა), რომ ინგლისის პოლიციამ არ დაინდო და საკუთარი ქვეყნის ნაკრების ლიდერს მართვის მოწმობა ჩამოართვა, თანაც საკმაოდ სოლიდური თანხითაც დასაჯა. მაგრამ რას გააწყობდნენ, კანონის დამრღვევი, კანონის დამრღვევია და ყველა ერთწესად უნდა დაისაჯოს, იქნება ეს მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი, თუ სასადილოს უბრალო მზარეული!

ბექემმა ალბათ მართვის უფლების ჩამორთმევა ვერ აიტანა და პოლიციელთა ჯინაზე თავის ვაჟს ახალი „ფერარი" უყიდა. თანაც იხუმრა კიდეც, ერთ-ერთ ჩვენგანს მაინც ექნება შანსი, მანქანა ატაროსო...

მაგრამ მთავარი საოცრება ის გახლავთ, რომ უმცროსმა ბექემმა რომელსაც ბრუკლინი (ნიუ იორკის ერთ-ერთი უბნის საპატივცემულოდ) ჰქვია, არამც თუ მანქანის ტარება, ლაპარაკიც არ იცის... რატომ? ჯერ მხოლოდ ცხრა თვისაა და იმიტომ. არადა, მანაქანა ისეთი ჰყავს, ბევრ სახელოვან პილოტს შემშურდება, საბავშვო... ორადგილიანი... ტყავის სალონით... სრული აუდიო აპარატურის კომპლექტით. ოდნავ რომ წამოიზრდება, გაივლ-გამოივლის ქუჩებში, დაქალებს ჩაისვამს.

ფასს არ იკითხავთ? ბრუკლინის მანქანა არც მეტი, არც ნაკლები 80 ათასი დოლარი ღირს.

„რა ვქნათ, ვერ დავიცადით, სანამ ბრუკლინი მართვას ისწავლის" — აცხადებს მის ადამსი-ბექემისა, „სპაის გერლზში" რომ მღერის და ვიქტორია ჰქვია.

# ვინც ქარგად მოიქცევა

ვინაიდან ინგლისი და გერმანია ერთმანეთს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას ეცილებიან, ევრო 2000-ზე მათი შეხვედრის დროს გულშემატკივართა ქცევას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობაც მიენიჭოს.

„ის გარემოება, რომ ფიფამ 2000 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძელი სწორედ გაისად უნდა დაასახელოს, გვაიმედებს. სავარაუდოა, რომ როგორც ინგლისის ასევე გერმანიის მთავრობები ყველა ღონეს იხმარენ, რათა მათი საფეხბურთო ნაკრებების თამაშის დროს ინციდენტი არ მოხდეს" — განაცხადა ევროპის ჩემპიონატის კოორდინატორმა, ალან კურტისმა პრეს-კონფერენციაზე.

პროგნოზის თანახმად, ევრო 2000-ზე ყველაზე აგრესიული გულშემატკივარი სწორედ ინგლისელ და გერმანელ ფეხბურთელებს ეყოლებათ. ასეთი პროგნოზის საფუძველს კი საფრანგეთში 1998 წელს ჩატარებული მსოფლიოს პირველობა იძლევა. მაშინ ინგლისელმა ხულიგნებმა მარსელში მოაწყვეს სერიოზული რბევა, ხოლო გერმანელებმა ლანსში ადგილობრივი ჟანდარმი კინაღამ მოკლეს.

შეგახსენებთ, რომ ორ ევროპულ ქვეყანას, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში კონკურენტებად ბრაზილია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა ჰყავს.

ევრო 2000-ის მასპინძლებს კარგად ესმით, რომ ბელგიის პატარა ქალაქ შარლერუაში გასამართი ინგლის-გერმანიის შეხვედრა ეგრეთწოდებულ მაღალი რისკის მატჩებს განეკუთვნება, მაგრამ ისინი იმავდროულად აცხადებენ, რომ შეჯიბრებისთვის ყოველმხრივ მზად არიან.

შარლერუას მერმა, ჟაკ ვან გომპელმა განაცხადა, რომ როგორც კი გაირკვა თუ რა შეხვედრას უნდა უმასპინძლოს მისმა ქალაქმა, მყისვე დამატებით უსაფრთხოებაზე დაიწყო ფიქრი. მისდა საბედნიეროდ მატჩს, რომელიც 17 ივნისს შედგება უკვე გამოეხმაურა ბელგიის პრემიერ მინისტრი გი გერ ჰოფსტადტი, რომელმაც ახლავე გასცა მეზობელ ქალაქთა პოლიციის რაზმების შარლერუაში გადასროლის განკარგულება.

რაც შეეხება ბილეთების განაწილებას, ორგანიზატორთა თქმით მათი ბოლო ნაკადი სულ მალე გაიყიდება, უფრო სწორედ შესაბამისი კანონების თანახმად გაუნაწილდება შეჯიბრების მონაწილე 16 ქვეყანას.

ეს ბოლო ნაკადი, 40 ათას ბილეთს მოიცავს.

თავიდან ყველა ფედერაცია მისთვის გამოყოფილი რაოდენობის ნახევარს მიიღებს, ხოლო შემდეგ, თუ ყველა ბილეთის მფლობელს დაასახელებს (31 იანვრამდე), მიიღებს დანარჩენ 40 პროცენტსაც. საბოლოო 10 პროცენტი 29 თებერვლის შემდეგ გადაეცემა იმ ფედერაციებს, რომლებიც ამ ვადაში ორგანიზატორებს ყოველგვარ, ამომწურავ ინფორმაციას მიაწოდებენ.


## იყიდება

ოროთახიანი, ორაივნიანი ბინა
დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონის
დასაწყისში, მე-6 სართულზე

☎ 66 48 12


# ფიფა შავ ბაზარს ებრძვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ნილისყრის დასრულებისთანავე ფიფაში ბილეთების გაყიდვაზე ალაპარაკდნენ. სპეკულაცია — აი, მათი მთავარი საზრუნავი. აქამდე გვეგონა, რომ ეს პრობლემა საბჭოური სისტემის შედეგი იყო. ასე არ აღმოჩნდა. სპეკულაცია იქ არის, სადაც რაიმეს დეფიციტი შეინიშნება. ჯერ არსად აუგიათ იმხელა სტადიონები, მსოფლიოს ჩემპიონატებზე დასწრების ყველა მსურველი რომ დააკმაყოფილოს. ფიფამ ეს კარგად იცის. ამიტომაც თადარიგის დაჭერას აქედანვე აპირებს.

საუკუნის ბოლოს კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ სპეკულაციასთან ბრძოლის ახალი საშუალებები წარმოქმნა. ამ საშუალებებს ბელგია — ჰოლანდიაშიც გამოიყენებენ და კორეა — იაპონიაშიც. საუბარია ინდივიდუალურ ბილეთებზე.

მატჩებზე დასწრების მსურველი ოფიციალურად რეგისტრირებულ ბილეთების გასაყიდ ოფისში უნდა მიბრძანდეს და პასპორტი წარადგინოს. მისი სახელი და მისამართიც კი ბილეთზე დაიბეჭდება და ერთიანი კომპიუტერული ქსელით სხვა ანალოგიურ ოფისებს გადაეცემა. შეზღუდულია ერთ პირზე გასაცემი ბილეთების რაოდენობაც. ეს რიცხვი ოთხით განისაზღვრა. ფიფა მარტივ არითმეტიკულ გათვლას აკეთებს — ოთხი ბილეთის მყიდველი მათ თავისთვის და სამი მეგობრისთვის ყიდულობს. მეტს თუ მოინდომებს, სპეკულანტია. ფიფას ვიცე-პრეზიდენტის დევიდ უილის განცხადებით, საბოლოო გეგმა მარტში მომზადდება, ბილეთების გაყიდვას კი გაისად შემოდგომაზე დაიწყებენ. რამდენად ეფექტური აღმოჩნდება მცდელობა, დრო აჩვენებს. ისე, საეჭვოა, სპეკულანტები ბედს შეურიგდნენ და რამე ეფექტურ კონტრზომას არ მიმართონ.

ბილეთებთან დაკავშირებით ერთი პრობლემაც არსებობს, რომელსაც არაფერი ეშველება. ეროვნული ფედერაციებისთვის მათი განაწილების სისტემა კმაყოფილს არავის ტოვებს. ასე იყო უნინ, ასე იქნება ახლაც. მთლიანობაში დაახლოებით სამი მილიონი ბილეთი დაიბეჭდება. მათგან თითოეული მასპინძელი ქვეყანა 750 ათას ცალს მიიღებს. დანარჩენი რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანას გაუნაწილდება. წილებზე ლაპარაკს ფიფაში ერიდებიან. დევიდ უილი ამბობს: „ამ საკითხზე გადაწყვეტილებას ჯერ ვერ მივიღებთ. თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სტადიონების უმეტესობას რეკონსტრუქცია უტარდება. მათი საბოლოო ტევადობა ჯერ არ ვიცით".

საინტერესოა, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბილეთების 65 პროცენტი მასპინძლებს დარჩათ.

დაბოლოს, სპეკულაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ფაქტი. საკონტინენტთაშორისო თასის ფინალის ბილეთი 98 დოლარი ღირდა. შავ ბაზარზე გამოტანილ ამ ბილეთებში ფეხბურთის თავგამოდებულ ქომაგებს ათასი დოლარის გადახდა მოუხდათ.


რეკლამა
სარბიელის-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

# ტარიბო ვესტი სან სიროდან, სან სიროზე



ტარიბო ვესტი

თანაქალაქური კლუბების გულშემატკივრები რომ ერთმანეთს ვერ იტანენ, ძველი ამბავია. თამამად შეიძლება ითქვას, ნიგერიელი ტარიბო ვესტი მილანელი მოქალაქეების ნახევრის საძულველ მტრად იქცევა. ზუსტი თარიღიც შეგვიძლია ვთქვათ — 4 იანვარი. სწორედ ამ დღეს იტალიაში სატრანსფერო სეზონი იხსნება. როგორც ამბობენ, მარჩელო ლიპის სამომავლო გეგმებში ვესტის ადგილი არ მოიძებნება, მაგრამ „ინტერისთვის" ამ ფეხბურთელის გაშვება მაინც დიდი დანაკლისია. საქმე ისაა, რომ 25 წლის ნიგერიელს კონტრაქტის ვადა უთავდება და მასში საკომპენსაციო თანხას ვერავინ მოითხოვს. ამიტომ „ინტერმა" ერთი კი გაიბრძოლა, ფეხბურთელს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ ვესტი ამას დათანხმდებოდა? მისი მსურველები უმალ გამოჩნდნენ, მათ შორის „ლივერპული" და „გალათასარაი". ფეხბურთელმა ამ გუნდებს „მილანი" ამჯობინა, თან შორსაც არ მოუწევს წასვლა. ვესტის მუქთად ჩაგდებით გახარებულმა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ თქვა: „ვესტი სწორედ ის ფეხბურთელია, ვინც ალბერტო ძაკერონისთვის მეტად სასარგებლო იქნება".

როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, ახალი კონტრაქტი მხოლოდ 4 იანვრის შემდეგ გაფორმდება. იქამდე ტარიბო ვესტი „მილანში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

თავის დროზე ვესტი „ინტერში" ფრანგული „ოსერიდან" გადავიდა. 1997 წელს იტალიელებმა მასში 3,4 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

# ვარსკვლავებიც ტირიან

რაზე ოცნებობენ ადამიანები? ფულზე, სახელის მოხვეჭაზე, ჯანმრთელობაზე, მოსიყვარულე ცოლ-შვილზე... როდესაც ეს ყველაფერი გექნება, ახალი სურვილებიც ჩნდება. ასეთები ბევრი ვიცით, ზინედინ ზიდანი. მაინც რაზე ოცნებობს ეს კაცი? თავად მას მოვუსმინოთ: „ტურინში ცხოვრება ძალიან მიჭირს. ეს ინდუსტრიული ქალაქია. იგი იტალიის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, მაგრამ ჩემი ოცნების ქალაქი ნამდვილად არ არის. მე მზე და ზღვა მიყვარს. სიამოვნებით გადავიდოდი საცხოვრებლად ესპანეთის რომელიმე ზღვისპირა ქალაქში, მაგრამ..." აქ მრავალწერტილში „იუვენტუსი" იგულისხმება. „ბებერი ქალბატონის" შავთეთრი მაისურა, რომელიც ზიდანის კერპს — მიშელ პლატინის ეცვა, ახლა მისი საკუთრებაა. პატარა ზინედინს ბავშვობაში უნახავს და დღემდე ახსოვს ტრაპატონისეულ „იუვენტუსში" პლატინის თამაში.

წინა სეზონში ტურინულმა კლუბმა ცუდად ითამაშა. ზიდანი ამბობს, მარჩელო ლიპის კლუბში პატარ-პატარა უთანხმოებები ჰქონდაო. თანაც შემადგენლობა თითქმის უცვლელია, გუნდი კი ლიდერთა შორის იმყოფება.

თუმცა ზიდანმა იცის, რომ ყველაფრის ლიპისთვის გადაბრალება არასწორია. ფრანგმა საკუთარი თავიც გაიკრიტიკა: „მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა მაწუხებდა, თავს მაინც დამნაშავედ ვთვლი. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ცოტაოდენი დასვენება გადავწყვიტე. როგორც ჩანს, ზედმეტი მომივიდა".

მარჩელო ლიპი წავიდა, ზინედინ ზიდანმა დაისვენა, რა იქნება შემდეგ?

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბლექბერნ როვერსის" ხელმძღვანელობამ სეზონის ბოლომდე მთავარ მწვრთნელად ტონი პარკესი დაამტკიცა. კლუბის მფლობელმა ჯეკ უოლკერმა იმჟამინდელ თავკაცთან — ბრაიან კიდთან ნოემბრის დასაწყისში შეწყვიტა კონტრაქტი. მიზეზი ცუდი სტარტი გახლდათ: „ბლექბერნმა" 14 შეხვედრიდან მხოლოდ 3 მოიგო. პარკესი გუნდს ბრაიან კიდის წასვლის შემდეგ ავარჯიშებდა და თავისი ხელიც დაატყო. შეგახსენებთ, რომ 1995 წლის ინგლისის ჩემპიონი პრემიერლიგიდან ქვედა დივიზიონში შარშან გავარდა.

ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებებს აწარმოებს დანიელ ფეხბურთის სპეციალისტ რიქარდ მიოლერ ნილსენთან, რათა ამ უკანასკნელმა ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩაიბაროს. ფედერაცია აშკარად უკმაყოფილოა ამჟამინდელი თავკაცის, შლომო შარფის მოღვაწეობით, რომლის ხელმძღვანელობითაც ნაკრები ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი ოფში დანიელებთან ორმატჩიან პაექრობაში გამანადგურებელი ანგარიშით 0:8 დამარცხდა და ბელგია-ჰოლანდიის საგზურს გამოემშვიდობა. ნილსენმა, რომელმაც დანიის ნაკრები 1992 წელს ევროპის ჩემპიონი გახადა, სულ ახლახან დატოვა ფინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი. საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ 62 წლის ნილსენს წლის გასამრჯელოდ ... ნმავლობაში 480 ათასი დოლარი შესთავაზა.

იტალიური „ბარის" სამხრეთაფრიკელ ფორვარდს ფილ მასინგას ოპერაცია ელის და სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. მასინგას სერია A-ს უკანასკნელი ტურის მატჩი „ლეჩეს" წინააღმდეგ ტრავმის გამო არ ჩაუტარებია. ექიმების ცნობით, ფეხბურთელს ოპერაციას, ალბათ, ხუთშაბათს გაუკეთებენ, ხოლო ამის შემდეგ მინიმუმ ხუთი თვე დასვენება და ფორმის აღდგენა მოუწევს.

სომხეთის ჩემპიონობა უკვე მესამედ, გუმრის „შირაქმა" მოიპოვა, მას შემდეგ, რაც გასული სეზონის გამარჯვებულ „ცემენტს" ფრედ 0:0 ეთამაშა. ეს მატჩი გადადებული იყო, წინა, 4 დეკემბრის შეხვედრა (1:0 „ცემენტის" სასარგებლოდ) სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაწყობილად მიიჩნია და შედეგიც გააუქმა. მთავარი დამნაშავე მსაჯი სლავიკ კაზარიანი გახლდათ, რომელმაც ჯერ „შირაქის" ფეხბურთელი გააძევა, დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ერევნის „არარატი" მეორე ადგილზე გავიდა, მესამეზე — „ცემენტი".

რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ერთ-ერთ დისკოთეკაზე ქალაქის ორი გუნდის — „სპარტაკისა" და ცსკა-ს ფანები წაიჩხუბნენ, რის შედეგადაც 20 ადამიანი მძიმედ დაშავდა. დაახლოებით 200 გულშემატკივარი მას შემდეგ წაკინკლავდა, რაც კლუბში შესვლაზე ვერ შეთანხმდნენ. პოლიციამ ფანები ნახევარ საათში დააშოშმინა. რუსეთში გულშემატკივართა ამგვარი შეტაკებები ერთობ გახშირად. იმავე „სპარტაკისა" და ცსკა-ს ქომაგებმა ამ რამდენიმე ხნის წინ, მოსკოვიდან 40 კმ-ის დაშორებით, რამენსკოეს დასახლებაში ხელჩართული ბრძოლა გამართეს, იქვე განლაგებული მაღაზიების ვიტრინები და ავტომანქანები სერიოზულად დააზიანეს.

ბრაზილიელი ნახევარმცველი ალესანდრო დოს სანტოსი, ვისაც საფეხბურთო სამყარო ალექსის სახელით იცნობს და რომელიც იაპონიის J ლიგის გუნდ „შიმიცუ ეს-პულსში" ასპარეზობს, ამ დღეებში ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. დაჯილდოების ცერემონიალი ოროშაბათს იოკოჰამას არენაზე გაიმართა, სადაც სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები გაირკვა. წლის საუკეთესო მწვრთნელად იმავე „შიმიცუ ეს-პულსის" ინგლისელი თავკაცი სტივ პერიმანი გამოცხადდა, ხოლო საუკეთესო მსაჯად — შოტლანდიელი რეფერი ლესლი მოთრამი. 22 წლის ალექსი, რომელმაც იაპონიაში კარგი სეზონი ჩაატარა, ამ ჯილდომ ძალიან გაახარა და ეს არც დაუმალავს. ცერემონიალზე J ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელთა საუკეთესო სიმბოლური ნაკრებიც დაასახელეს: მასანორი სანადა, რუიზო მორიოკა, ტოშიჰიდე საიტო (სამივე „ეს-პულსი"), იუჯი ნაკაზავა (ვერდი), შუნსუკე ნაკამურა (მარინოსი), ალექსი, ტეროუში იტო, მასააკი სავანობორი (სამივე ეს-პულსი), კაში ფუკუნიში (ჯუბილო), ვანგ სუნ ჰონგი (ოსაკა), დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია გრამპუსი).

რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ვლადიკავკაზის „ალანიას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი — ვალერი გაზაევი ამ დღეებში მოსკოვის „დინამოს" თავკაცად დაამტკიცეს. მან პოსტზე ალექსეი პეტრუშინი შეცვალა. ეს უკანასკნელი გუნდს სათავეში ზაფხულში ჩაუდგა, როცა „დინამომ" წარუმატებლობების გამო გიორგი იარცევი დაითხოვა. „ჩვენ გაზაევს სამწლიანი კონტრაქტი შევთავაზეთ. გვჯერა, რომ იგი გუნდს გააჩემპიონებს და ჩემპიონთა ლიგის ადგილს მოუპოვებს" — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ნიკოლაი ტოლსტიხმა. „დინამო" ჩემპიონი ბოლოს 1976 წელს, იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის პირველობისას გახდა. გაზაევს კი მოსკოვური გუნდი უკვე მეორედ ანდეს — იგი 1990-დან 1993 წლამდე სწორედ „დინამოს" წვრთნიდა და ორჯერ რუსეთის საუკეთესო სამეულშიც მოახვედრა. ამის შემდეგ „ალანიაში" გადავიდა და 1995 წელს გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა.

ესპანური მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილმა საკმაოდ სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო — გულშემატკივრებს, რომელთაც გუნდის თამაშებზე დასასწრები აბონემენტები წინასწარ შეიძინეს, შეუძლიათ უკან ჩააბარონ და თავიანთი ფული მიიღონ. ეს განცხადება ხილმა რვაკაციან „ვალენსიასთან" შინ დამარცხების შემდეგ გააკეთა. „რა ვქნა, რისი გაკეთებაც შემიძლია, მხოლოდ ის გახლავთ, რომ ქომაგებს ფული უკან შევთავაზო" — თქვა მან, თუმცა მან აქვე აღნიშნა, რომ მიუხედავად წარუმატებლობისა და განცდილი კრახისა, ჰოლანდიელ ფორვარდ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გარეშე უფრო უარესი სიტუაციის მოწმენი გახდებოდნენ: „გამოგიტყდებით, რომ არა ჯიმი, რომელსაც მიმდინარე სეზონში 12 გოლი აქვს გატანილი, ბოლო პოზიციაზე ვიქნებოდით".

მაროკოს მეფე მოჰამედმა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის გამართული კამპანიის თავმჯდომარედ თავისი ძმა — პრინცი მულაი რაშიდი დანიშნა. მოგეხსენებათ, მაროკო აქტიურად იბრძვის ამ უფლებისთვის, რომელსაც მას ბრაზილია, ინგლისი, გერმანია და სამხრეთ აფრიკა ეცილებიან.

## უნგრეთი

XVII ტური

**დუნაფერი 6:0 დიოშდიორი**

1:0 ზადავსკი (14), 2:0 ტიოკიოლი (38), 3:0 ნადი (45), 4:0, 5:0 ტიოკიოლი (57, 70), 6:0 იაკლი (82პ)

**ვაშაში 4:0 შიოფოკი**

1:0, 2:0 გალაშეკი (20პ, 28), 3:0 სოვუნმი (50), 4:0 სილვესტერი (52)

**სეგედი 1:1 კიშპეშტი**

1:0 ბაშიკში (66), 1:1 ვუკოვიჩში (77)

**დიორ ეტო 4:0 ნიირშეგი**

1:0, 2:0 პერჟეგი (44, 46), 3:0 ბაიუსი (66), 4:0 ეროში (83)

**ვაცი 0:4 უიპეშტი**

0:1, 0:2 კშილაგი (29, 73), 0:3 ტერჯეკი (76), 0:4 ტოტი (90პ)

**ზალაეგერსეგი 1:1 ტატაბანია**

0:1 მესიოლი (16), 1:1 საბო II (18პ)

**ჰალადაში 0:2 ფერენცვაროში**

0:1 ჰორვატი (30), 0:2 ტოტი (55)

**მტკ 1:2 დებრეცენი**

0:1 შიკლოში (26), 0:2 ბოდნარი (36), 1:2 კენეშეი (59)

**გასერი 1:0 ნადიკანიჟა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 17 | 10 | 6 | 1 | 44:15 | 36 |
| ვაშაში | 17 | 11 | 1 | 5 | 32:16 | 34 |
| მტკ | 17 | 9 | 6 | 2 | 30:14 | 33 |
| დებრეცენი | 17 | 8 | 5 | 4 | 25:18 | 29 |
| გასერი | 16 | 7 | 7 | 2 | 22:18 | 28 |
| უიპეშტი | 16 | 7 | 6 | 3 | 28:19 | 27 |
| ტატაბანია | 17 | 6 | 8 | 3 | 20:19 | 26 |
| დიორ ეტო | 17 | 6 | 6 | 5 | 28:18 | 24 |
| ზალაეგერსეგი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:13 | 24 |
| ფერენცვაროში | 16 | 6 | 4 | 6 | 24:15 | 22 |
| ჰალადაში | 17 | 5 | 3 | 9 | 18:26 | 18 |
| დიოშდიორი | 17 | 4 | 6 | 7 | 17:27 | 18 |
| ნიირშეგი | 17 | 4 | 5 | 8 | 15:30 | 17 |
| კიშპეშტი | 16 | 3 | 7 | 6 | 14:19 | 16 |
| ნადიკანიჟა | 17 | 3 | 6 | 8 | 14:22 | 15 |
| შიოფოკი | 17 | 5 | 2 | 10 | 13:27 | 14 |
| სეგედი | 17 | 3 | 5 | 9 | 13:38 | 14 |
| ვაცი | 17 | 1 | 5 | 11 | 15:39 | 8 |

„შიოფოკს" დაკლებული აქვს 3 ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოკოლი (დუნაფერი) | 13 |
| ჰორვატი (ფერენცვაროში) | 10 |
| ფრუნზა (დიოშდიორი) | 8 |
| კენეშეი (მტკ) | 8 |

## რუმინეთი

გამოტოვებული მატჩი

**არჯეში 4:0 სტიაუა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 17 | 2 | 1 | 58:15 | 53 |
| არჯეში | 20 | 13 | 3 | 4 | 31:15 | 42 |
| რაპიდი | 20 | 13 | 3 | 4 | 35:20 | 42 |
| ჩაჰლეული | 20 | 11 | 4 | 5 | 27:25 | 37 |
| გლორია | 20 | 10 | 2 | 8 | 28:24 | 32 |
| ასტრა | 20 | 9 | 3 | 8 | 31:24 | 30 |
| ბაკეუ | 20 | 8 | 5 | 7 | 21:24 | 29 |
| სტიაუა | 19 | 9 | 2 | 8 | 36:37 | 29 |
| უნივერსიტატეა | 20 | 8 | 4 | 8 | 26:20 | 28 |
| პეტროლული | 20 | 7 | 4 | 9 | 24:31 | 25 |
| ოცელული | 20 | 7 | 3 | 10 | 31:33 | 24 |
| ნაციონალი | 20 | 6 | 4 | 10 | 27:26 | 22 |
| ფარული | 20 | 6 | 4 | 10 | 24:34 | 2 |
| ბრაშოვი | 20 | 6 | 3 | 11 | 29:30 | 21 |
| როკარი | 19 | 7 | 0 | 12 | 24:31 | 21 |
| ონეშტი | 20 | 6 | 3 | 11 | 24:44 | 21 |
| რესიტა | 20 | 4 | 5 | 11 | 24:45 | 17 |
| ექსტენსივი | 20 | 4 | 2 | 14 | 15:37 | 14 |

## ალბანეთი

XII ტური. დინამო — ბილიში 0:0; ტირანა — შკიპონია 4:1; ფლამურტარი — ელბასანი 3:0; ვლაჟნია — აპოლონია 1:0; შკენდერბო — ლუშნია 2:1; ტეუტა — შკუმბინი 2:0; ტომორი — პარტიზანი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეუტა | 12 | 8 | 1 | 3 | 16:6 | 25 |
| ტირანა | 12 | 6 | 3 | 3 | 19:6 | 21 |
| ტომორი | 12 | 6 | 3 | 3 | 31:9 | 21 |
| შკიპონია | 12 | 5 | 4 | 3 | 10:8 | 19 |
| ლუშნია | 12 | 5 | 3 | 4 | 16:12 | 18 |
| ვლაჟნია | 12 | 5 | 3 | 4 | 13:13 | 18 |
| ბილიში | 12 | 4 | 5 | 3 | 15:15 | 17 |
| ელბასანი | 12 | 5 | 2 | 5 | 11:14 | 17 |
| დინამო | 12 | 4 | 4 | 4 | 12:11 | 16 |
| შკუმბინი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| შკენდერბო | 12 | 4 | 2 | 6 | 10:14 | 14 |
| პარტიზანი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:14 | 13 |
| ფლამურტარი | 12 | 3 | 1 | 8 | 13:21 | 10 |
| აპოლონია | 12 | 1 | 4 | 7 | 5:22 | 7 |

## პორტუგალია

XIV ტური

**ბენფიკა 3:2 ლეირია**

1:0 ნუნო გომეში (3), 1:1 ემანუელ დუა (26), 2:1 კანდაუროში (53), 3:1 მანიშ რიბეირო (73), 3:2 ემანუელ დუა (83)

**სეტუბალი 1:4 პორტუ**

0:1 ჟარდელი (38), 0:2 რუბენს ჟუნიორი (47), 0:3 ჟარდელი (59), 1:3 ფრენუტ რიბეირო (79), 1:4 ჟარდელი (81პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 9 | 4 | 1 | 28:8 | 31 |
| ბენფიკა | 14 | 9 | 3 | 2 | 22:10 | 30 |
| სპორტინგი | 14 | 9 | 3 | 2 | 22:12 | 30 |
| ბოავიშტა | 14 | 8 | 3 | 3 | 16:10 | 27 |
| მარიტიმუ | 14 | 7 | 4 | 3 | 18:10 | 25 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 7 | 2 | 5 | 20:14 | 23 |
| გიმარაეში | 14 | 6 | 4 | 4 | 22:17 | 22 |
| ამადორა | 14 | 5 | 6 | 3 | 17:14 | 21 |
| ბელენენსეში | 14 | 4 | 6 | 4 | 14:12 | 18 |
| ალვერკა | 14 | 5 | 2 | 7 | 13:18 | 17 |
| სანტა კლარა | 14 | 3 | 5 | 6 | 17:20 | 14 |
| ბრაგა | 14 | 4 | 2 | 8 | 18:22 | 14 |
| რიუ ავე | 14 | 3 | 5 | 6 | 16:22 | 14 |
| კამპომაიორენსე | 14 | 4 | 2 | 8 | 12:21 | 14 |
| სალგეირუში | 14 | 4 | 2 | 8 | 9:19 | 14 |
| ფარენსე | 14 | 2 | 6 | 6 | 9:23 | 12 |
| ლეირია | 14 | 2 | 4 | 8 | 11:18 | 10 |
| სეტუბალი | 14 | 2 | 3 | 9 | 12:26 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჟარდელი (პორტუ) | 18 |
| რამონი (მარიტიმუ) | 9 |
| კლეიტონი (სანტა კლარა) | 8 |
| გაუჩო გომეში (ამადორა) | 8 |

## საბერძნეთი

XI ტური. კალამატა — აპოლონი 1:1; ოლიმპიაკოსი — პანილიაკოსი 2:1; კავალა — პანიონიოსი 3:7; იონიკოსი — ირაკლისი 1:1; ტრიკალა — პრუდეფტიკი 0:0; არისი — ეთნიკოსი 1:1; პაოკ — ქსანტი 5:0; აეკ — პანაჰაიკი 3:0; ოფი — პანათინაიკოსი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 11 | 10 | 0 | 1 | 34:8 | 30 |
| პანათინაიკოსი | 11 | 9 | 2 | 0 | 27:8 | 29 |
| ოფი | 11 | 8 | 1 | 2 | 22:13 | 25 |
| არისი | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 19 |
| აეკ | 11 | 5 | 3 | 3 | 21:16 | 18 |
| პანილიაკოსი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:13 | 17 |
| ირაკლისი | 11 | 5 | 1 | 5 | 22:21 | 16 |
| პაოკ | 11 | 4 | 3 | 4 | 21:17 | 15 |
| იონიკოსი | 11 | 3 | 6 | 2 | 12:13 | 15 |
| პანიონიოსი | 11 | 5 | 0 | 6 | 20:28 | 15 |
| ქსანტი | 11 | 3 | 5 | 3 | 11:11 | 14 |
| ეთნიკოსი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:19 | 13 |
| პანაჰაიკი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:13 | 12 |
| პრუდეფტიკი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:15 | 9 |
| აპოლონი | 11 | 1 | 4 | 6 | 7:14 | 7 |
| კალამატა | 11 | 1 | 4 | 6 | 9:21 | 7 |
| ტრიკალა | 11 | 1 | 3 | 7 | 8:21 | 6 |
| კავალა | 11 | 1 | 3 | 7 | 7:20 | 6 |

## იტალია

სერია B

**ბრეშა 0:1 ჯენოა**

0:1 კარპარელი (32)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 15 | 9 | 2 | 4 | 30:17 | 29 |
| ბრეშა | 15 | 7 | 7 | 1 | 21:9 | 28 |
| ატალანტა | 15 | 8 | 3 | 4 | 21:14 | 27 |
| ნაპოლი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:15 | 26 |
| სამპდორია | 15 | 6 | 6 | 3 | 16:12 | 24 |
| ალძანო | 15 | 6 | 4 | 5 | 17:20 | 22 |
| ტრევიზო | 15 | 6 | 3 | 6 | 22:17 | 21 |
| ჩეზენა | 15 | 4 | 8 | 3 | 20:16 | 20 |
| რავენა | 15 | 4 | 8 | 3 | 17:14 | 20 |
| მონცა | 15 | 4 | 8 | 3 | 15:15 | 20 |
| კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 18:19 | 19 |
| სალერნიტანა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:22 | 18 |
| ტერნანა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:18 | 18 |
| კოზენცა | 15 | 3 | 8 | 4 | 11:13 | 17 |
| ჯენოა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:16 | 16 |
| პესკარა | 15 | 3 | 7 | 5 | 20:22 | 16 |
| ემპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 8:20 | 16 |
| პისტოიეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 13:17 | 14 |
| სავოია | 15 | 2 | 6 | 7 | 12:22 | 12 |
| ფერმანა | 15 | 1 | 4 | 10 | 11:25 | 7 |

## ინგლისი

ასოციაციის თასი

მესამე ეტაპი

**არსენალი 3:1 ბლექპული**

1:0 გრიმანდი (23), 1:1 კლარკსონი (38), 2:1 ადამსი (65), 3:1 ოვერმარსი (89)

**იფსვიჩი 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 რიჩარდსი (40)

# სანამ ათ თამაშს ზედიზედ არ წააგებს

**არსენ ვენგერი მშვიდი კაცია. ფეხბურთელებს ემოციურად, თურმე, არასდროს ელაპარაკება, თვით მნიშვნელოვანი შეხვედრების შესვენებების დროსაც კი. თუმცა ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, უფრო სხვა რაღაცაზე მიგვითითებს. კერძოდ, იმაზე, რომ თანამედროვე ფეხბურთში დიდი კლუბების მწვრთნელები უფრო ბიზნესმენებს ჰგვანან და საქმეთა გაძღოლისთვის მრავალი ისეთი საკითხის ცოდნა მოეთხოვებათ, მათ უწინდელ კოლეგებს აზრად რომ არ მოუვიდოდათ.**



არსენ ვენგერი

**— ამ სეზონში „არსენალს“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ გასულ სეზონთან შედარებით, უჭირთ. როგორ ხსნით ამას?**

— მიზეზი ორია: ჯერ ერთი კლუბები ევროშეჯიბრებებში მონაწილეობენ და მეორეც, თავად პრემიერლიგა გაძლიერდა. დღეს ნებისმიერ ინგლისურ კლუბს ჰყავს სულ მცირე ორი ისეთი ფეხბურთელი, რომელთაც შენი დამარცხება შეუძლიათ. მაგალითად „მიდლსბრო“ მოვიყვანოთ. ამ გუნდში ციგეჟუნინიო, ინსი და გესქოინი თამაშობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იღბლიან დღეს ისინი ნებისმიერ მოწინააღმდეგეს მოუგებენ. თუნდაც ცხრილის ბოლოში მყოფ „შეფილდ უენსდის“ შევხედოთ. მას ჰყავს იონკი, ალექსანდერსონი, დე ბილდე და რუდი — თითოეული მათგანი თავისი ქვეყნის ნაკრების წევრია. მოკლედ, პრემიერლიგაში იოლი თამაში აღარ არსებობს.

**— მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ლომის წვლილი ჩემპიონთა ლიგას მიუძღვის.**

— ბუნებრივია, თავის როლს ჩემპიონთა ლიგაც თამაშობს, ვინაიდან კვირაში სამჯერ ძალთა სრულ მობილიზებას ძნელად ვინმე თუ შეძლებს. ამ დროს მწვრთნელები შემადგენლობათა ცვლის მეთოდს მიმართავენ, რაც თავის სირთულეებს ამატებს. წამდაუწუმ სწორი გადაწყვეტილების მიღება ძნელია. როდის და რატომ უნდა შეცვალოს მწვრთნელმა ფეხბურთელი? ყოველი თუ ყოველი ორი თამაშის შემდეგ? იქნებ სამი მატჩის მერეა ამის გაკეთება საჭირო? ამ კითხვებზე ცხადი პასუხი არ არსებობს.

**— ერთი რამ კი ცხადია, მოთამაშეები ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში უფრო ანთებულნი გახლავან, ვიდრე პრემიერლიგაში გამოსვლის დროს.**

— ხანდახან ევროპული გუნდები სულაც არ არიან პრემიერლიგის ჩვეულებრივ მოწინააღმდეგეებზე ძლიერი, ამიტომ მიზეზი მენტალიტეტში უნდა ვეძიოთ. როდესაც მწვრთნელები ამბობენ, რომ ჩემპიონთა ლიგა ყველაფერზე მნიშვნელოვანია, ამით ფეხბურთელებს ალაგზნებენ, ისინიც პრესტიჟულ შეხვედრებს ანთებულნი ხვდებიან და შემდეგ ეროვნული პირველობის თამაშებში უჭირთ. ვგონებ, მომავალში ფასეულობათა გადაფასება იქნება საჭირო.

**— როგორ ფიქრობთ, „არსენალი“ პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლაში წლეულს უკეთეს პოზიციაზეა, ვიდრე 12 თვის წინ?**

— მგონი, ახლა უფრო სერიოზული გუნდი გვყავს. მოთამაშეები მუდმივად ხვეწენ თავიანთ ოსტატობას და მაშინაც კი, როდესაც რაიმე მიზეზის გამო მოედანზე ლიდერების გარეშე რჩებიან, ამტკიცებენ, რომ ღირსეულად თამაშის უნარი შესწევთ. მოკლედ, ჩემი აზრით ჩვენ თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს არ ჩამოვრჩებით, თუმცა, ბუნებრივია, წარმატებათა მოსაპოვებლად რაღაც-რაღაცეების განახლება და გაძლიერება მარად საჭიროა. ყველაზე მეტად კი ის მსიამოვნებს, რომ „არსენალს“ არც ამბიცია აკლია, არც თავდადება და არც პოტენციალი.

**— ამ დროს კი დადის ხმები, რომ თქვენ იაპონელებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების მწვრთნელად უნდიხართ.**

— „არსენალთან“ ჩემს კონტრაქტს ვადა 2002 წლის ივნისში გაუდის. ამ კონტრაქტს უეჭველად ვუერთგულებ და შევეცდები ლონდონში წარმატებებს მივაღწიო, ხოლო რაც შეეხება ჭორებს, რომელიც თქვენ ახსენეთ, ისინი იმიტომ გაჩნდა, რომ ადრე იაპონიაში ვმუშაობდი. საბოლოოდ იმის თქმა მინდა, რომ აქედან წასვლას არ ვაპირებ. მხოლოდ ერთი ვარიანტია საამისოდ, თუ „არსენალი“ ზედიზედ ათ შეხვედრას წააგებს და თანამდებობიდან მომხსნიან.

**— რას იტყვით ისეთ სიტუაციებზე, როი კინს რომ ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედში“? მოკლედ, იქნებ გვითხრათ, რას ფიქრობთ წამყვანი ფეხბურთელების შესანარჩუნებლად კლუბების მხრივ სახელფასო სისტემების დარღვევაზე?**

— დღეს უკვე ძნელია იმის თქმა, რა ნორმალურია და რა არა. სწორედ ამიტომ უჭირთ კლუბებს საკუთარი სახელფასო სისტემების დაცვა. ჩვენ შევეცდებით ჩვენი წეს-კანონი არ დავარღვიოთ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ კი გამონაკლისის დაშვება მოუხდა და ამიტომ იძულებული გახდება იგივე სხვისთვისაც გააკეთოს. ვერ გეტყვით აქვს თუ არა ამ კლუბს იმდენი ფული, ყველას კინისავით რომ გადაუხადოს, ეს მისი პოლიტიკის საქმეა, ჩვენ კი სტრუქტურას შევინარჩუნებთ, ყველას კარგად გადავუხდით, თუმცა თანამედროვე ფეხბურთში ამის გაკეთება ძალიან [illegible]. შეიძლება [illegible] ფეხბურთელს კარგად გადაუხადო, სხვებს კი ჩვეულებრივად [illegible] შემო- შექმნილი ვითარება [illegible], განსაკუთრებით ბოსმანის წესის გამო. ამიერიდან „მანჩესტერ იუნაიტედს“ კინის ბადალი სხვა ფეხბურთელის ყიდვა რომ მოუნდეს, ძალიან დიდი თანხის გაღება მოუხდება.

**— ნვანკვო კანუს შესახებაც გვითხარით. რჩება „ჰაიბერიზე“?**

— კანუს 1999 წლის განმავლობაში ახალ კონტრაქტს დავპირდით, თუმცა ჯერ მას ხელი არაფრისთვის მოუწერია. ყოველ შემთხვევაში ჩვენს სახელფასო სისტემას არ დავარღვევთ. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. ძალიან მინდა, ეს ფეხბურთელი „არსენალში“ დარჩეს. ის თავიდან ექვსი თვით მოვიდა, ოღონდ იმ პირობით, რომ თუ მოგვეწონებოდა, ვიყიდდით. ვგონებ, იგი „ინტერში“ უფრო მეტ ხელფასს იღებდა. ისეთი რაღაცეები კი ხდება, როდესაც ესა თუ ის მოთამაშე „ნასესხები“ გყავს. ვერ გეტყვით კანუს „ინტერთან“ რა შეთანხმება ჰქონდა, მაგრამ ჩვენთან „არსენალის“ სახელფასო სტრუქტურას ემორჩილება.

**— „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგიდან ადრეულ სტადიაზე გავარდა. იქნებ ამან პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლაში კარგი საქმეც კი გაგიკეთოთ.**

— ლიგიდან გამოვარდნა დატვირთვას ნაწილობრივ გვაკლებს, მაგრამ უეფას თასზე მონაწილეობაც არ გახლავთ ნაკლებად დამღლელი. შესაძლოა ლიგის გარეშე დარჩენილმა ფეხბურთელებმა ინგლისის პირველობაზე მეტი წარმატება მოიპოვონ, თუმცა დღეს ქვეყანაში ყველაზე გაწონასწორებული გუნდი მაინც „მანჩესტერ იუნაიტედია“. სეზონის დასაწყისში ვთქვი, რომ პრემიერლიგა ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, მაგრამ ჩემპიონთა თასიდან ნაადრევად გამოვარდნა და მთელი ყურადღების, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ შეჯიბრებაზე გადატანაც ცუდია.

365-დან თარგმნა
**მიხეილ სურგულაძემ**

# ყველაზე ჭკვიანი კაცი

ვინ არის ქვეყნად ყველაზე ჭკვიანი?

ბილ გეიტსი? არა. ის მილიარდები შევარცხვინე ტუალეტში ხუთი წუთით რომ ვერ შეხვალ. შეხვალ და მდივანი კარს გინგრევს ტოკიოდან გირეკავენო, ჯიბეში კი მობილური რიო დე ჟანეიროდან გიკივის.

კოფი ანანი? უი, არა. რა თავში ვიცემ თანამდებობას, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის მოგონილი, რომ ჩეჩნით დაწყებულმა და ზულუთი დამთავრებულმა უმისამართოდ არ იგინოს. ჩხიკვ ზაქარას ქეთევანი ცოლობაზე უარს ეტყვის და მოგიტრიალდება შენი უსუსური დედაო.

ლეონარდო დი კაპრიო? არავითარ შემთხვევაში. ჩაგანვენენ ვინმე შერონ სტოუნთან ლოგინში და უცებ, სტოპ, გაჩერდი, ეგრე არ ვარგაო დაგიღრიალებს კაცი, რომელსაც გვერდში კიდევ ერთი ორმოცი სული უდგას. და რაც მთავარია მთელი მსოფლიოს დასანახად თავი ხან უნდა მოიკრეტინო, ხან მოიპედერასტო, ხანაც მოიძველბიჭო.

აბა ვინ? ვინ და პელე.

რატომ? იმიტომ, რომ ეს კაცი მთელი ცხოვრება პელედ მუშაობს, მთელი მსოფლიო კი მის წინაშე იკრეტინებს თავს — ცალკე ფულს უხდიან, ცალკე კი, რომ იტყვის, რა კარგია მოსკოვში, უნგრეთში ჩამოსვლა კარგა ხანია მენატრებოდაო, ულიმიან და ვახ, ეს როგორ გყვარებივართო, ეუბნებიან.

მერე ბანკეტებს აღარ იკითხავთ? მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაა და ბობი ჩარლტონთან, მიშელ პლატინისთან და ფრანც ბეკენბაუერთან ერთად სუფრას უზის. გავა რამდენიმე დღე, ჩავა სხვაგან, ვთქვათ საფრანგეთის დედაქალაქ ბრიუსელში, ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაზე და ბობი ჩარლტონთან, მიშელ პლატინისთან და ფრანც ბეკენბაუერთან ერთად ქეიფობს. მერე ან თვითონ გახდება 60-ის, ან ბობი ჩარლტონი 70-ის, ან ბეკენბაუერი 50-ის, ანაც პლატინი 45-ის და ბობი ჩარლტონთან, მიშელ პლატინისთან და ფრანც ბეკენბაუერთან ერთად ბრუდერშაფტს სვამს.

უჭკვიანესი კაცია სერ ბობი ჩარლტონიც. მას „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფისში კაბინეტი აქვს, რომელსაც ზედ ბობი ჩარლტონი აწერია. სერ ბობი იქ მუშაობს. მის მოვალეობაში რა შედის? რა და სერ ალექს ფერგიუსონი თამაშის წინ ფეხბურთელებს რომ ეუბნება, შვილებო, დღეს აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რადგან ამას „იუნაიტედის“ დიდი ისტორია, წითელი მაისურა, დიდების დარბაზი და სერ ბობი ჩარლტონის უძლეველი ქარიზმა გვავალდებულებსო, სადმე დიდების დარბაზთან მჭმუნვარე სახით უნდა ტრიალებდეს. და იტრიალებს კიდეც, რადგან იგი ჭმუნავს, ჭმუნავდა და იჭმუნებს.

ხოლო შემდეგ, როდესაც „ოლდ ტრეფორდზე“ სენტ დევიდ ბექემის ქანდაკებას ააგებენ იგი, პელე, მიშელ პლატინი და ფრანც ბეკენბაუერი გულის ჯიბეზე ვარდს შეიბნევენ და მომავალ თაობათა სადღეგრძელოს იტყვიან.

**პაპუნა კედია**

**ავტორი სიამოვნებით იმუშავებდა პაპუნა კედიად „სარბიელში“, რომ არა რიგი ხელისშემშლელი პირობებისა.**




პელე და ევრო 2000-ის თილისმა

# ორი ეტაპის ერთი კენჭისყრა

UEFA CUP

**დღეს** ჟენევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ უეფას თასის მეოთხე ეტაპისა და მეოთხედფინალის კენჭისყრა გაიმართება. შეჯიბრების დებულების თანახმად, მეოთხე რაუნდში გასული 16 გუნდიდან ნახევარი განთესილია. განთესვა მიმდინარე სეზონის დასაწყისში შედგენილი საკლუბო კოეფიციენტების მიხედვითაა ჩატარებული.

განთესილები გახლავან: „პარმა“, „იუვენტუსი“, „დორტმუნდი“, „ატლეტიკო“, „მონაკო“, „რომა“, „დეპორტივო ლა კორუნია“ და „სლავია“.

განუთესავები არიან: „არსენალი“, „მალიორკა“, „სელტა“, „ლანსი“, „ვერდერი“, „უდინეზე“ „გალათასარაი“ და „ლიდს იუნაიტედი“.

შედგება ორი ჯგუფი. ორივეში მოხვდება ოთხი განთესილი და ოთხი განუთესავი გუნდი — ამ ჯგუფების შექმნის იდეა თანამემამულე გუნდების დაშორიშორებაა. სხვა დეტალები კი ცნობილი არ იყო. იგი უეფას საშეჯიბრო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე უნდა განესაზღვრათ — რის შემდეგაც ჩატარდება საკუთრივ კენჭისყრა.

კენჭისყრა ერთმანეთს შეახვედრებს ერთი და იმავე ჯგუფის განთესილ და განუთესავ გუნდებს.

მეოთხე ეტაპის შეხვედრები 2000 წლის 2 და 9 მარტს გაიმართება, რასაც მალევე, 16 და 23 მარტს მეოთხედფინალები მოჰყვება. სწორედ ასეთი მჭიდრო ვადების გამოა ახლავე დანიშნული ამ რაუნდის კენჭისყრაც. ამით გუნდებს მომავალი შეხვედრებისთვის მომზადების დრო მიეცემათ.

მეოთხედფინალის კენჭისყრა მეოთხე ეტაპის წყვილებზე იქნება დაყრდნობილი. მაგალითად: გაირკვევა, რომ მეოთხე ეტაპის, ვთქვათ, პირველი და მეშვიდე წყვილების გამარჯვებულები მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან და ასე შემდეგ.

# უეფა სასურველ ტელეკომპანიას ირჩევს

**უეფას** პრეზიდენტის, ლენარტ იუჰანსონის განცხადებით, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ტრანსლაცია უფასო იქნება. ეს ნიშნავს, რომ მაყურებლები მატჩების ცქერისთვის (სულ 31 შეხვედრა ჩატარდება) ფულს არ გადაიხდიან.

პორტუგალიიდან, მატჩების ტრანსლაციის უფლების გადასაცემად უეფამ ტენდერი მოაწყო. მასში ოთხი გიგანტური ტელეკომპანია მონაწილეობდა. ესენი იყვნენ: TEAM, რომელიც ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს გვაჩვენებს, გერმანული „კირხ მედია“, ინგლისური „ოქტაგონი“ და ევროპის სამაუწყებლო კავშირი (EBU). ეს უკანასკნელი ევროპის 69 კომპანიას აერთიანებს და ტენდერში გამარჯვებულიც გახდა. მატჩების უფასოდ ჩვენების იდეაც EBU-ს ეკუთვნის. ამასთანავე ამ კომპანიამ უეფას 800 მილიონი მარკა გადაუხადა. აღსანიშნავია, რომ 1960 წლიდან მოყოლებული ევროპის ყველა ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლებას EBU ფლობს.

იკითხავთ, მატჩებს თუ უფასოდ აჩვენებს, მოგება როგორ რჩებაო? მოგებას რეკლამის განთავსება მოიტანს. მისი ფასი მოგვიანებით განისაზღვრება. EBU-ს პრეზიდენტმა ჟან ბერნარ მენშმა ტენდერის შედეგების გამოქვეყნებისთანავე ამაყად განაცხადა: „ჩვენი და უეფას ურთიერთობა უხსოვარი დროიდან იწყება. EBU-ს უდიდესი გამოცდილება გააჩნია და უეფას საუკეთესო პირობებიც შევთავაზეთ. ამიტომ ეს უფლება სრულიად დამსახურებულად მოვიპოვეთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპტიმისტები

### მსგავსნი

1986 წლის 2 ივნისი. მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალაქ ირაპუატოს სტადიონზე 16 ათასამდე მაყურებელი შეკრებილიყო და სსრკ-უნგრეთის მატჩს უცქერდა. საბჭოელებმა რაღაც საშინელი სისწრაფით ირბინეს და მოწინაალმდეგეს ექვსი უპასუხო ბურთი გაუტანეს... ასე იქცა ჩემპიონატის ლამის ერთ-ერთი ფავორიტი — უნგრეთი აუტსაიდერად არა მარტო მექსიკაში, არამედ ევროპულ ფეხბურთში. იმ დღეს უნგრული ფეხბურთი უფსკრულში გადაიჩეხა... აგერ უკვე 13 წელიწადია სოლიდურ ტურნირზე აღარ მოხვედრილან. ამ ხნის განმავლობაში მათი ეროვნული გუნდი სულ უფრო ქვეითდებოდა და დღეს ქულებისმიმცემ მანქანად გადაიქცა. ერთადერთხელ, ორი წლის წინ, სცადეს კვლავ მარაქაში გარევა და არანაულად დამცირდნენ. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში იუგოსლავიასთან საერთო ანგარიშით 1:12 (1:7, 0:5) წააგეს...

მაშინ კი, 1986-ში, ჯერ კიდევ შერჩენოდათ წარსული დიდების მუხტი. კარგად ჩაატარეს საკვალიფიკაციო ტურნირი და ევროპული გუნდებიდან მექსიკაში პირველებმა მოიპოვეს საგზური. ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ბუდაპეშტში, „ნეპშტადიონზე" ბრაზილიელებიც გაანადგურეს (3:0). მწვრთნელი დიორდ მესეი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა თავის ფეხბურთელებზე, უფრო ხშირად ლაიოშ დეტარისა და მარტონ ესტერჰაზის გვარებს ახსენებდა. მაგრამ უცებ ყველაფერი დაინგრა...

ახლა უნგრელები მომავალი მსოფლიოს თასის შესარჩევ ჯგუფში ქართველების მეტოქეები არიან. სანაკრებო დონეზე ერთმანეთს არასოდეს შეხვედრივართ, ამიტომ რა და როგორ იქნება, ძნელი სათქმელია. ერთი კი ნაღდია: თუ კარგად დავუკვირდებით, ჩვენსა და უნგრელებს შორის უამრავ საერთოს აღმოვაჩენთ. მათაც და ჩვენც ადრე კარგი, ევროპული დონის ფეხბურთელები გვყავდა. თამაშის სტილი ტექნიკური და ლამაზი. ტრადიცია დიდებული... მაგრამ, ჩვენი არ იყოს, უნგრელებსაც ერთი ნაკლი აქვთ, ისინი ნელ-ნელა ფეხბურთის განვითარების პროცესს ჩამორჩნენ. ლაიოშ ბაროტი, ცნობილი უნგრელი მწვრთნელი, ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინ წერდა: „უნგრელი ფეხბურთელები ვერაფრით მიმხვდარან, რომ კარგი ფიზიკური მომზადებისა და ბრძოლისუნარიანობის გარეშე ვეღარაფერს მიაღწევენ. ისინი კვლავ რომანტიკულ თამაშს ეტრფიან. ურჩევნიათ ფინტით, დრიბლინგით და ბურთის უზადო ფლობით მოაწონონ მაყურებელს თავი. შინაურ ჩემპიონატში ეს ყველაფერი კარგად გამოსდით, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე უუნარონი ხდებიან".

ამ სიტყვებიდან ათი წლის შემდეგ უკვე დიორდ მესეის მოვუსმინოთ: „ჩემი მთავარი პრობლემაა, ნაკრების ფეხბურთელებს ავუხსნა, რომ შენელებული საკლუბო სტილით შორს ვერ წავალთ. აუცილებელია, სხვა ევროპულ ქვეყნებს მივბაძოთ და სწრაფი თამაში დავიწყოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ წარმატებას, თუ არადა, უმჯობესია, შინ დავრჩეთ და ერთმანეთს ვეთამაშოთ".

უნგრელი ჟურნალისტები კი ხშირად ამბობენ, ჩვენს ნაკრებს ყოველთვის ხასიათის სიმტკიცე აკლდა და მისი მთავარი პრობლემაც ეს არისო. არ გეცნობათ ქართული ფენომენი?

ერთი სიტყვით, ქართველებს თავისი მსგავსი მოწინააღმდეგე შეხვდა და მათი მატჩებიც ერთობ საინტერესო უნდა გამოდგეს. მანამდე კი, ისიც გავიხსენოთ, ვის შთამომავლებთან მოგვიწევს გაჯიბრება.

### „დიდი გუნდის" ერთადერთი შანსი

„ფანტასტიკურია, ასეთი კარგი გუნდი არასოდეს მინახავს" — ეს სიტყვები 50-ანი წლების უნგრეთის ნაკრებზე ცნობილმა იტალიელმა მწვრთნელმა ვიტორიო პოცომ თქვა, რომელმაც იტალიელებს ორჯერ (1934 და 38 წლებში) მოუტანა მსოფლიოს ჩემპიონობა. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ „უნგრეთის დიდი გუნდის" დარი ნაკრები მსოფლიოს ფეხბურთის



სარბიელის არქივიდან

ფერენც პუშკაში

ისტორიაში არ არსებობს. ეს შესაძლოა საკამათო მტკიცება იყოს, მაგრამ მაშინ რომ უნგრელებს მართლაც დიდებული მოთამაშეები ჰყავდათ, ფაქტია.

1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნგრელები აშკარა ფავორიტებად ჩავიდნენ. მწვრთნელ გუსტავ შებეშის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პირველობა მათ დარჩებოდათ. არც გაემტყუნებოდათ, უნგრელები ყველა მეტოქეს ერთი თავით სჯობდნენ. პუშკაშსა და მის პარტნიორებს აღიარება ინგლისელების ორჯერ განადგურებამ მოუტანა. 1953 წლის 25 ნოემბერს მათ ისტორია შეაბრუნეს, „უემბლიზე" ინგლიელებს 6:3 მოუგეს და მათი უძლეველობის მითი დაამსხვრიეს. დამცირებულმა ინგლისელებმა რევანშის აღება გადაწყვიტეს და 1954 წლის 23 მაისს უკვე ბუდაპეშტში შეხვდნენ გამამწარებლებს. თუმცა, უმჯობესი იყო, საერთოდ არ გაკარებოდნენ. უნგრელებმა 7:1 მოიგეს... ასეთი დამცირება ინგლისელებს არც მანამდე და არც შემდეგ აღარ გადაუტანიათ.

პირველად კი „უნგრეთის დიდმა გუნდმა" 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე გაიბრწყინა — დაამარცხა ფინეთის, იტალიის, თურქეთის, შვედეთისა და იუგოსლავიის ნაკრებები და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. გუსტავ შებეშის ბიჭებს უფრო ადრეც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ 1950 წელს ბრაზილიის მსოფლიოს თასზე ისინი ფინანსური პრობლემების გამო ვერ გაემგზავრნენ. ჰიდეგკუტი და ბოჟიკი, გროშიჩი და ზაქარიაში, კოჩიში და ლორანტი, ციბორი და პუშკაში — მათ 50-იან წლებში ბადალი არ ჰყავდათ. ამბობენ, 1958 წლისთვის რომ გუნდი შეენარჩუნებინათ, საკითხავია, ვინ გახდებოდა ჩემპიონი, ბრაზილია თუ უნგრეთიო. მაგრამ 1956-ში მომხდარმა პოლიტიკურმა ამბებმა ბევრი უნგრელი ფეხბურთელი სამშობლოდან გააქცია. მათ სხვა ქვეყნების მოქალაქეობა მიიღეს და „დიდი გუნდის" ისტორიაც ამით დასრულდა. მაგალითისთვის, ლეგენდარულმა კაპიტანმა ფერენც პუშკაშმა 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ესპანეთის ნაკრების ღირსება დაიცვა. „ჰონვედიდან" მადრიდის „რეალში" გადასვლის შემდეგ დიდი ხნის მანძილზე სამშობლოში ის, პერსონა ნონ გრატად ითვლებოდა.

ასე რომ, „დიდ გუნდს" განგებამ ერთადერთი შანსი მისცა — 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალურ მატჩამდე ყველაფერი ლოგიკურად მიდიოდა. უნგრელებმა ყველა მეტოქე დაჯაბნეს (სამხრეთ კორეა 9:0, გფრ 8:3, ბრაზილია 4:2, ურუგვაი 4:2). ფინალშიც პუშკაშისა და ციბორის გოლებით უკვე მერვე წუთისთვის 2:0-ს უგებდნენ დასავლეთგერმანელებს, მაგრამ... „ჩემმა ფეხბურთელებმა ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლეს. ყველა მატჩი დაძაბული გამოდგა, თუმც ბიჭები მშვიდად აკეთებდნენ საქმეს. გადამწყვეტ თამაშში კი ნერვებმა უმტყუნათ. ახლა მსაყვედურობენ, ტრავმირებული პუშკაში რატომ ათამაშეო, მაგრამ მან გოლიც გაიტანა და ციბორსაც გაატანინა" — ასეთი იყო გუსტავ შებეშის მატჩისშემდგომი კომენტარი. უნგრეთმა 2:3 წააგო და ჩემპიონობა უფრო სუსტ, მაგრამ ეშმაკ გერმანელებს დაუთმო. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირის დროს უნგრელებმა 8:3 მოუგეს გერმანელებს. გერმანელებისთვის ეს მატჩი არაფერს წყვეტდა და მათ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენეს, თანაც მცველმა ლიბრიხმა (შემთხვევით თუ განგებ) პუშკაში დააშავა, რაც ბოლოს უნგრელებს ძვირად დაუჯდათ. შებეშის გუნდი ალალად და ბრწყინვალებით მივიდა ფინალამდე. იქ კი, ბერნის „ვანკდორფშტადიონზე", საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე უსამართლო მატჩში დამარცხდა. იმ ჩემპიონატში ბუდაპეშტის „ჰონვედის" ფორვარდი შანდორ კოჩიში 11 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ფერენც პუშკაში კი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში ჩაწერეს.

აი, ასეთი იყო საქართველოს ნაკრების მეტოქე 50-იან წლებში.



სარბიელის არქივიდან

ფლორიან ალბერტი

### პირველად მეორეები

ორმოცდაათიანელების თაობა ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. ჯერ კიდევ 30-იან წლებში უნგრელებს ჰყავდათ ნაკრები და ფეხბურთელები, რომლებსაც მთელი მსოფლიო იცნობდა. 1938 წლის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ დიდებულად ითამაშეს და აქაც ფინალში დამარცხდნენ ვიტორიო პოცოს იტალიასთან (2:4), განსაკუთრებით აღნიშნავენ უნგრელების ლაღ და ტექნიკურ სტილს. ერთ რამედ ღირდა დიორდ შაროშისა (შემდგომში ცნობილი მწვრთნელი) და დიულა ჟენგელერის ცქერა. ტურნირში მათ 5-5 ბურთი გაიტანეს და ორით ჩამორჩნენ საუკეთესო ბომბარდირ, ბრაზილიელ ლეონიდასს. გამოირჩეოდნენ ნიჭიერი ნახევარმცველი დიულა ლაზარი და ფრთის სწრაფი მოთამაშე პალ ტიტკოში. ჰყავდათ ამბიციური მწვრთნელი კაროი დიტცი და შეჯიბრში მეორე ადგილიც მათი სიძლიერის ნათელი დასტურია. სხვათა შორის, უნგრელები 12 წლის განმავლობაში დარჩნენ ვიცე-ჩემპიონებად. მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომის გამო, 1950 წლამდე მსოფლიოს თასის გათამაშება აღარ გამართულა...

### ბრაზილიელთა შემარცხვენელნი

1966 წლის ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატი უნგრელებმა მეოთხედფინალში დაამთავრეს, მაგრამ ბევრი სპეციალისტი დღემდე ამტკიცებს, რომ მათ მაშინ ჩემპიონობის ღირსი გუნდი ჰყავდათ. ტურნირის მშვენება კი ბრაზილია-უნგრეთის მატჩი გახლდათ. უნგრელებმა 3:1 მოიგეს და თანაც როგორ... საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს მსოფლიოს ჩემპიონებს. ეს იყო უმაღლეს დონეზე ბრაზილიელების ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო წაგება.

უნგრელებს მაშინ უნიჭიერესი ფეხბურთელები ჰყავდათ. მწვრთნელ ლაიოშ ბაროტის გუნდში ბრწყინავდნენ ფერენც ბენე, იანოშ ფარკაში და კალმან მესეი, მაგრამ მათგან ერთი მაინც საგანგებოდ გამოსარჩევია — ფლორიან ალბერტი, ტექნიკური და ინტელექტუალური მოთამაშე, 60-იანი წლების რომანტიკული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი. 1967 წელს ის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ალბერტი ერთადერთი უნგრელია, ვისაც ასეთი აღიარება ერგო.

სწორედ ალბერტი იყო მთავარი ფიგურა ბრაზილიასთან იმ ისტორიულ-დრამატულ მატჩში. თავად არ გაუტანია, მაგრამ ყველა შეტევა მისი გონივრული მოქმედებებით იწყებოდა. მესამე გოლი კლასიკური გახლდათ. ალბერტმა წარმოუდგენელი სიმსუბუქით მოატყუა სამი ბრაზილიელი, ბურთი ბენეს გადასცა, მან თავისუფალი ფარკაში მოძებნა და ჩემპიონთა განადგურებასაც წერტილი დაესვა. უნგრელებმა მეოთხეც შეუგდეს ბრაზილიელებს, მაგრამ მსაჯმა გაურკვეველი მიზეზით არ ჩათვალა.

თამაშის შემდეგ ერთი უცნაური ამბავი მოხდა. გახარებული უნგრელი გულშემატკივრები ლივერპულის ქუჩებს მოედნენ. ერთ ადგილზე მათ ბრაზილიელი ძმები შემოხვდნენ და როცა გაიგეს, უნგრელები არიანო, ქუდები მოიხადეს და თავი დაუკრეს...

### დღეს

უნგრული ფეხბურთი ღრმა კრიზისშია. თუმცა, ეტყობა, ოდინდელი დიდება ჯერ ვერ დაუვიწყებიათ და, ქართველებისა არ იყოს, ყოველი ახალი შესარჩევი ციკლის წინ ეროვნულ გუნდს ფინალურ ეტაპზე გასვლის ამოცანას უსახავენ. უნგრელთა ახლანდელი მწვრთნელი ბერტალან ბიჩკეიც იმედიანადაა. „მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების რეალური შანსი იტალიელებს, რუმინელებსა და ჩვენ გვაქვს. ამ სამი გუნდიდან ერთ-ერთი გაიმარჯვებს კიდეც" — უთხრა ბიჩკეიმ „სარბიელს". იქნებ მწვრთნელი მართლაც ასე ფიქრობს, ან ყველაფერი ქართველების დასათრგუნად განაცხადა. საკითხავი ესაა, რას ეფუძნება მისი ოპტიმიზმი. მართლაც სჯერა, რომ „ახლო მომავალში უნგრეთი ძველ დიდებას დაიბრუნებს", თუ ისიც ქართველივით მე ოცნებეა და არარსებულ პერსპექტივაზე ლაპარაკობს?

**სოლომონ გულისაშვილი**

## საქართველოს ნაკრების მეტოქე...

## უნგრეთი

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1901 წელს
ფიფას წევრი: 1906 წლიდან
უეფას წევრი: 1954 წლიდან
რეგისტრირებულ კლუბთა რაოდენობა: 2 503
რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა: 144 000
ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ატილა კოვაჩი
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკეი
სტადიონი: „ნეპშტადიონი", ბუდაპეშტი (ტევადობა 60 000)
უძლიერესი კლუბები: „ფერენცვაროში", მტკ (ბუდაპეშტი), „ჰონვედი", „უიპეშტი", „ვაშაში", „ვიდეოტონი"
მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა (9): 1934, 38, 54, 58, 62, 66, 78, 82, 86
ფინალისტი (2): 1938, 54
ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობდა (3): 1964, 68, 72
მესამე ადგილი (1): 1964
ფერები: წითელ-თეთრ-მწვანე

## უნგრეთი'99

| | | |
|---|---|---|
| გაბორ კირალი | 01.04.76 | ჰერტა, ბერლინი, გერმანია |
| ვილმოშ შებოკი | 13.06.73 | ბრისტოლ სიტი, ინგლისი |
| შაბა ფეჰერი | 02.09.75 | უიპეშტი |
| იანუშ ჰრუტკა | 26.10.74 | კაიზერსლაუტერნი, გერმანია |
| იანუშ მატიუში | 20.12.74 | ფერენცვაროში |
| კრისტიან ლისტეში | 02.06.76 | შტუტგარტი, გერმანია |
| გაბორ ჰალმაი | 07.01.72 | მტკ |
| ბელა ილეში | 27.04.68 | მტკ |
| იოჟეფ შებოკი | 18.06.75 | ზალაეგერსეგი |
| ფერენც ჰორვატი | 06.05.73 | გენკი, ბელგია |
| იშტვან ჰამარი | 06.10.70 | ბეითარი, იერუსალიმი, ისრაელი |
| პალ დარდაი | 16.03.76 | ჰერტა, ბერლინი, გერმანია |
| ნორბერტ ტოტი | 11.08.76 | უიპეშტი |
| ზოლტან კოვაჩი | 24.09.73 | უიპეშტი |
| ტიბორ დომბი | 11.11.73 | დებრეცენი |
| ტომაშ სეკერეში | 18.09.72 | უიპეშტი |
| ფერენც სილვესტერი | 26.11.71 | ვაშაში |
| პალ ლაკოში | 21.01.74 | დიორ ეტო |
| დეორდი კორსოში | 22.08.76 | დიორ ეტო |
| იშტვან პიშონტი | 16.05.70 | აინტრახტი, ფრანკფურტი, გერმანია |
| მიკლოშ ფეჰერი | 20.07.79 | პორტუ, პორტუგალია |
| გაბორ ეგრეში | 11.02.74 | დიოშდიორი |
| ფერენც ჰამორი | 14.10.72 | ვაშაში |
| იოჟეფ შომოდი | 23.05.68 | დიორ ეტო |
| მიკლოშ ჰერჟეგი | 26.03.74 | უიპეშტი |
| რობერტ ვალტნერი | 20.09.77 | ვიდეოტონი |
| ბარნაბაშ სიპანოვიჩი | 02.07.74 | რიეკა, ხორვატია |
| ატილა კორსოში | 25.12.71 | უიპეშტი |
| შანდორ პრეშინგერი | 11.12.73 | მტკ |

*მთავარი მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკეი*

# II წრის თამაშთა განრიგი

საქართველოს ჩემპიონატი

**XII ტური**

*9 იანვარი, კვირა*

| | |
|---|---|
| თსუ — სსუ | 12.00 |
| გორი — ბასკო | 14.00 |
| სტუ — შევარდენი | 16.00 |

*10 იანვარი, ორშაბათი*

| | |
|---|---|
| დინამო — მაკაბი | 13.00 |
| სდასუ — ვითა | 15.00 |
| აზოტი — ასკ | 14.00 |

**XIII ტური**

*15 იანვარი, შაბათი*

| | |
|---|---|
| სსუ — მაკაბი | 13.00 |
| შევარდენი — სდასუ | 15.00 |
| ბასკო — თსუ | 14.00 |

*16 იანვარი, კვირა*

| | |
|---|---|
| ასკ — დინამო | 13.00 |
| გორი — სტუ | 15.00 |
| აზოტი — ვითა | 14.00 |

**XIV ტური**

*22 იანვარი, შაბათი*

| | |
|---|---|
| დინამო — თსუ | 12.00 |
| სსუ — გორი | 14.00 |
| მაკაბი — აზოტი | 16.00 |

*23 იანვარი, კვირა*

| | |
|---|---|
| ვითა — ასკ | 12.00 |
| შევარდენი — ბასკო | 14.00 |
| სდასუ — სტუ | 16.00 |

**XV ტური**

*29 იანვარი, შაბათი*

| | |
|---|---|
| ასკ — შევარდენი | 13.00 |
| სტუ — დინამო | 15.00 |
| აზოტი — სდასუ | 14.00 |

*30 იანვარი, კვირა*

| | |
|---|---|
| თსუ — ვითა | 13.00 |
| გორი — მაკაბი | 15.00 |
| ბასკო — სსუ | 14.00 |

**XVI ტური**

*5 თებერვალი, შაბათი*

| | |
|---|---|
| სდასუ — გორი | 12.00 |
| დინამო — აზოტი | 14.00 |
| თსუ — სტუ | 16.00 |

*6 თებერვალი, კვირა*

| | |
|---|---|
| სსუ — ასკ | 12.00 |
| მაკაბი — ბასკო | 14.00 |
| ვითა — შევარდენი | 16.00 |

**XVII ტური**

*12 თებერვალი, შაბათი*

| | |
|---|---|
| მაკაბი — სდასუ | 13.00 |
| გორი — ვითა | 15.00 |
| ბასკო — აზოტი | 14.00 |

*13 თებერვალი, კვირა*

| | |
|---|---|
| სსუ — დინამო | 12.00 |
| ასკ — სტუ | 14.00 |
| შევარდენი — თსუ | 16.00 |

**XVIII ტური**

*19 თებერვალი, შაბათი*

| | |
|---|---|
| მაკაბი — შევარდენი | 12.00 |
| თსუ — გორი | 14.00 |
| სტუ — აზოტი | 16.00 |

*20 თებერვალი, კვირა*

| | |
|---|---|
| სდასუ — ასკ | 12.00 |
| დინამო — ბასკო | 14.00 |
| ვითა — სსუ | 16.00 |

**XIX ტური**

*26 თებერვალი, შაბათი*

| | |
|---|---|
| თსუ — სდასუ | 13.00 |
| გორი — შევარდენი | 15.00 |
| ბასკო — ასკ | 14.00 |

*27 თებერვალი, კვირა*

| | |
|---|---|
| დინამო — ვითა | 13.00 |
| სტუ — მაკაბი | 15.00 |
| აზოტი — სსუ | 14.00 |

**XX ტური**

*4 მარტი, შაბათი*

| | |
|---|---|
| სდასუ — სსუ | 12.00 |
| სტუ — ბასკო | 14.00 |
| ვითა — მაკაბი | 16.00 |

*5 მარტი, კვირა*

| | |
|---|---|
| თსუ — ასკ | 12.00 |
| გორი — აზოტი | 14.00 |
| დინამო — შევარდენი | 16.00 |

**XXI ტური**

*11 მარტი, შაბათი*

| | |
|---|---|
| შევარდენი — სსუ | 13.00 |
| ასკ — მაკაბი | 15.00 |
| ბასკო — სდასუ | 14.00 |

*12 მარტი, კვირა*

| | |
|---|---|
| გორი — დინამო | 13.00 |
| ვითა — სტუ | 15.00 |
| აზოტი — თსუ | 14.00 |

**XXII ტური**

*18 მარტი, შაბათი*

| | |
|---|---|
| შევარდენი — აზოტი | 12.00 |
| ასკ — გორი | 14.00 |
| სდასუ — დინამო | 16.00 |

*19 მარტი, კვირა*

| | |
|---|---|
| სსუ — სტუ | 12.00 |
| ვითა — ბასკო | 14.00 |
| მაკაბი — თსუ | 16.00 |

***II ეტაპი (ნახევარფინალები)***

1-6 ადგილები: I წრე — 26-30 მარტი, II წრე — 20-24 აპრილი

7-12 ადგილები: I წრე — 1-5 აპრილი, II წრე — 25-29 აპრილი

***პლეი ოფი***

1 და მე-4 ადგილებზე გასული გუნდები, მე-2 და მე-3 ადგილზე გასული გუნდები:

27-28-29 მაისი. საჭიროების შემთხვევაში 31 მაისი, 1 ივნისი

***ფინალი და მესამე ადგილისათვის***

4-5-6, საჭიროების შემთხვევაში 8-9 ივნისი

ალმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად II და III ეტაპის (ნახევარფინალები, პლეი ოფი, ფინალი და მესამე ადგილისთვის) შეხვედრები გაიმართება ქალაქ თბილისში

# ნაკრებს პეტერბურგში იწვევენ

## თქვენი მარტო გზის ფული იყოსო, მაგრამ...

სანქტ პეტერბურგის „სპარტაკს" ადრე ვუმასპინძლეთ. თბილისში ჩამოვიდნენ და ჩვენს ნაკრებთან ისპარინგეს. ახლა კი თავად მიგვიწვიეს, ყველანაირ ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ, ჩამოდით, იანვარში ოთხთა ტურნირს ვაწყობთ და გვინდა, თქვენც იქ იყოთო...

23-26 იანვარს სანქტ-პეტერბურგში ალექსანდრე ბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. იქ ქართველებიც არიან მიპატიჟებულნი.

ნათქვამია, საბანი სადამდეც გადაგწვდება, იქამდე დაიხურეო. ჰოდა, თუკი კალათბურთის ფედერაციამ ის ორიათასი დოლარი შეაქუჩა, რაც ერთ გზობას სჭირდება, ჩვენებურები გამოცდილებას შეიძენენ. დღეს-ხვალ გადაწყდება: ნაკრები ან წავა სანქტ პეტერბურგში, ან — არა. ეს ფულზე ჰკიდია.

ისე, რომც წავიდეს ეროვნული გუნდი, ეს იქნება არასრულფასოვანი შემადგენლობა. ლეგიონერების ჩამოსვლა გამორიცხულია, ამიტომ მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს კლუბთან ნაკრებზე დაყრდნობა მოუწევს.

უმთავრესი კი მაინც სხვაა — ფული. ფული თუ იქნება, სხვა ამბავია. ახლა, მოცალეობის ჟამს, ნაკრები ამ ტურნირით თუ დაკავდება. წინ მაისია, საკვალიფიკაციო წინა ეტაპი...

**ბაჩა რუსიშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

13 დეკემბერი

**კლიპერსი 102:90 ვანკუვერი**

კლიპერსი: ტეილორი (26), ჰადსონი (18 ქულა, 11 პასი), ოლოვოკანდი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24 ქულა, 16 მოხსნა), დიკერსონი (21)

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მაიამი | 15 | 5 | 75,0 |
| ნიუ იორკი | 13 | 9 | 59,1 |
| ბოსტონი | 10 | 9 | 52,6 |
| ორლანდო | 10 | 10 | 50,0 |
| ფილადელფია | 11 | 12 | 47,8 |
| ვაშინგტონი | 6 | 16 | 27,3 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 16 | 23,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 13 | 7 | 65,0 |
| შარლოტი | 13 | 7 | 65,0 |
| ტორონტო | 12 | 8 | 60,0 |
| კლივლენდი | 10 | 9 | 52,6 |
| მილუოკი | 11 | 10 | 52,4 |
| დეტროიტი | 10 | 11 | 47,6 |
| ატლანტა | 9 | 11 | 45,0 |
| ჩიკაგო | 2 | 16 | 11,1 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 15 | 7 | 68,2 |
| იუტა | 13 | 7 | 65,0 |
| დენვერი | 10 | 10 | 50,0 |
| მინესოტა | 7 | 10 | 41,2 |
| დალასი | 8 | 14 | 36,4 |
| ჰიუსტონი | 7 | 15 | 31,8 |
| ვანკუვერი | 4 | 17 | 19,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 17 | 5 | 77,3 |
| ლეიკერსი | 17 | 5 | 77,3 |
| სიეტლი | 15 | 6 | 71,4 |
| საკრამენტო | 12 | 6 | 66,7 |
| ფინიქსი | 13 | 7 | 65,0 |
| კლიპერსი | 5 | 16 | 23,8 |
| გოლდენ სტეიტი | 4 | 16 | 20,0 |

## კვირის მოთამაშე

### ალონზო მურნინგი • მაიამი •



ალონზო მურნინგმა წინა კვირაში მატჩში საშუალოდ 25,5 ქულა, 9,8 მოხსნა და 6 დაფარება გააკეთა, ხოლო მისმა „მაიამიმ" სტუმრად გამართული ოთხი მატჩიდან სამი მოიგო.

„საკრამენტოსთან" 107:97 გამარჯვებისას, მურნინგმა ამ სეზონში სარეკორდო, 37 ქულა ჩააგდო, ამას 11 მოხსნა და 8 დაფარება მიაყოლა. ასევე ორი დაფარება დააკლდა „მაიამის" ცენტრს „კლიპერსთან" (99:91 მოიგო „მაიამიმ") სამმაგ დუბლამდე. მისი მაჩვენებლებია 25 ქულა, 11 მოხსნა და 8 დაფარება.

„სიეტლთან" 88:92 წაგებულ მატჩში მურნინგმა 23 ქულა გააკეთა და კარიერაში 10 ათასი დაუგროვდა. ამჟამად ალონზო სათავეში უდგას ლიგის დამფარებელთა სიას (4,05 დაფარება მატჩში საშუალოდ). მეხუთეა ბომბარდირებში (23,4 ქულა მატჩში საშუალოდ) და მეთორმეტეა მოხსნებში (9,9 მოხსნა მატჩში საშუალოდ).

# მინჯს ოჯახი ურჩევნია



დენი ეინჯი წავიდა...

REUTERS



...სკოტ სკაილზი მოვიდა

„ფინიქს სანზის" მწვრთნელმა დენი ეინჯმა ორშაბათს პრესკონფერენცია გაიმართა და ისეთი რამ გამოაცხადა, რასაც არავინ ელოდა. 40 წლის ეინჯი, რომელმაც სამ სეზონში „ფინიქსს" 136 მატჩი მოაგებინა და 90 წააგებინა, ნებაყოფლობით გადადგა.

წარუმატებლობა აქ არაფერ შუაშია, ამჟამად „ფინიქსი" საკმაოდ რიგიანად თამაშობს. გადადგომის მიზეზი ეინჯის ოჯახი ყოფილა. თურმე მწვრთნელს არ ყოფნის დრო, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მეუღლე მიშელს და ექვს შვილს.

ეინჯის თქმით: „კლუბი და ოჯახი ხელს მიწყობს, რომ დიდი მწვრთნელი გავხდე, მაგრამ ორი საქმე ერთად არ გამოდის. გუნდს სხვაც გაწვრთნის, მაგრამ ჩემს ცოლს ერთი ქმარი ჰყავს, ხოლო ჩემს ექვს შვილს — ერთი მამა".

მოთამაშეობისას ეინჯი ორჯერ, 1984 და 1986 წლებში გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი. მაშინ იგი „ბოსტონ სელტიქსში" თამაშობდა.

„ფინიქს სანზის" მფლობელმა ჯერი კოლანჯელომ უკვე დაასახელა ეინჯის შემცვლელი. სულ მცირე, სეზონის ბოლომდე გუნდს ეინჯის თანაშემწე სკოტ სკაილზი გაწვრთნის. 35 წლის სკაილზიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მოთამაშეა, ეინჯის თანაშემწედ სამი წელიწადი მუშაობდა.


**ვაქირავებ ან ვყიდი**

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას

ტელეფონით და ბუნებრივი გაზით სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23


## საფრანგეთი

XIV ტური

ბეზანსონი — ანტიბი 104:95, დიჟონი — ევრე 58:69, შამპანი — ვილერბანი 62:79, მონპელიე — შოლე 79:71, ნანსი — საონი 66:73, პარი სენ ჟერმენი — სტრასბური 61:63, ლიმოჟი — გრაველინი 85:83, პო ორტეზი — ლე მანი 78:74

ლიდერთა დუეტი კიდევ უფრო დაშორდა უახლოეს მდევრებს. ევროლიგაში უსახურად მოთამაშე „პო ორტეზი" საშინაო ჩემპიონატში ბრდღვნის ყველაფერს და 13 გამარჯვებით სატურნირო ცხრილის სათავეშიც იმყოფება. ამჯერად პოელებმა „ლე მანს" უმასპინძლეს და 78:74 მოუგეს. თუმცა ეს წარმატება იოლი მოსაპოვებელი ნამდვილად არ ყოფილა. პირველი ტაიმი სტუმრების სასარგებლოდ დამთავრდა, რომლებიც ძალიან შედეგიანები იყვნენ სამქულიანი ტყორცნებისას და სწორედ ამის ხარჯზე დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ კი „პო-ორტეზმა" დაცვაში უფრო ყურადღებით დაიწყო თამაში და მეტოქეს სროლების განხორციელების საშუალება არ მისცა. შედეგად მასპინძლები 30-ე წუთისთვის დაწინაურდნენ და უპირატესობა აღარც გაუშვიათ ხელიდან.

„ლე მანის" წაგებით ისარგებლა „ლიმოჟმა" და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი დაიბრუნა. მან ჩემპიონატის მაჩანჩალა „გრაველინი" დაიბრიყვა და სულ კუდით ქვა ასროლინა (85:53). „ლიმოჟის" რიგებში საუკეთესო ბონატო იყო, ვინც საცოდავ აუტსაიდერს 21 ქულა აართვა.

ნოემბრის თვე პარიზელებისთვის მეტად იღბლიანი იყო, მათ ზედიზედ მოიპოვეს საჭირო გამარჯვებები და ლიდერებსაც მიუახლოვდნენ. დეკემბერში კი „პარი სენ ჟერმენმა" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. არადა, დედაქალაქელები ალზასურ გუნდს ბოლო წუთებამდე უგებდნენ 8-10 ქულას. მატჩის მიწურულს კი „სტრასბური" აფეთქდა, დროის მცირე მონაკვეთი 10:0 მოიგო და ორი ქულით ხელდამშვენებულიც გაბრუნდა შინ.

„შოლემ" კი ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა. მისი მორევა „მონპელიემ" შეძლო, რომლის რიგებშიც მშვენივრად გამოიყურებოდა გამთამაშებელი დევიდ ევანსი. იგი მენლენდთან ერთად ყველაზე შედეგიანი იყო (22 ქულა) და თანაც პასებიც ბლომად ჩამოურიგა თანაგუნდელებს. „შოლეს" კი კარავალია და ევოლო აკლდა და მისმა მთავარმა მწვრთნელმაც სწორედ ამას დააბრალა წაგება.

კვირას ითამაშა მეორე ლიდერმა, „ვილერბანმა", რომელიც, „პო ორტეზისგან" განსხვავებით, ევროლიგაშიც ჩინებულად გამოდის და თავის ჯგუფში პირველ ადგილზეც იმყოფება. „ვილერბანს" ექვს მატჩში (3 საფრანგეთის ჩემპიონატში და 3 ევროლიგაში), წაგების გამო არ ენახა და „შამპანსაც" გამარჯვების იმედით და სურვილით ესტუმრა. მატჩი მართლაც ლოგიკურად დასრულდა და ვილერბანელებმა ზედიზედ მეშვიდე მოგება მოიპოვეს. სტუმრების მთავარი დამრტყმელი ძალა, ლარანიაგა-მაქსი-სილსის სამეული, ჩინებულად გაისარჯა და ჯამში 46 ქულაც მოიხვეჭა (10-14-22). მატჩის ბედი დასაწყისშივე გადაწყდა, როცა აღნიშნული ტრიოს მეცადინეობით „ვილერბანი" მე-8 წუთზე 27:9 დაწინაურდა. მალე კი ანგარიშში სხვაობამ 25 ქულასაც მიაღწია. ამის მერე სტუმართა მწვრთნელმა ბენიომ უამრავი შეცვლა გააკეთა, რათა თავისი გუნდის ლიდერები ძლიერ არ გადაეღალა, მაგრამ „შამპანმა" შეხვედრის ბედის სათავისოდ შეტრიალება მაინც ვერ შეძლო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 14 | 13 | 1 | 1122:1018 | 27 |
| ვილერბანი | 14 | 12 | 2 | 1102:940 | 26 |
| ლიმოჟი | 14 | 10 | 4 | 1022:940 | 24 |
| ლე მანი | 14 | 9 | 5 | 1028:999 | 23 |
| პსჟ | 14 | 8 | 6 | 1023:912 | 22 |
| შოლე | 14 | 8 | 6 | 1040:1010 | 22 |
| სტრასბური | 14 | 8 | 6 | 1006:1002 | 22 |
| საონი | 14 | 7 | 7 | 1024:998 | 21 |
| ბეზანსონი | 14 | 6 | 8 | 1036:1023 | 20 |
| დიჟონი | 14 | 6 | 8 | 1000:992 | 20 |
| ევრე | 14 | 6 | 8 | 972:997 | 20 |
| ნანსი | 14 | 5 | 9 | 954:963 | 19 |
| მონპელიე | 14 | 5 | 9 | 958:1058 | 19 |
| შამპანი | 14 | 4 | 10 | 966:1039 | 18 |
| ანტიბი | 14 | 3 | 11 | 940:1101 | 17 |
| გრაველინი | 14 | 2 | 12 | 885:1086 | 16 |

## სლოვენია

# მესამედი ქართველებმა გააკეთეს!

XI ტური

ლოკა კავა — როგლა ატრასი 64:61 (გამოტოვებული მატჩი)

XII ტური

სავინსკი — ლოკა კავა 71:67, ტრიგლავი — მარიბორი 88:65, ჰელიოსი — კრკა 72:84, ოლიმპია — კრაშკი ზიდარი 94:65, როგლა ატრასი — ზაგორიე 74:64

**პივოვარნა 92:66 სლოვანი**

პივოვარნა: იურაკი (10), მილეტიჩი (1), ლისიცა (9), გოლოვიჩი (21), ჰაფნარი (11), ჟარკოვიჩი (2), კაზაფეროვიჩი (3), დრაგშიჩი (10), ტილინგერი (4), კუნცი (7), ნახბარი (14)

სლოვანი: ნოვაკი (13), ლაკოვიჩი (8), ჟაკელი (3), შინკოვეცი (4), **უგრეხელიძე** (6), ჯურკოვიჩი (6), კოვაჩი (3), პავიჩი (7), **ბოისა** (9), შუშტარშიჩი, **ცქიტიშვილი** (7)

სლოვენიის ჩემპიონატის მეორე წრის პირველსავე ტურში, ქართველი კალათბურთელების გუნდს, ლიუბლიანის „სლოვანს" მძიმე მატჩი ელოდა ლაშკოში, იქაურ „პივოვარნასთან". ეს გუნდი, სლოვენიის პირობაზე საკმაოდ ძლიერია, ერთადერთია, რომელსაც ლიუბლიანის „ოლიმპიასთვის" რაღაც წინააღმდეგობის მსგავსის გაწევა შეუძლია, თანაც ევროლიგაში ასპარეზობს.

„პივოვარნა" გაბრაზებული დაუხვდა „სლოვანს". თითქოს ევროლიგაში წარუმატებლობები არ ეყოფოდათო, ლაშკოელებმა ჩემპიონატის წინა ტურში შინ წააგეს „ზაგორიესთან", რომელიც ბევრით ვერაფრით იწონებს თავს. ლიუბლიანელებიც მედგრად დაუდგნენ მეტოქეს და პირველი ტაიმის მე-15 წუთამდე თანაბარი თამაშიც მიდიოდა, ის კი არა, „სლოვანი" ორი ქულით იგებდა. ამ დროს გუნდის მწვრთნელებმა შეცვლები გააკეთეს, რომლებითაც პივოვარნელებმა უფრო იხეირეს: ზედიზედ ოთხი ბურთი ჩააგდეს და მიღწეული უპირატესობის ნელ-ნელა ზრდა დაიწყეს. მეორე ტაიმში „პივოვარნას" უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ იჩინა თავი და შეხვედრაც 26-ქულიანი სხვაობით დასრულდა.

„სლოვანის" ქართველებმა გუნდის ქულათა მესამედი და მოხსნების თითქმის ნახევარი გააკეთეს. ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში დაიწყო და ყველაზე დიდხანს, 27 წუთი ითამაშა ვლადიმერ ბოისამ, რომელმაც ცხრა ქულას ხუთი მოხსნა მიუმატა. ბოისა მეურვეობდა „პივოვარნას" ფორვარდს გორან იურაკს, რომელმაც ექვსიდან ოთხი სროლა ჩააგდო. ვლადიმერი დაცვაში თავის თამაშით უკმაყოფილო იყო და ეს ფორმაში არყოფნას დააბრალა. ავადმყოფობის შემდეგ ძალები ვერ აღვიდგინე, თავიდან ხუთი კილოგრამი დავიკელი, მერე იმდენივე უცბად მოვიმატე და დამძიმებული ვიყავიო, გვითხრა.

სეზონში საუკეთესოდ ითამაშა ნიკა ცქიტიშვილმა, რომელმაც 21 წუთში შვიდ ქულას, შვიდ მოხსნას და სამ პასს გამოჰკრა ხელი. ფიზიკურად საკმაოდ გაძლიერებულმა ცქიტიშვილმა შვიდიდან სამი ბურთი ჩააგდო. საჯარიმოების შესრულებისას კი მეტი სიზუსტე მართებდა — ექვსიდან ერთი არცთუ კარგი შედეგია. საზოგადოდ, „სლოვანის" მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი ცქიტიშვილის დაცვაში თამაშით კმაყოფილი დარჩენილა.

საკმაო ხანი, 16 წუთი დაჰყო მოედანზე დავით უგრეხელიძემაც, რომელმაც ოთხიდან სამი სროლა ჩააგდო. ქართველი ცენტრის ანგარიშზე ექვსი ქულა და ორი მოხსნაა. თუკი ბოისას სიტყვებს ვენდობით, უგრეხელიძის ფიზიკური გაძლიერებაც აშკარაა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 12 | 12 | 0 | 1079:712 | 24 |
| პივოვარნა | 12 | 10 | 2 | 1033:850 | 22 |
| კრკა | 12 | 10 | 2 | 948:810 | 22 |
| სლოვანი | 12 | 7 | 5 | 838:823 | 19 |
| ტრიგლავი | 12 | 7 | 5 | 870:893 | 19 |
| სავინსკი | 12 | 6 | 6 | 938:918 | 18 |
| ზაგორიე | 12 | 6 | 6 | 876:920 | 18 |
| ჰელიოსი | 12 | 4 | 8 | 897:1006 | 16 |
| მარიბორი | 12 | 4 | 8 | 798:964 | 16 |
| როგლა ატრასი | 12 | 3 | 9 | 824:925 | 15 |
| ლოკა კავა | 12 | 2 | 10 | 793:914 | 14 |
| კრაშკი ზიდარი | 12 | 1 | 11 | 811:970 | 13 |

## იტალია

XIII ტური

ბენეტონი — სკავოლინი 71:75, კინდერი — კანტუ 98:60, ადეკო — აეროპორტი 68:56, პეპსი — ვარეზე 69:68, რეჯანა — ფორტიტუდო 68:79, მიულერი — იმოლა 76:82, ძუკეტი — ტრიესტი 87:78, ვიოლა — სიენა 76:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 13 | 12 | 1 | 980:845 | 25 |
| კინდერი | 13 | 10 | 3 | 1017:860 | 23 |
| სკავოლინი | 13 | 9 | 4 | 996:959 | 22 |
| ვიოლა | 13 | 9 | 4 | 962:967 | 22 |
| სიენა | 13 | 8 | 5 | 908:851 | 21 |
| ძუკეტი | 13 | 8 | 5 | 946:936 | 21 |
| აეროპორტი | 13 | 8 | 5 | 922:914 | 21 |
| ბენეტონი | 13 | 7 | 6 | 913:889 | 20 |
| იმოლა | 13 | 6 | 7 | 1001:1017 | 19 |
| ადეკო | 13 | 5 | 8 | 939:975 | 18 |
| კანტუ | 13 | 5 | 8 | 899:999 | 18 |
| ტრიესტი | 13 | 4 | 9 | 925:901 | 17 |
| ვარეზე | 13 | 4 | 9 | 907:951 | 17 |
| მიულერი | 13 | 4 | 9 | 871:926 | 17 |
| პეპსი | 13 | 3 | 10 | 870:956 | 16 |
| რეჯანა | 13 | 2 | 11 | 983:1093 | 15 |

## თურქეთი

XII ტური

ბეშიქთაში — ითუ 82:73, დარუშაფაკა — ქომბასანი 88:72, ეფესი — გალათასარაი 86:91, ფენერბაჰჩე — ულქერი 73:66, ოიაქი — ქარშიაქა 62:74, ტროი — მიდონოსე 88:83, ტელეკომი — თოფაში 71:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქარშიაქა | 12 | 10 | 2 | 901:804 | 22 |
| ეფესი | 12 | 9 | 3 | 904:849 | 21 |
| ტელეკომი | 12 | 9 | 3 | 900:829 | 21 |
| თოფაში | 12 | 9 | 3 | 912:799 | 21 |
| გალათასარაი | 12 | 8 | 4 | 902:813 | 20 |
| დარუშაფაკა | 12 | 7 | 5 | 888:885 | 19 |
| ბეშიქთაში | 12 | 7 | 5 | 894:881 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 12 | 7 | 5 | 932:876 | 19 |
| ულქერი | 12 | 6 | 6 | 874:868 | 18 |
| ითუ | 12 | 4 | 8 | 791:905 | 16 |
| ტროი | 12 | 3 | 9 | 873:951 | 15 |
| ქომბასანი | 12 | 3 | 9 | 825:839 | 15 |
| მიდონოსე | 12 | 2 | 10 | 904:1006 | 14 |
| ოიაქი | 12 | 0 | 12 | 765:960 | 12 |

## საბერძნეთი

# მწვანე მატარებელს წითელი შუქი აენთო

X ტური

სპორტინგი — ირაკლიონი 56:67, ესპეროსი — ირაკლისი 80:72, მარუსი — ნიარ ისტი 74:72, დაფნი — პერისტერი 57:75, პანიონიოსი — აეკ 64:68, პაოკ — არისი 79:72

**პანათინაიკოსი 68:69 ოლიმპიაკოსი**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (5), კალაიძისი, კოხი (2), როჯერსი (5), ფოცისი (9), ბოდიროგა (24), ბუდურისი, რებრაჩა (7), ბერკი, კატაში (16)

ოლიმპიაკოსი: ედვარდსი (9), ადე მანსა, ვუკჩევიჩი (8), პაპანიკოლაუ (5), რობინსონი (20), ტომიჩი (17), ტარლაჩი, დე მიგელი (7), გრანტი (3)

ღირს ვითომ იმის ხაზგასმა, რას ნიშნავს „პანათინაიკოსი" - „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთისთვის? ვგონებ, არა, რადგან ისედაც ყველაფერი ნათელია: ეს მატჩი გაცილებით მეტია, ვიდრე ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდის შეხვედრა. თუნდაც ეს შეხვედრა პრინციპულზე პრინციპული იყოს.

„პანათინაიკოსი" („ოლიმპიაკოსი") რა გინდა ძლიერი იყოს, შეგვხვდება ჩვენ და შავ დღეს დავაყრით" — ეს გახლავთ „ოლიმპიაკოსის" („პანათინაიკოსის") ნებისმიერი ქომაგის აზრი, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. არა აქვს მნიშვნელობა „პანათინაიკოსი" („ოლიმპიაკოსი") რას მოიგებს ევროპაში, მთავარია, რა მოხდება იქ, ათენში (პირეოსში), როცა ეს ორი გუნდი ერთმანეთს დაეჭიდება.

დღეს „ოლიმპიაკოსი" ბედნიერია, რადგან კვირას სტუმრად მოუგო საძულველ მეტოქეს. მეტოქეთა საუკუნის ბოლო შეხვედრაში პირეოსელებმა იმარჯვეს და „პანათინაიკოსს" შეაწყვეტინეს ბრწყინვალე 20-მატჩიანი მოგებების სერია (9 — ევროლიგაში, 9 — საბერძნეთის ჩემპიონატში, 2 — საბერძნეთის თასზე). თითქოს სიმბოლურიცაა, რომ „მწვანე მატარებლის" („პანათინაიკოსს" მწვანე ფორმა აცვია) შემაჩერებელი მისი უმთავრესი მეტოქე, „წითელი შუქი" („ოლიმპიაკოსს" წითელი ფორმა აცვია) გახდა.

შეხვედრა „პანათინაიკოსის" სარბიელზე, „ოლიმპიკ არენაზე" გაიმართა. იქ, სადაც 2004 წლის ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებათა დიდი ნაწილი მოეწყობა. დამთავრებამდე 37 წამით ადრე პირეოსელთა ამერიკელმა ჯეიმს რობინსონმა სამქულიანი ჩააგდო და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა. მართალია, რობინსონი ყველაზე შედეგიანი იყო „ოლიმპიაკოსის" რიგებში, მაგრამ მატჩის და ტურის საუკეთესო მოთამაშედ მისი თანაგუნდელი მილან ტომიჩი დასახელდა.

„ოლიმპიაკოსის" მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა პატარა ბავშვებივით გაიხარეს. ისინი ხელაწეულნი დარბოდნენ მთელს მოედანზე, მაშინ, როცა 20 ათასი მაყურებელი მათ ლითონის მონეტებს და პლასტმასისა თუ თუნუქის ბოთლებს ესროდა. ერთი ბოთლი „ოლიმპიაკოსის" მთავარ მწვრთნელს იანის იოანიდისსაც მოხვდა თავში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 10 | 9 | 1 | 736:588 | 19 |
| ოლიმპიაკოსი | 10 | 8 | 2 | 700:615 | 18 |
| პაოკ | 10 | 8 | 2 | 739:657 | 18 |
| აეკ | 10 | 8 | 2 | 758:646 | 18 |
| მარუსი | 10 | 6 | 4 | 687:678 | 16 |
| ირაკლისი | 10 | 5 | 5 | 703:670 | 15 |
| პერისტერი | 10 | 5 | 5 | 726:725 | 15 |
| ნიარ ისტი | 10 | 4 | 6 | 736:805 | 14 |
| ირაკლიონი | 10 | 4 | 6 | 685:690 | 14 |
| პანიონიოსი | 10 | 4 | 6 | 712:721 | 14 |
| დაფნი | 10 | 4 | 6 | 713:792 | 14 |
| არისი | 10 | 3 | 7 | 692:719 | 13 |
| ესპეროსი | 10 | 2 | 8 | 654:791 | 12 |
| სპორტინგი | 10 | 0 | 10 | 619:763 | 10 |

## ესპანეთი

XV ტური

კანტაბრია — კასერესი 78:72, ბრეოგანი — ხიხონი 80:62, ესტუდიანტესი — ლეონი 88:58, ტდკ — უნიკახა 56:64, ფორუმი — პამესა 64:63, კანარიასი — ხირონა 74:72, ტაუ — ფუენლაბრადა 84:76, კახა სან ფერნანდო — ბადალონა 88:74

**ბარსელონა 66:61 რეალი**

ბარსელონა: როდრიგესი (2), ნავარო (8), ალსტონი (10), გუროვიჩი (6), დუენიასი (13), გოლდვაიერი (13), დე ლა ფუენტე (7), ელსონი, გასოლი (7)

რეალი: ლ. ანგულო (14), ჯორჯევიჩი (15), ერეროსი (18), სკოტი (12), სტრიულენსი (2), გალილეა, მიხაილოვი, ლარსენი

ესეც საუკუნის ბოლო „ბარსელონა" - „რეალი"... მართალია, არასაფეხბურთო, მაგრამ მაინც... ამ გუნდების წლევანდელმა საფეხბურთო მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა (2:2), ამიტომაც ამ ისტორიული დავის ნაწილობრივი გადაწყვეტა კალათბურთელებმა იკისრეს.

თამაში დაძაბული იყო. მოედანზე საუკეთესო ბარსელონელი რობერტო დუენიასი გახლდათ, რომელმაც 13 ქულას 13 მოხსნაც დაურთო. კარგად ითამაშეს მადრიდელებმა ჯორჯევიჩმა, ანგულომ და ერეროსმა, მაგრამ „ბარსამ" წინა ხაზში მოიპოვა მნიშვნელოვანი უპირატესობა და მატჩიც ამის წყალობით მოიგო. „რეალის" ორი მოთამაშე, ალექსანდრ ჯორჯევიჩი და ხოსე ლუის გალილეა ადრე „ბარსელონას" მოთამაშეები იყვნენ. ამიტომ, იოლი მისახვედრია, როგორ „თბილ" შეხვედრას მოუწყობდა მათ ბარსელონელი გულშემატკივარი. ჯორჯევიჩი ღირსეულად დაბრუნდა ბარსელონაში, რასაც ვერ ვიტყვით გალილეაზე. საერთოდ, „რეალის" სათადარიგოებმა (ანგულო, მიხაილოვი, ლარსენი) ძალიან ცუდად ითამაშეს — ქულაც ვერ აიღეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 15 | 12 | 3 | 1178:1041 | 27 |
| სან ფერნანდო | 15 | 11 | 4 | 1129:1031 | 26 |
| ბარსელონა | 15 | 10 | 5 | 1093:1023 | 25 |
| ესტუდიანტესი | 15 | 10 | 5 | 1116:1063 | 25 |
| ტაუ | 15 | 9 | 6 | 1208:1122 | 24 |
| კანარიასი | 15 | 9 | 6 | 1123:1123 | 24 |
| ხირონა | 15 | 8 | 7 | 1116:1050 | 23 |
| რეალი | 15 | 8 | 7 | 1121:1065 | 23 |
| უნიკახა | 15 | 8 | 7 | 1030:1006 | 23 |
| ფორუმი | 15 | 8 | 7 | 1040:1055 | 23 |
| ბადალონა | 15 | 7 | 8 | 1175:1184 | 22 |
| კასერესი | 15 | 7 | 8 | 1088:1120 | 22 |
| ფუენლაბრადა | 15 | 6 | 9 | 1105:1106 | 21 |
| ტდკ | 15 | 5 | 10 | 1036:1076 | 20 |
| ხიხონი | 15 | 5 | 10 | 1021:1141 | 20 |
| კანტაბრია | 15 | 5 | 10 | 1039:1191 | 20 |
| ბრეოგანი | 15 | 4 | 11 | 1097:1199 | 19 |
| ლეონი | 15 | 3 | 12 | 981:1100 | 18 |

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX საუკუნის სპორტსმენი

### სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*

*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*

*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ნადეჟდა ხნიკინა — დვალიშვილი**

**მძლეოსნობა**

დაიბადა 1933 წლის 24 ივნისს ბაქოში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1951, 53) 100 და 200 მეტრზე რბენაში, სტუდენტთა XI საზაფხულო სპორტული თამაშების (1951) მესამე პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში, ახალგაზრდობის I საერთაშორისო სპორტული თამაშების (1953) ჩემპიონი 4X200 ესტაფეტაში და ორგზის ვერცხლისმედალოსანი 100 და 200 მეტრზე რბენაში, III ამავე თამაშების (1957) ვიცე-ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, ჰელსინკისა (1952) და მელბურნის (1956) ოლიმპიადების ბრინჯაოსმედალოსანი 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში



1. 1951 წელს მინსკში მოვიპოვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, თან ქვეყნის რეკორდი დავამყარე. ეს ჩემი პირველი დიდი გამარჯვება იყო. არანაკლებ გამიხარდა ოლიმპიური მედლის მოპოვება 1952 წელს ჰელსინკში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრები პირველად გამოვიდა. ყველაზე უფრო სასიამოვნო მოგონებები ესენია. ყველაზე მძიმე მომენტი კი ნებისმიერი სპორტსმენისთვის ალბათ, კარიერის დასრულებაა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასე იყო. მით უფრო, რომ ძალიან ადრე — 25 წლისა წავედი სპორტიდან. ოჯახმა და პირველი შვილის დაბადებამ მაიძულა, ჩემს საყვარელ საქმიანობას გამოვთხოვებოდი. ეს მართლაც მძიმე მომენტი იყო.

2. თუ სპორტს არ ექნება სახელმწიფოს მხარდაჭერა, ვერ იარსებებს. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს რესპუბლიკაში სპორტი კი არა, ფიზკულტურაც აღარაა. ჯანმრთელი ერის არსებობისთვის კი ეს აუცილებელია. შეუძლებელია დიდი მიღწევები, როცა არაა კეთილმოწყობილი სავარჯიშო დარბაზები, ინვენტარი, გათბობა, წყალი... საერთოდ არაფერი არაა. ნახევრად მშიერი და ნახევრად გაყინული სპორტსმენები რასაც აკეთებენ, ისიც გმირობაა.

3. ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო დუმბაძე, ნინო სალუქვაძე



# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-16 ტური

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ვოლფსბურგი-ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 002 | კლაუტერნი-ფრაიბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 004 | უნტერჰახინგი-ჰამბურგი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 005 | შალკე-დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 006 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-16 ტური

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | ზანქტ პაული-კიოლნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 011 | ალემანია-ობერჰაუზენი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 012 | კარლსრუე-ფიურტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 013 | ფორტუნა-ვალდჰოფი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 015 | კოტბუსი-ოფენბახი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 018 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ინგლისი. I დივიზიონი

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | ნოტინგემი-ფულემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

ინგლისი. III დივიზიონი

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | დარლინგტონი-ჩესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

იტალია. სერია B

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 025 | ტერნანა-პისტოიეზე | 1,9 | 2,6 | 4,0 |

ჰოლანდია

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 027 | აიაქსი-პსვ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 028 | ჰერენვენი-ვალვაიკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 029 | ნაიმეგენი-მაასტრიხტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 030 | როდა-კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 031 | სპარტა-დენ ბოსხი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 032 | ვიტესი-ტილბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

16 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 033 | ფეიენოორდი-გრააფსხაპი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

ბელგია. გადადებული მატჩი

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 034 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

ინგლისი. ლიგის თასის მერვედფინალი

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 035 | ლესტერი-ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

იტალია. თასის მერვედფინალი. II მატჩები

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 039 | ბოლონია-ინტერი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 040 | პიაჩენცა-რომა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 041 | პარმა-კალიარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 042 | ფიორენტინა-პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 043 | უდინეზე-ვენეცია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 045 | ლაციო-რავენა | 1,1 | 6,0 | 12,0 |

16 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 044 | იუვენტუსი-ნაპოლი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

ესპანეთი. თასის II ეტაპი. I მატჩები

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 047 | სპორტინგი-სელტა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 049 | ლას პალმასი-ატლეტიკო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 050 | ოსასუნა-ვალენსია | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 051 | სარაგოსა-რასინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 052 | ბილბაო-რაიო ვალეკანო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 053 | ლოგრონიესი-ოვიედო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 054 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 055 | მერიდა-ბეტისი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 056 | ლეიდა-ეიბარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 057 | ტენერიფე-კომპოსტელა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

თურქეთი. თასის მე-3 ეტაპი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 058 | ერზურუმი-დენიზლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 059 | ადანა-სამსუნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 060 | ტრაბზონი-გიოზთეფე | 1,25 | 4,4 | 8,0 |

კალათბურთი. NBA

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 811 | ბოსტონი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 812 | ნიუ ჯერსი-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 813 | ფილადელფია-ტორონტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 814 | ორლანდო-მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 815 | შარლოტი-მინესოტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 816 | ინდიანა-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 817 | სან ანტონიო-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 818 | ვანკუვერი-საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |

16 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 819 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 820 | მაიამი-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 821 | ატლანტა-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 822 | დალასი-ნიუ იორკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 823 | დენვერი-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 824 | გოლდენ სტეიტი-დეტროიტი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 825 | სიეტლი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

ჰოკეი. NHL

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 845 | რეინჯერსი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 846 | ტორონტო-აილენდერსი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| 847 | კაროლინა-პიტსბურგი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 848 | ატლანტა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 849 | ფლორიდა-ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 850 | დეტროიტი-ედმონტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 851 | დალასი-კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 852 | კოლორადო-ანაჰაიმი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

16 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 853 | მონრეალი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 854 | ფილადელფია-ფინიქსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 855 | ვანკუვერი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კალათბურთი. ევროლიგა. მე-10 ტური

15 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ეფესი (თურქეთი)-ციბონა (ხორვატია) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 827 | პაოკ (საბერძნეთი)-ბარსელონა (ესპანეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 828 | ვარეზე (იტალია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 829 | პო ორტეზი (საფრანგეთი)-ფორტიტუდო (იტალია) | 4,0 | 12,0 | 1,15 |

16 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 830 | პივივარნა (სლოვენია)-ულქერი (თურქეთი) | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 831 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)-შოლე (საფრანგეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 832 | ოლიმპია (სლოვენია)-ჟალგირისი (ლიტვა) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 833 | ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)-კახა ს.ფ. (ესპანეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 834 | ბენეტონი (იტალია)-ცსკა (რუსეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 835 | ვილერბანი (საფრანგეთი)-მაკაბი (ისრაელი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 836 | რეალი (ესპანეთი)-თოფაში (თურქეთი) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 837 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-ალბა (გერმანია) | 1,15 | 12,0 | 2,8 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის [illegible] მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). [illegible] ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ჩვენი ჭადრაკი ერთი ოჯახი აღარ არის

პრესკონფერენციის დასაწყისში ნონა გაფრინდაშვილმა წაიკითხა განცხადება, რომელიც ამ ოთხეულმა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანს გაუგზავნა. მისი შინაარსი ასეთია — ბოლო ორ წელიწადში ქართულმა ჭადრაკმა დათმო ჩვეული მაღალი პოზიციები. 1997 წელს ელისტაში დაიკარგა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული, ხოლო წლეულს ბათუმში, ევროპის გუნდურ პირველობაზე, არათუ შევინარჩუნეთ კონტინენტის ჩემპიონობა, არამედ ჩვენი ხუთი გუნდიდან ათეულში ვერც ერთი მოხვდა. ეს იმის შედეგია, რაც ჭადრაკის ფედერაციაში ხდება და რაც ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. აზმაიფარაშვილის პრეზიდენტად მოსვლის მერე საჭადრაკო სამყარო გაიხლიჩა. მან მოსვლის პირველი დღიდანვე მიზნად დაისახა მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვება ქართველ მოჭადრაკეებზე. მას არ ეხერხება კოლეგებთან ნორმალური ურთიერთობა. მისი ხასიათის არამდგრადობით, გადაწყვეტილებების ხშირი ცვლით არაერთი მოჭადრაკე დაზარალდა, ჩაიშალა საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, არ გამოვლინდა ჩემპიონი. თავისი ორწლიანი პრეზიდენტობის მანძილზე წელიწად-ნახევარი არ ყოფილა საქართველოში და, ბუნებრივია, ვერც თავის ფუნქციებს შეასრულებდა. ამიტომ ვერ უზრუნველყო ქართველთა მონაწილეობა 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მან გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და ფედერაციას წარუდგინა თავისი მეუღლე, როგორც ჭადრაკის სასახლის ოფიციალური მენეჯერი. მისი მეუღლე აქტიურად ერევა საჭადრაკო საქმეებში, ფაქტობრივად განაგებს ფედერაციას და ამას წინათ სახელმწიფო კანცელარიაშიც მივიდა ფედერაციის ოფიციალურ პირთან ერთად, ხოლო ის, რაც ევროპის ჩემპიონატის წინ მოხდა, არანაირ ჩარჩოში არ თავსდება. ამ დროს გამოჩნდა არნახული დამოკიდებულება საკუთარი გუნდების მიმართ, ხოლო თამაშზე უარი ბოლო მომენტში განაცხადა. დაუჯერებელია, არ გამოძებნილიყო სახსრები ჩვენი გუნდებისათვის, ოღონდ საჭირო იყო მეტი გულისხმიერება. აზმაიფარაშვილმა თანამდებობა პოლიტიკური მოტივით გამოიყენა და ქართველი მოჭადრაკეების სახელით აკეთა მიუღებელი, შეურაცხმყოფელი განცხადებები ხელისუფლების მისამართით. მისი მუდმივი მუქარა ამა თუ იმ გუნდის მოხსნაზე სამარცხვინო ლაქად სდევდა ამ საჭადრაკო ზეიმს. მიგვაჩნია, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილის მოღვაწეობა, როგორც პრეზიდენტისა, ქართული ჭადრაკის კატასტროფას ნიშნავს, რომლის სამსახურსა და სიყვარულშიც დაიხარჯა ჩვენი ცხოვრება. ჩვენთვის სულ ერთი არაა ჭადრაკის მომავალი. ამიტომ ვტოვებთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგებს და მზად ვართ, შევქმნათ ახალი ფედერაცია, რომელიც მაქსიმალურად ეცდება, ნორმალური პირობები შეუქმნას მომავალ თაობას, რათა ქართულმა ჭადრაკმა კვლავ დაიბრუნოს თავისი ავტორიტეტი და პრესტიჟი.

ამის მერე ცალ-ცალკე ისაუბრეს თვითონ მოჭადრაკე ქალებმა. ეს გამოსვლები ძირითადად ერთმანეთს ჰგავდა. მათ რიგრიგობით წაუყენეს იგივე ბრალდებები აზმაიფარაშვილს და მის საპრეზიდენტო მოღვაწეობას მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცეს.

*ნანა ალექსანდრია* — როცა ზურაბ აზმაიფარაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს, ჩვენ დავტოვეთ დარბაზი. მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მიგვაჩნდა, რომ ის არ იყო ღირსეული კანდიდატი ამ თანამდებობაზე. თანაც ახლოვდებოდა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი და არ გვინდოდა, იგი ვაჟთა ნაკრებისთვის დაკარგულიყო. მისი საწინააღმდეგო მეორე ტალღა სწორედ იმ მოჭადრაკე ვაჟებმა ააგორეს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მის გაპრეზიდენტებაში. მე თვითონ წლების განმავლობაში ვკაპიტნობდი ნაკრებს და კარგად ვიცი, გუნდი ერთი თვით ადრე მაინც კომპლექტდება. ბათუმის ტურნირის წინ კი რა ხდებოდა? არავინ იცოდა, ვინ რომელ გუნდში იასპარეზებდა, ვინ იქნებოდა კაპიტანი... სულაც არ მინდა, ქართული ჭადრაკი ვინმეს პოლიტიკურ კარიერაში ქულების დაგროვების საშუალებად იქცეს.

*ნინო გურიელი* — ზურაბ აზმაიფარაშვილი კარგი მოჭადრაკეა, მაგრამ აქვს პიროვნული მინუსები, რაც როგორც ხელმძღვანელს ხელს უშლის და ქართული ჭადრაკი ამიტომაა ასეთ დღეში. ის მუდამ ცვლის გადაწყვეტილებებს და ადვილად ექცევა სხვათა გავლენის ქვეშ. ამჯერად მეუღლის ზემოქმედებას განიცდის. ორი თვის წინ მაია ჩიბურდანიძე მესტუმრა შინ. ის შეწუხებულია ქართულ ჭადრაკში შექმნილი მდგომარეობით და მძიმედ განიცდის ამას. ჩვენი პრობლემები ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ და საზოგადოების განსასჯელი არ უნდა გავხადოთო, მითხრა. ევროპის ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს მოხდა გაუგონარი რამ — აზმაიფარაშვილმა თამაში იუარა და პირველი ნაკრებები (ქალთა და ვაჟთა) გაუქმებულად გამოაცხადა. არც იმაზე უზრუნია ვინმეს, რომ ზურაბ სტურუას ბათუმში ეასპარეზა. არადა, ის დღესდღეობით საქართველოში მეორე მოჭადრაკეა. 23 თებერვალს გამართული ალმასკომის სხდომა ჭადრაკის სირცხვილი იყო. ამ დღეს პირველად დავინახე ცრემლი ნონას თვალებზე. მას კი მაშინაც არ უტირია, როცა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაკარგა.

*ნანა იოსელიანი* — სიტუაცია მართლაც კატასტროფულია. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში ჭადრაკი აღარ გვექნება. ჩვენ უფროსი თაობა ყოველთვის გვერდით გვედგა და მათ მაგალითზე ვიზრდებოდით. მე ნონას გამო მიმიყვანეს ჭადრაკზე, თუმცა თავიდან მშობლებს ეს მაინცდამაინც არ უნდოდათ. ჩვენ გასაყოფი ბევრი რამ გვქონდა, მაგრამ ერთმანეთის ჭირისუფლებად დავრჩით. საოცარია, როცა გასაყოფი აღარაფერია, ახლა დავიქსაქსეთ. ადრე ყოველთვის ერთი გუნდი ვიყავით. მახსოვს, ერევნის ოლიმპიადაზე ვაჟთა ნაკრებმა ბოლო ტურში ამერიკელებთან წააგო. ამ დროს ჩვენ ჩემპიონობა განაღდებული გვქონდა, მაგრამ მათი წაგება ისე განვიცადეთ, ეს აღარც გვიხაროდა. ქართულ ჭადრაკში დღეს შექმნილი მდგომარეობა ლოგიკური გაგრძელებაა იმ დაღმასვლისა, რაც კარგა ხანია, დაიწყო. თუ კონფრონტაცია გაგრძელდა, ჭადრაკი აღარ გვექნება. ჩემი ჩამოწერის საბაბი არ არის. მე მივიღე წინადადებები ჩეხეთისა და გერმანიის ფედერაციებიდან, გადასვლას მთხოვენ, მაგრამ ამაზე არც მიფიქრია. ფედერაციიდან გასვლა ჭადრაკიდან წასვლას არ ნიშნავს. დემაგოგიაა, თითქოს ჩვენ არ გვინდა მომავალი თაობა და ხელს ვუშლით მათ. ალექსანდრიაც და გაფრინდაშვილიც უფასოდ ავარჯიშებენ ყველაზე ნიჭიერ მოჭადრაკეებს.

*ნონა გაფრინდაშვილი* — ვერავინ, ვერც თვით ზურაბ აზმაიფარაშვილი იტყვის, რომ მას ხელი შევუშალეთ მუშაობაში. ჩვენ, პიროვნული პოზიციიდან გამომდინარე, განზე კი ვიდექით, მაგრამ არც ხელს ვუშლიდით. საქმე საქმეზე თუ მიდგება, დავითვალოთ, ვინ მეტი გააკეთა ჭადრაკისთვის. არავის აქვს უფლება, მოთამაშეები „ჩამოწეროს" და ვინმე მათზე წინ დააყენოს მხოლოდ ახალგაზრდული ასაკის გამო. აზმაიფარაშვილის პრეზიდენტად მოსვლის მერე მოჭადრაკეთა სამყარო გაიხლიჩა. მან იმდენი მოახერხა, ის მოჭადრაკე ვაჟებიც კი გადაიკიდა, ვინც თავის დროზე მიღებული თუ მიუღებელი ხერხებით ხელი შეუწყო პრეზიდენტად გახდომაში. ერთხელ აზმაიფარაშვილმა შეხვედრა მთხოვა. მე შინ მოვიწვიე. ის მოვიდა და მითხრა, შენ გენდობიან და გაფასებენ, დაელაპარაკე ჩემს მოწინააღმდეგე ვაჟებს, მაცალონ მუშაობა, გეგმების განხორციელებაში ხელს ნუ შემიშლიან და მერე ყრილობაზე კანდიდატურას არ წამოვაყენებო. თებერვალში ოლიმპიურ კომიტეტში ორივე მხარე ერთმანეთს შეავახვედრე სოკის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილის თანდასწრებით. შეთანხმებაც შედგა და წერილობითაც გაფორმდა, მაგრამ აზმაიფარაშვილმა [illegible] მოხოვოს, მაშინ რა ვქნათ [illegible] ის ტურნირი [illegible] ასეა, [illegible] და გადათქვას ნათქვამი. როცა ის საზღვარგარეთ თამაშობდა, ჭადრაკის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე ერთი წელიწადი უნახავდა ხელფასს, გიორგი ყაჭეიშვილი კი წავიდა თუ არა, მაშინვე შეუწყვიტა სტიპენდია. არადა, გიორგი ფედერაციიდან არ წასულა და ახლაც ჩვენი სახელით გამოდის, აზმაიფარაშვილი კი ბოსნიის ფედერაციაში გაწევრიანდა და შუბლაძეს დიდი ჯაფა დაადგა, ოლიმპიადაზე ჩვენი სახელით რომ გამოსულიყო. მისი პრეზიდენტად არჩევა ყველაზე ადრე მაია ჩიბურდანიძეს არ მოეწონა. ის ჩემთან შინ მოვიდა და მითხრა, ასეთი ნერვების პატრონი როგორ შეიძლება, ფედერაციას ხელმძღვანელობდესო. ჩვენი მოჭადრაკეების 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელი ფულის შოვნაზე არ უზრუნია, რადგან ამ დროს უცხოეთში იყო და ფრანგ ეტიენ ბაკროს ამზადებდა, რომელიც ხსენებულ ტურნირში უნდა გამოსულიყო. ჩიბურდანიძის ადგილზე მე აუცილებლად ვითამაშებდი ბათუმში. მის განცხადებაში პრობლემა კი იყო სწორად დასმული, მაგრამ ასპარეზობაზე უარი მაინც არ უნდა ეთქვა. ცხოვრებაში რომ ულტიმატუმებით მევლო, ჩემი კეთილდღეობისთვის ნამდვილად სჯობდა, მაგრამ... მაიას ურიგო ანაზღაურება არა აქვს. თუ დეპარტამენტი მას კვების ფულს არ აძლევს, ასე ხელფასებს დღეს ვერავინ იღებს და მაშინ გამოიკეტოს ყველამ სამსახურის კარი... ახლა ყველაფერი დეპარტამენტზეა დამოკიდებული. მას შეუძლია, შეაჩეროს ფედერაციის უფლებამოსილება. თუ ასე მოხდა, რიგგარეშე ყრილობაც მერე დაინიშნება. ფიდე ცნობს იმ ფედერაციას, რომელსაც აღიარებს ქვეყნის მთავრობა.

ამით პირველი მოქმედება დასრულდა, მეორეს კი დღეს ვიხილავთ — პრესკონფერენციას ამჯერად ზურაბ აზმაიფარაშვილი გამართავს.

**ირაკლი თავაძე**



# მარკიზმა ცოცხი მოუსვა

## სამარანჩი ოლიმპიელთა ჩერჩილიაო, ამბობს შრეიბერი, ჰოდლერი კი კითხულობს, აბა, ქურდებს რა გამოლევსო




ხუან ანტონიო სამარანჩი, ჰენრი კისინჯერი და სოკ-ის წევრი, იტალიელი ჯოვანი ანიელი

**სოლტ ლეიკ სიტიმ** ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება ქრთამით მოიპოვაო. ეს სკანდალური ამბავი ჯერ კულისებში ჩურჩულით ითქვა, მერე ხმამაღლა და ბოლოს საქმე სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა, 80 წლის მარკ ჰოდლერმა ისე ააგორა და ისე შორს წავიდა, რომ ლამის მთელ ოლიმპიურ მოძრაობას წალეკვით დაემუქრა. საქმის გამოძიებაში მრავალი ორგანიზაცია ჩაება, მათ შორის აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიურო. თავად სოკ-იც, ცხადია, გვარიანად აწრიალდა. მით უმეტეს, მას ჟურნალისტებმაც გვარიანად შეუფუცხუნეს, განსაკუთრებით კი სამარანჩს შეუტიეს.

ჰოდა, ამ შაბათ-კვირას ლოზანაში სოკ-ის X სესიის დაწყებამდე, რომელსაც ოლიმპიური მოძრაობის რეფორმები უნდა განეხილა და დაემტკიცებინა, როგორც გაუწყეთ, სამარანჩმა ბრძანა, თუ ჩემს წინააღმდეგ სოკ-ის 89 წევრიდან 20-25 კაცი გამოვა, პოსტიდან გადავდგებიო.

მაგრამ სამარანჩი სესიის მოლოდინში ისე ყინჩად საუბრობდა, ეტყობოდა, დარწმუნებული იყო, ის 25, თუნდაც 20 მისი მოწინააღმდეგე არ გამოჩნდებოდა.

ასეც მოხდა, ფარულ კენჭისყრაზე სამარანჩის წინააღმდეგ ორად-ორმა კაცმა გაილაშქრა, ერთმა კი თავი შეიკავა.

სამარანჩმა უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ თითქოს გაისად სიდნეის ოლიმპიური თამაშების მერე მაინც გადადგებოდა.

ორდღიანმა სესიამ აჩვენა, რომ სამარანჩმა ერთწლიან „მსოფლიოს ომში" კიარ შეისუსტა, არამედ კიდევ ერთხელ განიმტკიცა პოზიცია, როგორც მსოფლიოს სპორტის სამყაროში ყველაზე გავლენიანმა და ძალაუფლების მქონე ფიგურამ. ამიტომ მას ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს ჩაბღუჯული სოკ-ის ალვირი, ის ალვირი, რომლის დათმობას ეს 79 წლის ბერიკაცი ცოცხალი თავით არ აპირებს, ვიდრე პრეზიდენტობის უფლებამოსილების ვადა არ გაუვა. ეს მოხდება 2001 წლის 16 ივლისს.

მანამდე კი...

მანამდე სამარანჩი ამბობს, დღეს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გვიჩვენეს, რომ ნდობა ისევ მოვა, შეიძლება უფრო ძლიერი, ვიდრე აქამდე იყოო.

„დღეს ჩვენ მივაგენით 50 რეფორმას, რომელიც უმრავლესობამ შეასწორა. ეს არის ჩვენი პასუხი საზოგადოების, სპორტსმენებისა და ოლიმპიური მოძრაობის წინაშე. დიახ, ჩვენ შევასრულეთ დანაპირები. ვფიქრობ, ჩვენი რეაქცია იყო სწრაფი და ძლიერი — სამ თვეში დავალაგეთ და დავასუფთავეთ ჩვენი სახლი."

„სახლის დალაგება-დასუფთავებაში" სამარანჩი, ალბათ, გულისხმობდა იმას, რომ კორუფციასთან დაკავშირებულ სკანდალს სოკ-ის 10 წევრი შეეწირა. მათგან ექვსი „თავის დროზე" გაირიცხა სოკ-ის წევრობიდან, ოთხი კი თავად გადადგა, მათ შორის სამარანჩის ნდობით აღჭურვილი პირნი და მეგობრებიც იყვნენ.

ის კი, მარკიზი სამარანჩი, დარჩა და ამბობს, საჭიროა სოკ-ის შერყეული იმიჯის რესტავრაციაო.

ინტერნეტის საშუალებით ისიც შევიტყვეთ, რომ სამარანჩს უთქვამს, მე ვიყავი ერთადერთი, რომელმაც შეაჩერა სოკ-ის ნგრევა და ოლიმპიური მოძრაობა ახალ ათასწლეულში შეყავსო.

სამარანჩი ახლა ამაყობს სოკ-ის რეფორმატული გადაწყვეტილებებით. ამ რეფორმატულ იდეებს მარტში დაედო სათავე. მაშინ სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე ფარული კენჭისყრის შემდეგ გადარჩენილმა სამარანჩმა თავისთან მიიწვია მაღალი დონის პირები, მათ შორის აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, რათა ჩამოეყალიბებინათ რეფორმათა ის სია, რომელიც ამ შაბათ-კვირას დამტკიცდა. ამის მერე სოკ-ის წევრებმა სამარანჩს ფეხზე ადგომით ოვაცია მოუწყვეს.

— იგი უდიდესი პარლამენტარი და ოლიმპიური მოძრაობის ჩერჩილია — განაცხადა სოკ-ის კომუნიკაციათა დირექტორმა ფრანკლინ სერვან-შრეიბერმა მას შემდეგ, როდესაც საბოლოოდ გადაწყდა იმ 50 რეფორმის ბედი.

ამ რეფორმათაგან ერთ-ერთი საინტერესო იყო ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველ ქალაქებში სოკ-ის წევრთა ვიზიტების საკითხი. გადაწყდა, რომ ეს მოხდება მკაცრად განსაზღვრული რეგლამენტით. სოკ-ის წევრები ამა თუ იმ კანდიდატ ქალაქს კვლავაც ფარული კენჭისყრით აირჩევენ მასპინძლად, მაგრამ ამავე დროს სოკ-ის ლიდერებს სწამთ, რომ კანდიდატ ქალაქთა წარმომადგენლებს არ მიეცემათ სოკ-ის წევრებთან შეხვედრის უფლება.

საინტერესოა სოკ-ის წევრთა თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაც. ამის თანახმად, მათმა რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 115 კაცს. მათ შორის პირველად ოლიმპიზმის ისტორიაში უნდა მოხვდნენ მოქმედი სპორტსმენებიც. სულ თხუთმეტი, მათ სოკ-ის წევრობა შეუძლიათ ოთხი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როცა ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებენ.

სამარანჩმა ამ გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა, ამჯერად კი სოკ-ის წევრად 10 ათლეტი შეიყვანეს. მათ შორის ისეთი გამოჩენილი სპორტსმენები, როგორებიც არიან უკრაინელი ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა, ჩეხი შუბის მტყორცნელი იან ჟელეზნი და რუსი მოცურავე ალექსანდრ პოპოვი.

სოკ-ის წევრებად უნდა აირჩიონ ცალკეულ სახეობებში სპორტულ ფედერაციათა 15 პრეზიდენტი, ამდენივე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან კონტინენტალური ასოციაციის პრეზიდენტი. ამას გარდა, 70 კაცი მიიღებს პერსონალურ მიწვევას. ამ 70 კაციდან არ შეიძლება იყოს ერთი ქვეყნიდან 2 წარმომადგენელი. იგივე შეზღუდვა ვრცელდება მოქმედ სპორტსმენებზე, ფედერაციასა და ეოკ-თა პრეზიდენტებზე. შეზღუდულია სოკ-ის წევრებად მათი ყოფნის ვადაც, რაც 8 წლით განისაზღვრება.

განსაზღვრულია ასაკობრივი ლიმიტიც — 70 წელი სოკ-ის კვლავ ასარჩევ პირთათვის. ის, ვინც უკვე არჩეულია, არ შეიძლება დარჩეს სოკ-ის წევრად მას მერე, რაც 80 წლის შესრულდება.

რაც შეეხება სოკ-ის პრეზიდენტს, იგი შეიძლება ამ პოსტზე აირჩიონ არა უმეტეს 8 წლით, ოღონდ ოთხი წლის მერე ხელახალი არჩევის შესაძლებლობით.

ამჟამინდელმა სოკ-ის წევრებმა ეს ორგანიზაცია 8 წლის მერე უნდა დატოვონ.

ეს რვაწლიანი ლიმიტები იმისთვის დაუწესებიათ, რომ სოკ-ელებს სასიამოვნო სამუშაო მთელი ცხოვრების განმავლობაში არ ჰქონდეთო. ყოველ შემთხვევაში, ასეთ კომენტარს აკეთებენ უცხოური საინფორმაციო საშუალებები.

ორმოცდაათივე რეფორმისტულ გადაწყვეტილებაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ახლა კი ერთსაც ვიტყვით — ეს რეფორმები წელიწადზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს.

ბოლოს, ხსენებულ სკანდალურ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ რეფორმებით აღფრთოვანებულია თვით მარკ ჰოდლერიც, ვინც სოკ-ში კორუფციის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი გამოაცხადა.

— ძალიან გახარებული ვარ ამ რეფორმების მიღებით. მე ყველა რეფორმას ხმა მივეცი — თქვა მან და იქვე დასძინა, რომ შეუძლებელია გქონდეს გარანტია, რომ მომავალში პრობლემები არ გვექნებაო.

„შენი ქვეყნის ციხეებში უამრავი ქურდი ზის, მაგრამ ვერ მომცემ გარანტიას, რომ შენს სამშობლოში ქურდების რაოდენობა არ გაიზრდება" — უთხრა ჰოდლერმა ერთ ჩვენს კოლეგას.

**გიგა გურასაშვილი**

European Championships
Lisbon '99
9 - 12 December

# რა კარგები ყოფილან ეს შვედი ქალები

*მრავალი წლის განმავლობაში მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატებზე მედლებისთვის რეალურად ცხრა-ათი ქვეყნის წარმომადგენლები თუ იბრძოდნენ, ბოლო წლებში კი ასეთი პრეტენზიის მქონე სახელმწიფოთა სპორტსმენების რიცხვი გაორმაგდა. მაგალითად, ამ ათი წლის წინათ ამგვარი შეჯიბრების პრიზიორთა შორის მოხვედრაზე ვერც იოცნებებდნენ ესპანეთის, საბერძნეთის, ისლანდიის, პორტუგალიის, შვეიცარიის, თურქეთის, ისრაელისა და სხვათა ქვეყნების მოცურავეები, ახლა კი მათ ლისაბონის 25-მეტრიან აუზში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მედლები მოიპოვეს. თანაც ამათგან ესპანელებმა, ბერძნებმა და ისლანდიელებმა 2-2 ოქროს მედალი დაიმსახურეს.*


REUTERS ლისაბონიდან

ტერეზა ალშამარი მეოთხე მსოფლიოს რეკორდს გაუხარდება

## ცურვა ყველამ ისწავლა


REUTERS ლისაბონიდან

ანა კარინ კამერლინგი მსოფლიოს რეკორდისკენ მიცურავს

სულ კონტინენტის ჩემპიონატში 36 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათგან მედლები კი 23 სახელმწიფოს მოცურავეებმა მოიპოვეს.

ყველაზე უკეთ გამოვიდნენ შვედები, რომლებმაც საერთო ჯამში 17 მედალი მოიპოვეს, აქედან 10 ოქროს და 6 ვერცხლისა.

გერმანელებმა, მართალია, საერთო ჯამში შვედებზე გაცილებით მეტი, 26 მედალი დაისაკუთრეს, მაგრამ ოქროს მარაგით ისინი ჩამორჩნენ. 5 პირველი, 13 მეორე და 8 მესამე ადგილი — ასეთია გერმანელთა ნადავლი.

გუნდურ პირველობაში მესამეზე აღმოჩნდნენ უკრაინელები, რომლებმაც ასევე ხუთი ოქროს მედლით დაასრულეს შეჯიბრება და კიდევ ერთი ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს ჯილდოც მოიპოვეს.

ყველაზე უკეთ შვედები გამოვიდნენო, ვთქვით და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეჯიბრებაზე დამყარებული ხუთი მსოფლიოს რეკორდიდან ხუთივე მათ წილად მოდის. ამასთან ასეთ შედეგებს მხოლოდ ქალები შესწვდნენ.

შვედი ქალების მიერ მსოფლიოს რეკორდების წვიმას სათავე დაუდო ტერეზა ალშამარმა. მან ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონის ლი ჯინგუის მიერ 1993 წელს პალმა დე მალიორკას მცირე აუზში გამართულ პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებული რეკორდი (53,01) გააუმჯობესა 52,80.

არადა, ამ ევროპის ჩემპიონატზე, როგორც თავად თქვა, არაფერს ამის მსგავს არ გეგმავდა. მაგრამ...

— 100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვამდე ძალიან დაძაბული ვიყავი და ვნერვიულობდი. თუმცა, არც არაფერი მქონდა დასაკარგი. მეც ავდექი და გავცურე — თქვა ალშამარმა.

მან რეკორდი 50 მეტრზე იმავე სტილით ცურვაშიც ჩამოართვა ჩინელ მოცურავეს — 24,09. მანამდე კი ალშამარმა ნახევარფინალში ევროპის რეკორდიც დაამხო (24,27), რომელიც ჰოლანდიელ ინგე დე ბრუინს ეკუთვნოდა.

საინტერესოა, რომ 50 მეტრზე ფინალურ გაცურვაში მოცურავეებმა ცრუ სტარტი აიღეს.

— შესაძლოა ჩემი პირველი სტარტი ცოტა უკეთესიც იყო, რადგან გაცილებით კონცენტრირებული ვიყავი და ადრენალინსაც ვგრძნობდი. სამაგიეროდ მეორე ჯერზე აღარ ვნერვიულობდი და გაცურვისთვის უფრო შეხურებული ვიყავი — თქვა ალშამარმა.

აღსანიშნავია, რომ აქ მეორე ადგილზე ერთბაშად ორი მოცურავე, ალშამარის თანამემამულე ანა-კარინ კამერლინგი და ბრიტანელი სუ როლფი გავიდნენ.

დუბლი გაკეთდა 50 მეტრზე ვაჟთა ბატერფლაით ცურვაშიც — აქ ერთდროულად ორი ოქროს მედალი [illegible] ჩნდა, რადგან ხორვატმა [illegible] ლომ [illegible] და შვედმა [illegible] ლან დერმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 23,35.

მაგრამ დავუბრუნდეთ მსოფლიოს რეკორდებს.

ანა-კარინ კამერლინგმა ასეთი შედეგი აჩვენა 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 25,64. ამ სახეობაში მან აშშ-ში 18 ნოემბერს მსოფლიოს თასზე ჯენი ტომპსონის მიერ დამყარებული რეკორდი (26.00) დაამხო.

— გამარჯვებას ველოდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე სწრაფად გავცურავდი... ჩემი მიზანი მსოფლიოს რეკორდის დამყარება კი იყო, ოღონდ 25,9 ფარგლებში — თქვა კამერლინგმა.

მალე კამერლინგმა და ალშამარმა ინდივიდუალურ სახეობებში დამყარებულ რეკორდებს ესტაფეტებში საზიაროც დაურთეს. მათ 4X50 მეტრზე თავისუფალი სტილით 1.38,45 აჩვენეს, რითაც შარშან 11 დეკემბერს შეფილდში გერმანელების მიერ დამყარებულ რეკორდს (1.39,56) 1,11 წამი ჩამოაჭრეს.

კამერლინგსა და ალშამარს ამ შედეგის ჩვენებაში იოჰანა სობერგი და მალინ სვენსტრიომი დაეხმარნენ.

კამერლინგმა და ალშამარმა საზიარო მსოფლიოს რეკორდი 4X50 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაშიც დაამყარეს, სადაც ემა იგელსტრიომი და იოჰანა სობერგიც ცურავდნენ.

შვედმა ქალთევზებმა აქაც ისევ და ისევ გერმანელების მიერ შეფილდში დამყარებული რეკორდი (1.50,13) გააუმჯობესეს — 1.49,47

— მშვენიერია. ვფიქრობ, რომ ლისაბონური შედეგები ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებათაგანი იქნება შვედეთის ცურვის ისტორიაში — სიხარულს ვერ ფარავდა ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი ჰანს კრუნაკი.

**გიგა გურასაშვილი**

ჰოკეი

# იკითხეთ ბაირონი


REUTERS ვაშინგტონიდან

მონრეალელი კარლ დაიჰიუსი ვაშინგტონელ მაიკ იგლსს (36) უწესოდ მოექცა

NHL

13 დეკემბერი

**ბოსტონი — ფინიქსი**
**2:0**
1:0 0:0 1:0
1:0 სამსონოვი 10'40 (8); 2:0 დიმაიო 59'40 (3)

**ვაშინგტონი — მონრეალი 0:1**
0:0 0:1 0:0
0:1 რუჩინსკი 37'05 (14)

**ტორონტო — ოტავა 1:3**
0:0 1:1 0:2
1:0 ჰოგლუნდი 21'17 (15); 1:1 ბონკი 26'19 (11); 1:2 მაკიჩერნი 41'17 (9); 1:3 ჰოსა 56'26 (13)

ნჰლ-ის რეგულარული ჩემპიონატი იმდენად ხანგრძლივია, შეუძლებელია, კრიზისისა და ჩავარდნის გარეშე გაიარო. ეტყობა, ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს, ფინიქსსაც ეს მძიმე პერიოდი უდგას. მოგებათა რვამატჩიანი სერიის შემდეგ „კოიოტებმა“ წაიბორძიკეს და ბოსტონთან უკვე მესამედ დამარცხდნენ, თანაც, პირველად სეზონში, გუნდმა უგოლოდ დატოვა ყინული. თუმც კაპიტნის, კეიტ ტკაჩუკის თქმით, რომელიც სულ ახლახან გამოჯანმრთელდა ტრავმის შემდეგ, გადამეტებული ნერვიულობის საბაბი არ არსებობს. „ასეც ხდება. ვფიქრობ, ნორმალურად გამოვიყურებოდით და ყველაფერი დაფოს განსაკუთრებულმა თამაშმა გადაწყვიტა“ — თქვა კაპიტანმა მატჩის შემდეგ და ძნელია, არ დაეთანხმო. გასული სეზონის აღმოჩენა, ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფო (შეგახსენებთ, 1998-99 წლების სეზონში 10 შათაუტი მიითვალა) კვლავ საუცხოო ფორმაშია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „დათვებმა“ სამსონოვის და დიმაიოს გოლებით სძლიეს მეტოქეს და თავიანთ კარში ერთი შაიბაც არ გაუშვეს.

ვაშინგტონს უმალ დაეტყო, რომ სნაიპერი პეტერ ბონდრა არ ჰყავს. მონრეალთან შეხვედრაში დედაქალაქელებმა გოლი რაა, ისიც ვერ გაიტანეს, თანაც უკვე ზედიზედ მეორედ. პიტსბურგთან წინა მატჩისგან განსხვავებით, თავი ვერც აქტიურობით გამოიჩინეს, ამიტომაც მონრეალის ახალგაზრდა მეკარე ჟოზე ტეოდორს (19 მოგერიება) კარის მშრალად შენახვა სულაც არ გასჭირვებია.

ორშაბათს არც ტორონტო იყო გუნებაზე. შაბათს მან ფილადელფიასთან გამართა მეორე მატჩი, რომელიც პირველზე არანაკლებ უხვგოლიანი გამოდგა. თანაც მეტოქეებმა კვლავ გააგრძელეს ანგარიშსწორება და ამჯერად ინიციატორი ფილადელფიელი კრეიგ ბერუბი გახდა. „მფრინავთა“ ინდიელმა აგრესორმა არ დაივიწყა ტორონტოელ ტაი დომის წყენა და ჩხუბი წამოიწყო, რომელშიც მეკარეებიც კი ჩაებნენ. ცხადია, ასეთი ვნებათაღელვის შემდეგ ტორონტო დაიღალა და ოტავამ ეს გარემოება გონივრულად გამოიყენა. სტუმრებმა ბოლო პერიოდში გააძლიერეს ზეწოლა და საბოლოოდ მიზანსაც მიაღწიეს — „სენატორებმა“ ოთხმატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტეს, თანაც თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ გუნდს კაპიტანი, დანიელ ალფრედსონი დაუბრუნდა.

**სამველ ღარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 32 | 17 | 4 | 2 | 11 | 92:72 40 |
| ოტავა | 30 | 15 | 4 | 1 | 11 | 78:70 35 |
| ბოსტონი | 30 | 12 | 8 | 6 | 10 | 78:76 32 |
| ბუფალო | 29 | 12 | 4 | 1 | 14 | 74:78 29 |
| მონრეალი | 31 | 11 | 2 | 1 | 18 | 66:80 25 |

ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 30 | 19 | 3 | 1 | 8 | 104:72 42 |
| სენტ ლუისი | 30 | 19 | 2 | 0 | 9 | 94:67 40 |
| ნეშვილი | 29 | 9 | 1 | 2 | 19 | 72:95 21 |
| ჩიკაგო | 30 | 7 | 4 | 2 | 19 | 77:96 20 |

ატლანტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 30 | 17 | 4 | 1 | 9 | 92:71 39 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 15 | 3 | 2 | 10 | 77:66 35 |
| პიტსბურგი | 27 | 10 | 3 | 4 | 14 | 83:78 27 |
| რეინჯერსი | 28 | 10 | 4 | 1 | 14 | 65:78 25 |
| აილენდერსი | 26 | 6 | 4 | 0 | 16 | 52:80 16 |

ჩრდილო-დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 31 | 15 | 3 | 1 | 13 | 86:84 34 |
| ვანკუვერი | 31 | 11 | 7 | 2 | 13 | 82:94 31 |
| ედმონტონი | 30 | 9 | 7 | 5 | 14 | 72:79 30 |
| კალგარი | 30 | 12 | 3 | 1 | 15 | 75:93 28 |

სამხრეთ-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 28 | 16 | 2 | 2 | 10 | 79:69 36 |
| კაროლინა | 30 | 12 | 7 | 0 | 11 | 71:74 31 |
| ვაშინგტონი | 28 | 10 | 5 | 1 | 13 | 66:77 26 |
| ტამპა | 28 | 10 | 4 | 2 | 14 | 78:88 26 |
| ატლანტა | 29 | 7 | 2 | 2 | 19 | 62:104 18 |

წყნარი ოკეანე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 34 | 17 | 4 | 2 | 13 | 101:86 40 |
| ფინიქსი | 31 | 18 | 3 | 0 | 10 | 95:77 39 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 16 | 6 | 1 | 8 | 95:73 39 |
| დალასი | 31 | 15 | 3 | 1 | 13 | 70:71 34 |
| ანაჰაიმი | 31 | 14 | 4 | 1 | 13 | 78:71 33 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი*

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 46(22+24); ნოლანი (სან ხოსე) 43(22+21); რეკი (ფილადელფია) 40(13+27); რენიკი (ფინიქსი) 38(16+22); ტარჯონი (სენტ ლუისი) 35(15+20); ლინდროსი (ფილადელფია) 34(16+18); დამფუსი (სან ხოსე) 32(10+22); ბურე (კალგარი) 31(16+15); ამონტე (ჩიკაგო) და დემიტრა (სენტ ლუისი) 31(14+17); ლეკლერი (ფილადელფია) 30(15+15); ფრიზენი (სან ხოსე) და სელიანე (ანაჰაიმი) 30(13+17); ბონკი (ოტავა) 30(11+19); დრური (კოლორადო) 30(8+22)*

## ნუმინენი: ერთგულება და ხელფასი



ფინიქსის გამოცდილი მცველი ტეპო ნუმინენი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურება „კოიოტებს“. მისი ღვაწლი დაფასდა და კონტრაქტის დასრულებამდე კლუბმა მასთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც ფინელი კიდევ სამი წელი, 2003 წლამდე დაიცავს ამ კლუბის ღირსებას და 13,5 მილიონ დოლარსაც მიიღებს. ამის შემდეგ თუ ნუმინენს სურვილი ექნება, შეუძლია, კიდევ ერთ სეზონს დარჩეს ფინიქსში. ამისთვის იგი 6 მილიონ დოლარს მიიღებს. 31 წლის ფინელის გასამრჯელო წლეულს 2,25 მილიონი დოლარია. ასე რომ, მისი ხელფასი ზუსტად ორჯერ გაიზრდება. ნუმინენს „კოიოტების“ ისტორიაში ორი რეკორდი ეკუთვნის მცველთა შორის — 330 პასი და 499 ქულა. მას 1995 წლის 15 დეკემბრის შემდეგ თამაში არ გაუცდენია და დღესდღეობით მისი 323-მატჩიანი სერია ლიგაში ყველაზე ხანგრძლივია.

# კობა გოგოლაძემ ქამარი ცალი ხელით მოიგო

დასაწყისი პირველ გვერდზე

ამასობაში მგზავრობით მოქანცულებმა საბაჟო კონტროლიც გაიარეს. და ჩვენს ხელში აღმოჩნდნენ. ცხადია, სალამ-ქალამისა და მილოცვის მერე საქმეზე გადავედით და კობას და მამუკას უამრავი კითხვა დავაყარეთ, თუმცა საუბარი სახელდახელო გამოდგა. აკი გითხარით, გოგოლაძე და წიკლაური მგზავრობას ძალიან მოექანცა და მორიდებულადაც გვთხოვეს — ახლა ეს ვიკმაროთ, საღამოს კი სასტუმრო „საირმეში" გელოდებით და წვრილად იქ ვილაპარაკოთო. ზამთრის სუსხიან დილით საქმიანობას ჩვენც მყუდრო და კომფორტულ სასტუმროში საუბარი გვირჩევნია და გუშინ საღამოს დათქმულ ადგილზე მივედით.

მამუკა წიკლაურსა და მის მეგობრებს საპრესკონფერენციოდ ყველაფერი საგულდაგულოდ მოეწყოთ. ლონდონიდან გოგოლაძის ბრძოლების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალაც გვაჩვენეს და მერე სასაუბროდაც გვიხმეს.

მამუკა წიკლაურმა უპირველესად მადლობა გადაგვიხადა — კობას გამარჯვება ღირსეულად დააფასეთ, აეროპორტში ამდენი ჟურნალისტი რომ დაგინახეთ, ცოტა დავიბენით, აქაც მრავლად მოგიყრიათ თავი. მზად ვართ, ყველაფერზე ამომწურავად გიპასუხოთო. ერთი სიტყვით, ხელს არაფერი გვიშლიდა და საქმესაც შევუდექით. ცხადია, გოგოლაძესა და მის მწვრთნელს ჯერ კვიპროსულ ჩხუბზე დავეკითხეთ.

*მამუკა წიკლაური:* ნიქოზიაში კობა პროფესიულ რინგზე მეხუთედ გავიდა და პროფებში მისი ხანმოკლე კარიერის მიუხედავად, უკვე ინტერკონტინენტალის მსოფლიოს ჩემპიონის ქამრისთვის იბრძოლა. ეს ქამარი ახლა თქვენს წინაა და მისი მფლობელი გოგოლაძეა. ცხადია, ჩემპიონის ტიტულს იოლად არავინ დაგითმობს და კობამაც გამარჯვებისთვის ურთულესი, ათრაუნდიანი ბრძოლა გადაიტანა. მისი მეტოქე — პასკალ მონტელიე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, კვიპროსულ ჩხუბამდე 39-დან 30 შეხვედრა მოეგო და ისეთ ძლიერ მეტოქეებთან უკრივია ტოლ-სწორად, როგორებიც ბულგარელი ტონჩევი და მსოფლიოს ჩემპიონი არტურ გრიგორიანი არიან. თუმცა ღვთის შეწევნით და, რა თქმა უნდა, კობას ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ყველაფერი კარგად დამთავრდა. კობამ პროფესიულ კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება იზეიმა — ინტერკონტინენტალის მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი ახლა მისი საკუთრებაა. უშუალოდ ბრძოლაზე კი ჩემზე უკეთ თავად კობა მოგიყვებათ.

*კობა გოგოლაძე:* პასკალ მონტელიე ძალიან უხერხული მეტოქე გამოდგა. ჩხუბის მისეული მანერა ძალიან გამაღიზიანებელია, განუწყვეტლივ მოძრაობს და ახლოს არ გიშვებს. ამიტომ იძულებული ხარ, სულ სდიო და ისე შეუტიო, თუმცა მისი ბრძოლები შესწავლილი გვქონდა და მონტელიეს ტაქტიკას მალე ავულე ალღო. მესამე რაუნდის დასაწყისში ნოკდაუნიც ვაწვნიე. ბელგიელი მალე მოვიდა გონს და ჩხუბი გააგრძელა, მაგრამ შევატყე, აშკარად დაბნეული იყო, ამით ვისარგებლე და კვლავ ნოკდაუნი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დარტყმისას ისეთი ტკივილი ვიგრძენი, ვიფიქრე, ხელი ხომ არ მომტყდა-მეთქი. ამასობაში რაუნდიც დამთავრდა, მამუკას ჩემი გასაჭირი ვუთხარი, ბედად, ხელი მხოლოდ ნაღრძობი მქონდა. მამუკამაც ბრძოლის გაგრძელება მირჩია, ოღონდ გამაფრთხილა, მეტოქემ არაფერი შეგატყოსო. მგონი, მისი დავალება შევასრულე, ათი რაუნდი ვიჩხუბე და მსაჯებმაც გამარჯვება მე მომაკუთვნეს.

***— მეხუთე ბრძოლაში უკვე ტიტულისთვის იჩხუბეთ, რაც, ალბათ, იოლად მოსაგვარებელი საქმე არ უნდა ყოფილიყო.***

*მამუკა წიკლაური:* პროფესიულ კრივში დაუმსახურებლად არავინ მოგცემს შანსს. კობამ ოთხი მატჩის მოგების მერე ევროპელებს ძალიან მოაწონა თავი და სწორედ ამიტომ გაუხერხეს მას საჩემპიონო შეხვედრა. ამ საქმეში ლომის წილი ფრენკ მელოუნმა და ფილიპ ფონდიუმ დაიდეს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ კობას შესაძლებლობებში და როგორც გამოჩნდა, არაფერში შემცდარან. როცა შევიტყვეთ, ნიქოზიაში კობას ათრაუნდიანი შეხვედრა უნდა გაემართა, ერთი პირობა ვიფიქრე, ფიზიკურად თუ გაუძლებს-მეთქი ასეთ დატვირთვას, თუმცა ლენოქს ლუისის კოლეჯში ამისთვის საგანგებოდ ვემზადებოდით და აგერ, ბატონო, ეს ქამარი ყველაფერზე მეტყველებს.

***— ცხადია, ტიტულის მოპოვებით ჩვენებურის რეიტინგი საკმაოდ მაღლა აიწევდა, მალე კობას ქამრის მოცილეც გამოუჩნდება. ალბათ, ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელია.***

*მამუკა წიკლაური:* გეთანხმებით, ამიერიდან კობას სულ უფრო ძლიერი მოკრივეები შეხვდებიან. არც ჩვენ დავიკრეფთ გულზე ხელებს, ქამრის დათმობას არ ვაპირებთ, ეგ კი არა, ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც ვუმიზნებთ. თუმცა ეს სამომავლო გეგმებია. ახლა კობა ერთი თვე დაისვენებს, თანაც ხელი უნდა მოირჩინოს, იანვარ-თებერვალში რამდენიმე ბრძოლას ჩაატარებს, აპრილში კი ტიტულის დასაცავად იჩხუბებს. ამას რომ ვამბობ, კობას შესაძლებლობების იმედი მაქვს. ერთ ამბავს მოგიყვებით. კვიპროსში გამგზავრების წინ ევროპის ჩემპიონმა ბილი შოელმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის საჩხუბრად ემზადებოდა, სპარინგმეტოქედ კობა ირჩია. ამ ბრძოლების დროს კობამ შოელი ისეთ დღეში ჩააგდო, ბრიტანელმა ქართველის სპარინგმეტოქეობა იუარა, აქაოდა, მჯობნის და ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ ფსიქოლოგიურად „მფუჭდებიო". შოელმა ის საჩემპიონო მატჩი მაინც წააგო.

*კობა გოგოლაძე:* ცხადია, ტიტულის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. ჰოდა, თუ ნაღდი მოკრივე ხარ და გინდა, ყველას შენი ძალა დაუმტკიცო, ეს უნდა შეძლო. ეგ თუ ველარ მოვახერხე, მაშინ დავიხურავ ქუდს და კრივსაც ხელს დავუქნევ.

***— ზემოთ ფრენკ მელოუნი და ფილიპ ფონდიუ ახსენეთ, რომლებსაც კვიპროსული ჩხუბის მოწყობაში ჩვეული მარიფათი გამოუჩენიათ. ცხადია, კობას წარმატებაც ძალიან გაახარებდათ.***

*მამუკა წიკლაური:* მელოუნიც და ფონდიუც ნიქოზიაში იყვნენ, თუმცა ბრძოლის დღეს მელოუნი სასწრაფოდ ლონდონში გაბრუნდა მაიკ ტაისონისა და ჯულიუს ფრენსისის 29 იანვარს დაგეგმილი შეხვედრის საქმეების მოსაგვარებლად. ფონდიუ რინგის კუთხეში ჩემს გვერდით იდგა და კობას გამარჯვებითაც ძალიან გაიხარა.

*კობა გოგოლაძე:* ფილიპ ფონდიუმ მილოცვის მერე მითხრა, საქართველოში უნდა ჩამოვიდე, გიორგი კანდელაკთან თოფი მაქვს დატოვებული, ვარიანში გავიაროთ და მერე სანადიროდ წავიდეთო. ჰოდა, ახლა ველი, რომ გვესტუმრება, შევესევით ტყეებს.

*მამუკა წიკლაური:* ლონდონში დაბრუნებულს ერთი კარგი ამბავიც დაგვხვდა, ლენოქს ლუისი ბრიტანეთის წლის საუკეთესო სპორტსმენად დაუსახელებიათ და მსოფლიოს უდავო ჩემპიონს დიდი ბანკეტის მოწყობა განეზრახა. ამ წვეულებაზე მისი კოლეჯის ყველა მოკრივე და მწვრთნელი მიგვიწვიეს. ლონდონელი ქართველები — მე, კობა, გიორგი კანდელაკი და მისი მეუღლე ასეთ მიპატიჟებაზე უარს როგორ ვიტყოდით, ჩვენც ვეწვიეთ ლენოქს ლუისს და იქ მსოფლიო კრივის ვარსკვლავთა კომპანიაში მშვენიერი საღამო გავატარეთ. ვის აღარ ნახავდით ლუისის სტუმართა შორის, მაგრამ ერთი კაცი მაინც გამორჩეულად ყურადღების ცენტრში იყო, ეს გახლდათ ამერიკელი ევანდერ ჰოლიფილდი, რომელსაც ნოემბერში ლენოქს ლუისმა ორი უპრესტიჟულესი საკრივო ორგანიზაციის ქამარი წაართვა.

***— გიორგი კანდელაკზე გვითხარით, როდის ვიხილავთ რინგზე?***

*კობა გოგოლაძე:* გიორგი ახლაც ლონდონშია და საბრძოლველად ემზადება, სავარაუდოდ, 19 დეკემბერს იჩხუბებს. ჩინებულ ფორმაშია და გაიმარჯვებს კიდეც. მალე გიორგიც ინტერკონტინენტალის ქამრისთვის იბრძოლებს და მჯერა, ქართველები ორი ქამრის პატრონები გავხდებით.

**სოსო კოტორეიშვილი**


კობა გოგოლაძე ძვირფასი ნადავლით



გუშინ პრესკონფერენციაზე: მამუკა წიკლაური და კობა გოგოლაძე


რინგამდე კობა გოგოლაძე ამ კვიპროსელმა ლამაზმანმა მიაცილა


ლენოქს ლუისი და კობა გოგოლაძე


ევანდერ ჰოლიფილდი და კობა გოგოლაძე


კობა გოგოლაძემ საჩემპიონო ქამარი შემოირტყა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გერმანია

XVI ტური

ჰერტა 1:1 მიუნხენი

0:1 მაქსი (52), 1:1 კონსტანტინიდისი (71)

შტუტგარტი 3:1 ჰანზა

1:0, 2:0 განეა (54, 62), 2:1 არვიდსონი (70), 3:1 რობერტო პინტუ (74)

ბაიერნი 2:1 არმინია

0:1 ლაბადია (5), 1:1 პეეტერსი (27 ს.კ.), 2:1 სალიჰამიჯიჩი (57 პ)

დუისბურგი 0:1 ვერდერი

0:1 დაბროვსკი (14)

### მეორე ბუნდესლიგა

XVI ტური

ჰანოვერი 2:1 კიკერსი

ქემნიცი 3:3 ბოხუმი

ნიურნბერგი 2:0 ბერლინი

## ინგლისი

I დივიზიონი

ქრიუ 1:0 ვულვერჰემპტონი

გრიმსბი 1:1 ვესტ ბრომვიჩი

III დივიზიონი

კარლაისლი 0:0 ტორკი

პიტერბრო — ჰალი

გადაიდო

ლიგის თასის მეოთხედფინალი

ტრანმერი 2:1 მიდლსბრო

ბოლტონი 2:1 უიმბლდონი

ვესტ ჰემი — ასტონ ვილა

გადაიდო

## ესპანეთი

თასის II ეტაპი

დეპორტივო 1:0 მალაგა

ბარაკალდო 0:0 ვილიარეალი

## შოტლანდია

ლიგის თასი

კილმარნოკი — ჰართსი

გადაიდო

## საფრანგეთი

ლანსი 1:2 ნანტი

0:1 და როშა (4), 1:1 ჟობი (11), 1:2 კაველია (90)

## იტალია

თასის მერვედფინალი

მილანი 3:0 ატალანტა



REUTERS ნიუ ორლეანიდან

# წმინდანები ჯოჯოხეთში

ამერიკული ფეხბურთის გუნდის „ნიუ ორლეანზ სეინთსის" ქომაგებს მოსწყინდათ თავიანთი კერპების წარუმატებლობა — წმინდანები წლეულს ძველებურად ნამდვილად ველარ დაფრენენ და ანგარიშზე ორი მოგება და ათი მარცხი ერიცხებათ. ჰოდა, გულშემატკივრებმაც პროტესტის ნიშნად თავზე ქაღალდის ტომრები ჩამოიფხატეს, ზედ მოტირალი სახეები დაიხატეს და ეროვნული ჰიმნის დროსაც ფეხზე ასეთ ფორმაში წამოდგნენ. საქმეს ამანაც ვერ უშველა: „სეინთსი" 14:30 დამარცხდა „სენტ ლუის რემზთან".



REUTERS პატაიადან

# კრიკეტ-სტრიკერი

კრიკეტი ერთი მოსაწყენი, უსაშველოდ გაწელილი, ტვინის საჭყლეტი და ძნელად გასაგები სპორტის სახეობაა, რომელსაც, როგორც წესი, ინგლისისა და მისი ყოფილი კოლონიების უსაქმური მოსახლეობა ადევნებს თვალყურს. სწორედ ერთ-ერთ ასეთ უსაქმურს პორტ ელიზაბეტში, სამხრეთ აფრიკისა და ინგლისის ნაკრებების მეორე ტესტ მატჩის მეოთხე (!) დღეს სამხრეთულ სიცხეში ტვინი აუდუღდა, სამოსი გაიძრო და მოედანი შიშველმა გადაირბინა. იქვე მოწყენით მდგომმა როიტერის ფოტოკორესპონდენტმა ჯუდა ნგვენიამაც ფრიად გაიხარა და თავისი „ქენონი" თუ „პოლაროიდი" ჩააჩხაკუნა...

# ნიანგის პირში...

ოდესღაც ნადირობა და ცხოველთა გაბითურებაც სპორტი იყო. ამ საზომით 27 წლის ტაილანდელი სომ სოდაპო ნაღდი სპორტსმენია. აბა, მიდი და ჩაუყავი თავი პირში ნიანგს. ტაილანდის განთქმულ კურორტ პატაიაში ნიანგთა უდიდესი ფერმაა. სომ სოდაპოსნაირი ხალხი ათი ათას მტაცებელს შორის დაბოდიალობს და ამგვარი ოინებით ართობს ტურისტებს.



REUTERS ლილეჰამერიდან

# ავსტრია მესამე

*აი, წარმატება და თანაც როგორი! ეს ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა, ნორვეგიის ცნობილ ლილეჰამერში. ავსტრიელ ქალთა ნაკრები მესამე ადგილისთვის შეხვდა რუმინეთის გუნდს და დაამარცხა 31:28. ეს ჩაფიქრებული კაცი კი ავსტრიელთა მწვრთნელი გუნარ პროკოპი გახლავთ.*



REUTERS პორტ ელიზაბეთიდან


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli